ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 13 ოქტომბერი, 2011 №243 (5623) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+
ჩარლი ჩაპლინი
8 ლარი
11 ოქტომბრიდან




# გიორგი თარგამაძე: „ივანიშვილი სააკაშვილს პატარკაციშვილის წინააღმდეგ აგულიანებდა“


გვ.2

## კოკოითის სოხუმში ვილას ართმევენ

თედეევს რეგისტრაციაში გატარებაზე უარი საბოლოოდ უთხრეს


გვ. 5

კოკოითი სოხუმის ვილაში

## ბიძინა ივანიშვილი — ქართული პოლიტიკის ახალი „ნათლიმამა“

გვ. 4





## წინასწარი პატიმრობა ეკონომიკური დანაშაულისთვის უნდა გაუქმდეს!

გვ. 6


გვ. 2

სუბარი მზადაა, ივანიშვილთან „ქართული პარტიის“ სახელით ითანამშრომლოს


გვ. 5

## დავით აქუბარდია: „სხვა ეპოქა რომ იყოს, ბიძინა ივანიშვილს დუელში გამოვიწვევდი“


გვ. 3

## ელიზბარ ჯაველიძეს არაობიექტურობაში ადანაშაულებენ

3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 ირაკლი ალასანია ბიძინა ივანიშვილს შეხვდა

3 მამუკა გიორგაძე: „სააკაშვილს პოლიტიკურ თამაშებში ვერავინ აჯობებს“

5 ავღანეთში მორიგი ქართული ბატალიონი გაემგზავრა

6 ზაზა ხატიაშვილი: „სააკაშვილი ლუკაშენკოზე უარესია“
რა საფრთხეს შეიცავს ახალი საპროცესო კოდექსი

# გიორგი თარგამაძე: „ივანიშვილი სააკაშვილს პატარკაციშვილის წინააღმდეგ აგულიანებდა“

თეა მარხვაიძე

**როგორც მოსალოდნელი იყო, ქართული პოლიტიკური სპექტრი ბიძინა ივანიშვილის გააქტიურებას მტრულად შეხვდა. ნაციონალებსა და ოპოზიციის ერთ ნაწილს კინაღამ გულები გაუსკდათ, როცა გაიგეს, რომ ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდოდა. ეს განცხადება 5 ოქტომბერს გავრცელდა. იმ დღიდან მოყოლებული, პოზიცია და ოპოზიცია ძალიან ღელავენ.**

მღელვარებას ხელს თავად ბიზნესმენიც აწყობს, რომელმაც უკვე ორი განცხადება გაავრცელა. ბოლო განცხადების გამო მან თავზე ქდმ-ს, მემარჯვენეებისა და პაატა დავითაიას რისხვა დაიტეხა.

თავის მიმართვაში ივანიშვილი ამბობს, რომ არ ითანამშრომლებს ლეიბორისტებთან, მემარჯვენეებთან, ქდმ-სთან, თორთლაძის და დავითაიას პარტიებთან.

– ვერ ვითანამშრომლებ ფსევდოოპოზიციურ პარტიებთან, რომლებიც ხელისუფლებასთან ფარულ გარიგებასა და კავშირში არიან და მისი ინსტრუქციებით და მითითებებით მოქმედებენ. ჩემი აზრით, სწორედ ფსევდოოპოზიციური პარტიებია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის ყველაზე დამაბრკოლებელი და ხელისშემშლელი ძალა, რომელიც გადამწყვეტ მომენტში ხელისუფლების ყველაზე საიმედო მოკავშირედ და პარტნიორად გვევლინება. სინამდვილეში სააკაშვილის ხელისუფლება ამ ფსევდოოპოზიციური ძალების მხრებზე დგას – ეს ძალები უქმნიან სააკაშვილის რეჟიმს დემოკრატიულობის ფონს დანარჩენი მსოფლიოს წინაშე და ფაქტობრივად ერთპარტიულ ქართულ პარლამენტს თავიანთი ფსევდოოპოზიციური მოღვაწეობით მრავალპარტიული პარლამენტის იმიჯს უქმნიან. სწორედ მათ შეაქვთ განხეთქილება და არეულობა ჭეშმარიტად ოპოზიციური ძალების ნებისმიერ წამოწყებაში, ისინი ახშობენ, ანეიტრალებენ და კალაპოტს უცვლიან ხალხის საპროტესტო განწყობას. მე არ მოვერიდები მათ დასახელებას და ღიად ვაცხადებ: ვერ ვითანამშრომლებ ქრისტიან-დემოკრატებთან, ლეიბორისტებთან, ახალ მემარჯვენეებთან, ედპ-სთან, ქართულ პარტიასთან, თორთლაძის, დავითაიას პარტიებთან. ქრისტიან-დემოკრატების ლიდერის გიორგი თარგამაძის პოლიტიკური საქმიანობა უამრავ საეჭვო მომენტს შეიცავს, დაწყებული ასლან აბაშიძესთან მისი თანამშრომლობით, გაგრძელებული ბადრი პატარკაციშვილის მიმართ მის მიერ ჩადენილი ღალატით და დამთავრებული იმით, რომ ღალატის საფასურად ხელისუფლებამ თარგამაძეს პარტია შეუქმნა, დაუფინანსა და გაყალბების გზით პარლამენტში შეიყვანა. ხელისუფლების დაკვეთას ასრულებენ ზემოთ ნახსენები პარტიების ლიდერები შალვა ნათელაშვილი, დავით გამყრელიძე, ეროსი კიწმარიშვილი, ბაჩუკი ქარდავა. დიახ, მე ვერ ვითანამშრომლებ ამ ადამიანებთან, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ამ ფსევდოოპოზიციური პარტიების ზოგიერთ წევრთან ურთიერთობაზე დავთანხმდე, თუ ისინი საკუთარი პოლიტიკური წარსულის რევიზიას შეძლებენ, – წერს თავის განცხადებაში ივანიშვილი.

ბიზნესმენის განცხადება ყურადღების მიღმა არ დაუტოვებია არც პოზიციას და არც ოპოზიციას. ისინი ივანიშვილის ლანძღვაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. გიორგი თარგამაძემ კი ბიზნესმენს ის დრო გაახსენა, როცა ის პატარკაციშვილს უპირისპირდებოდა.

ყველამ კარგად იცის, რომ ივანიშვილი და პატარკაციშვილი ერთმანეთს დიდად ვერ იტანდნენ.

როგორ და რანაირად ჩაიჭრა თარგამაძე პატარკაციშვილთან, ეს საუბრის სხვა თემაა. ის ძალიან ახლოს იყო გარდაცვლილ ბიზნესმენთან და კარგად ახსოვს, როგორ ებრძოდა მას ივანიშვილი.

გიორგი თარგამაძის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი ის კაცი იყო, რომელიც მიხეილ სააკაშვილს წლების განმავლობაში და პატარკაციშვილის წინააღმდეგ საბრძოლველად აგულიანებდა და ფულს აძლევდა.

თარგამაძეს მიაჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილს პატარკაციშვილის ხსენების უფლებაც კი არა აქვს.

– მის ადგილზე პატარკაციშვილის სახელისა და გვარის ნებისმიერ კონტექსტში ხსენებას ძალიან მოვერიდებოდი, რადგან სწორედ ივანიშვილი იყო ის კაცი, რომელიც მიხეილ სააკაშვილს წლების განმავლობაში აგულიანებდა პატარკაციშვილის წინააღმდეგ საბრძოლველად, "ტელეიმედის" ჩასაძირად და პატარკაციშვილის გასანადგურებლად აძლევდა ფულს. ვგულისხმობ პოლიტიკურ თუ სხვა მეთოდებს, არ ვგულისხმობ მის მკვლელობას ან რაიმე სხვას. ეს არის ადამიანი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ პატარკაციშვილის ნებისმიერი ინიციატივა თუ გამონათქვამი ქართველ საზოგადოებაში მხარდაჭერილი არ ყოფილიყო, – აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

დეპუტატმა ის დროც გაიხსენა, როვა პატარკაციშვილი ხელისუფლებას ღიად დაუპირისპირდა. იმ დროს პატარკაციშვილი საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციას ედგა სათავეში.

მან მკვეთრი განცხადება სწორედ ბიზნესმენთა ფედერაციაში გააკეთა. მაშინ მან ძალიან ბევრ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება. მათ შორის დაინტერესდა იმ ასეულობით მილიონი დოლარის ბედით, რომლებიც ბიზნესმენებმა პროკურატურისა თუ სხვადასხვა ფონდებში ჩარიცხეს.

პატარკაციშვილის იმ განცხადებაზე მაშინ ხელისუფლებას ძალიან მკვეთრი რეაქცია ჰქონდა. საგანგებო განცხადება გააკეთა გიგა ბოკერიამ. რომელსაც მაშინ პარლამენტში კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი ეკავა. ბოკერიამ მაშინ პატარკაციშვილი ოპოზიციის უკან მდგომად და დამფინანსებლად გამოაცხადა. ამის შემდეგ მასზე ღია შეტევა დაიწყო.

ისევე, როგორც სხვა ბიზნესმენებს პრობლემები ივანიშვილსაც აწუხებდა. ილონდ მაშინ მას ხმა არ ამოუღია. გიორგი თარგამაძემ მას სწორედ ეს პერიოდი გაახსენა.

– პატარკაციშვილმა ბიზნესფედერაციაში ძალიან მნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთა და საქართველოს ხელისუფლებას ბრალდებები წაუყენა. იქ ყველა იმ პრობლემის ჩამონათვალი იყო, რომელიც დღეს თურმე ივანიშვილისთვის მნიშვნელოვანი და მისთვის გულის ამაჩუყებელი გახდა. ეს არის ადამიანი, რომელსაც მაშინ ხმა არ ამოუღია, – ამბობს თარგამაძე.

მან მედიასივრციდან მეცხრე არხის გაქრობაც გაახსენა ბიზნესმენს.

– ივანიშვილმა მისი ტელეკომპანია "მეცხრე არხი" არა მხოლოდ გაიყვანა მედიასივრციდან, არამდე მთელი ეს აპარატურა და შესაძლებლობები მიხეილ სააკშვილსა და ეროსი კიწმარიშვილს პირადად გადასცა. ივანიშვილმა მაშინაც და წლების განმავლობაშიც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მიხეილ სააკაშვილის პოზიციები ამ ქვეყანაში გაძლიერებულიყო, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში თარგამაძემ.

მისი განცხადებით, ივანიშვილმა ქართველი ხალხის იმედები სრულიად გააქრო.

– ივანიშვილის მიმართ საზოგადოებაში არსებობდა მოლოდინი იმისა, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდოდა ფიგურა, რომელიც მაკონსოლიდერებელ ფუნქციას შეასრულებდა ხელისუფლებასთან დაპირისპირებისა და მოცილების გზაზე. დასანანია, რომ ნაცვლად ამისა, ბიძინა ივანიშვილმა არჩია საკუთარი პოლიტიკური ადგილის დამკვიდრება ბინძური ხერხებით მოთამაშე რიგითი პოლიტიკოსის მეთოდით. ეს ყველაფერი გამოხატება ცილისწამებაში, გაურკვევლობაში, არადაეკვატურ შეფასებებში, კონკრეტული ადამიანების დახარისხებასა და უპრაგონოდ იარლიყების მიწებებაში. ასეთი მიდგომები ქართულ პოლიტიკაში სიახლე არ არის; ეს არის სწორედ ის, რის გამოც ნაციონალურ მოძრაობას მისი მოძრაობა წლების მანძილზე ებრძვის. მინდა, გამოვთქვა სინანული, რომ კიდევ ერთი მოლოდინი, რომელიც არსებობდა ქვეყანაში, ასე უცბად და სამარცხვინოდ აორთქლდა და გაქრა, – აღნიშნავს თარგამაძე.

თარგამაძეს არც მემარჯვენეები ჩამორჩნენ. მათაც ერთმანეთის მიყოლებით გალანძღეს ბიძინა ივანიშვილი. განსაკუთრებით საინტერესო შეფასება გააკეთა მამუკა კაციტაძემ. მან ბიზნესმენი ჭორაობაში დაადანაშაულა. კაციტაძემ ივანიშვილის ჭორაობისადმი მიდრეკილება მის წარმომავლობას დააბრალა. ბიზნესმენი ხომ წარმოშობით ჭორვილადან არის.

ჭორვილადან გაკეთებულმა განცხადებამ პარლამენტის ვიცე-სპიკერი პაატა დავითაიაც გააბრაზა. როგორც უკვე ვთქვით, ივანიშვილმა მასთან თანამშრომლობაზეც უარი განაცხადა. მართალია დავითაია ამტკიცებს, რომ ივანიშვილთან თანამშრომლობის სურვილიც კი არ ჰქონია, მაგრამ აშკარად გამწარებული ჩანს.

ევროპელი დემოკრატების თავმჯდომარე პაატა დავითაია ბიძინა ივანიშვილს წარმატებას უსურვებს, თუმცა ამაყად აცხადებს, რომ კასტინგში მონაწილეობა არ მიუღია.

როგორც პაატა დავითაიამ "ინტერპრესნიუსს" განუცხადა, როდესაც ადამიანი საუბრობს, უნდა თანამშრომლობა ვინმესთან თუ არა, ეს პოლიტიკა კი არა, არამედ არის აქსიომა.

ზოგადად ივანაშვილის დამოკიდებულებაზე პაატა დავითაიას მიმართ, დეპუტატი მხოლოდ იმას ამბობს, რომ ის ყოველთვის მოქმედებდა სახელმწიფოებრიობის ინტერესებიდან გამომდინარე და 90-იანი წლებიდან იცავდა საქართველოს, მათ შორის იარაღით ხელში.

თავის მიმართვაში ივანიშვილი იმ ძალებზეც საუბრობს, რომლებთანაც თანამშრომლობას აპირებს.

– პირველ რიგში, მინდა ვახსენო რესპუბლიკური პარტია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და მრავალ ბატალიებში გამობრძმედილი პარტია, პოლიტიკური ბიოგრაფიის დიდი სტაჟით, შესაშური ინტელექტუალური რესურსით და ნათლად გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდერებით. თანამედროვე ყაიდის საინტერესო და იმედისმომცემ პოლიტიკურ ორგანიზაციად ვთვლი პარტია თავისუფალ დემოკრატებს, ხოლო მისი ლიდერი ირაკლი ალასანია ქართულ სინამდვილეში ერთ-ერთი წონადი და ანგარიშგასაწევი ფიგურაა. რესპუბლიკელებისგან განსხვავებით ირაკლი ალასანიასთან და მის პარტიასთან შეკითხვები არ მაქვს.

ცხადია, ამ მიმართვაში ყველა იმ პოლიტიკოსს და პოლიტიკურ ორგანიზაციას ვერ ჩამოვთვლი, ვისთანაც თანამშრომლობას ვაპირებ. უახლოეს ხანებში დრო ყველაფერს თავის ადგილას დაალაგებს და ჩვენი მომავალი პარტნიორების სიაც უფრო დაზუსტდება და დაკონკრეტდება.

რესპუბლიკურ პარტიასთან მართლაც დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებდი, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, ჩემი განცხადების შემდეგ, რესპუბლიკური პარტიის რამდენიმე წევრმა ჩემ მიმართ ძალზე აგრესიული კომენტარები გააკეთა, – წერს ივანიშვილი.

მისი ამ განცხადებით არც რესპუბლიკელები და არც ალასანიას ხალხი არ გადარეულან. ირაკლი ალასანიამ, როგორც ყოველთვის, მოზომილი კომენტარი გააკეთა. ალასანია თანამშრომლობაზე მას შემდეგ ილაპარაკებს, რაც ივანიშვილს პირადად შეხვდება.

როგორც ჩანს, ივანიშვილის თემა ჩვენში კიდევ დიდხანს იქნება აქტუალური. ნაციონალები აშკარად შეწუხებული არიან. წუხან იმის გამოც, რომ მისი პოლიტიკური ვნებების შესახებ ვერაფერი გაიგეს.

ნაციონალები ახლა ბევრს საუბრობენ ივანიშვილის ფულზე, რომელიც ამ უკანასკნელს რუსეთში აქვს ნაშოვნი. საინტერესოა, ეს კითხვები მაშინ რატომ არ გაუჩნდათ, როცა ეს უკანასკნელი ასეულობით მილიონს მათ ახარჯებდა.

საინტერესოა ისიც, რატომ არაფერს ამბობენ ნაციონალები კახა ბენდუქიძეზე. რომელსაც ასევე რუსეთში აქვს ფული ნაშოვნი.

## პარლამენტის პლენარული სხდომა გაიმართება

დღეს პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომა გაიმართება. სასესიო კვირაში სხდომები, ძირითადად, სამშაბათსა და პარასკევს ტარდება. მაგრამ იმის გამო, რომ მიმდინარე კვირის პარასკევი უქმე დღეს – სვეტიცხოვლობის (მცხეთობის) დღესასწაულს ემთხვევა, სესია ხუთშაბათისთვის გადაიტანეს. პლენარული სხდომის დაწყებამდე ბიუროს სხდომაც ჩატარდება, სადაც დეპუტატები დღის წესრიგზე შეთანხმდებიან.

მედიანიუსი

## სუბარი მზადაა, ივანიშვილთან „ქართული პარტიის“ სახელით ითანამშრომლოს

"ქართული პარტიის" თავმჯდომარე სოზარ სუბარი ავრცელებს განცხადებას, რომელშიც ნათქვამია: "ქართული პარტიის" თავმჯდომარე სოზარ სუბარი მზად არის ბიძინა ივანიშვილთან ითანამშრომლოს "ქართული პარტიის" სახელით".

შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა გუშინ გავრცელებულ ღია წერილში "ქართულ პარტიას" ფსევდოოპოზიციური პოლიტიკური ძალა უწოდა და ეროსი კიწმარიშვილის ფაქტორის გამო მასთან თანამშრომლობა გამორიცხა. ბიზნესმენს განსხვავებული აზრი აქვს "ქართული პარტიის" თავმჯდომარე სოზარ სუბარზე:

– არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვა სოზარ სუბარზე, ადამიანზე, რომელსაც ომბუდსმენის საპასუხისმგებლო პოსტზე ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული და რომელსაც არაერთხელ დაუფიქსირებია მტკიცე პოზიცია ხელისუფლების თავნებობის წინააღმდეგ. დიდი გულისტკივილით და სინანულით ვამბობ, რომ სოზარ სუბარი აღმოჩნდა იქ, სადაც მისი ადგილი არ იყო. თუ ბატონ სოზარს სურვილი ექნება ჩვენს პოლიტიკურ ორგანიზაციას შემოუერთდეს, მე ამას მხოლოდ მივესალმები, – აცხადებს ივანიშვილი.

მედიანიუსი

## კვიპროსზე ევროსაბჭოს ფორუმი გაიხსნება

დღეს კვიპროსის ქალაქ ლიმასოლში ევროპის საბჭოს ფორუმი "დემოკრატიის მომავლისთვის" გაიხსნება. საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, მასში მონაწილეობას ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები მიიღებენ. საქართველოს მხრიდან მას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თორნიკე გორდაძე დაესწრება.

შეხვედრის თემა სამოქალაქო დიალოგისა და ჩართულობის გზით დემოკრატიის განმტკიცება იქნება. "დემოკრატიის მომავლისათვის" 14 ოქტომბერს დაიხურება.

მედიანიუსი

## ირაკლი ალასანია ბიძინა ივანიშვილს შეხვდა

თავისუფალი-დემოკრატების ლიდერი ირაკლი ალასანია დღეს ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს შეხვდა.

როგორც "მედიანიუსს" ალასანიას პარტიიდან აცნობეს, შეხვედრაზე მხარეებმა ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარებას შესაძლებლობები და მომავალი განვითარების პერსპექტივები განიხილეს.

– აღსანიშნავია, რომ საუბრის დროს განხილულ ყველა საკითხზე ხედვებში სრული თანხვედრა დაფიქსირდა. შეხვედრის დასასრულს ალასანია და ივანიშვილი შეთანხმდნენ, რომ უმოკლეს დროში კონსულტაციები უკვე კონკრეტული გეგმის შესამუშავებლად გაგრძელდება, – ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

მედიანიუსი

## ელიზბარ ჯაველიძეს არაობიექტურობაში ადანაშაულებენ

მოძრაობა “სამართლიანი საქართველოსთვის” ელიზბარ ჯაველიძის მიერ მათი პარტიის ლიდერის სერგო ჯავახაძისადმი გამოთქმულ კრიტიკას კიდევ ერთელ ეხმაურება.

როგორც პარტიის წარმომადგენელი ლაშა ამირეჯიბი აღნიშნავს, ელიზბარ ჯაველიძეს, როგორც საზოგადო მოღვაწეს, დიდი პატივს სცემს და მეგობრადაც თვლის, თუმცა არ ეთანხმება მის განცხადებებს , რომელიც მათი პარტიის ლიდერის სერგო ჯავახიძის შესახებ გააკეთა

— მინდა გამოვეხმაურო ამ განცხადებებს და ბატონ ელიზბარს ვუპასუხო, რომ მე ყოველთვის ვითვალისწინებდი მის აზრს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, იგი ეყრდნობა მცდარ ინფორმაციებს.

ბატონო ელიზბარ, სერგო ჯავახიძე არის ჩემი მეგობარი, არის ახალგაზრდა პატიოსანი კაცი, რომელიც არა თუ არ ასრულებს ხელისუფლების დავალებას, არამედ ის გახლავთ იმ პოლიტიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ვინც გამოიტანა სიმართლე და ამცნო საზოგადოებას იმის შესახებ, რომ ე.წ. ”ექვსიანი” თუ ”რვიანი” , როგორ ვაჭრობდა ხელისუფლებასთან მანდატების თაობაზე. ამ ადამიანმა არა თუ არ მოაწერა საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით მიღებულ გარიგების დოკუმენტზე ხელი, არამედ მიიღო და ხელი მოაწერა, შალვა ნათელაშვილის მიერ ინიცირებულ, პრეზიდენტის იმპიჩმენტის შემოთავაზებას, — აცხადებს ამირეჯიბი.

მისი თქმით, ნოღაიდელის პარტია სერგო ჯავახიძემ კი არ დაშალა, არამედ პასუხისმგებლობა აიღო ნოღაიდელის მიერ მოტყუებული ხალხის დავალიანების გასტუმრებაზე.

— ეს არის სიმართლე და არა ის ინფორმაცია, რომელიც თქვენ მოგაწოდეს და გაახმაურეთ, — აღნიშნავს ლაშა ამირეჯიბი.

**მედიანიუსი**

## დავით ბერძენიშვილი და პაატა ზაქარეიშვილი ბიძინა ივანიშვილს შეხვდნენ

“რესპუბლიკური პარტიის” ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი და პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი პაატა ზაქარეიშვილი გუშინ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს შეხვდნენ.

როგორც “ინტერპრესნიუსს” დავით ბერძენიშვილმა განუცხადა, შეხვედრა ბიძინა ივანიშვილის მიწვევით, თბილისში, ბიზნესმენის რეზიდენციაში შედგა. მისივე ინფორმაციით, შეხვედრა ორ საათს გაგრძელდა.

ბერძენიშვილის თქმით, ბიძინა ივანიშვილი მოწადინებულია, რომ “რესპუბლიკურ პარტიასთან” და “თავისუფალ დემოკრატებთან” ძლიერი პოლიტიკური ძალის ჩამოსაყალიბებლად კონსულტაციები დაიწყოს. მისი განცხადებით, პოლიტიკური პარტიების შეფასებაში “რესპუბლიკელები” და ბიძინა ივანიშვილი მსგავს პოზიციებზე არიან.

— შევხვდით ბიძინა ივანიშვილს. დავით უსუფაშვილი არ იმყოფებოდა საქართველოში, ამიტომ მე და პაატა ზაქარეიშვილი წარმოვადგენდით “რესპუბლიკურ პარტიას”. შეხვედრაზე ითქვა, რომ თუ სამომავლოდ “რესპუბლიკელები”, “თავისუფალი დემოკრატები” და ბიძინა ივანიშვილი მიაღწევენ შეთანხმებას, მაშინ უკვე ერთობლივად მიიღებენ გადაწყვეტილებას სხვა პოლიტიკური ჯგუფების ამ პოლიტიკურ ძალაში მოწვევის თაობაზე, — განაცხადა დავით ბერძენიშვილმა.

დავით ბერძენიშვილი ბიზნესმენთან პირველ შეხვედრას წარმატებულს უწოდებს და აცხადებს, რომ პოლიტიკური კონსულტაციების დასაწყებად შესაძლებლობები გაჩნდა.

**ინტერპრესნიუსი**

## შალვა რამიშვილი ბიძინა ივანიშვილს შეხვედრას სთავაზობს

ჟურნალისტი შალვა რამიშვილი ბიძინა ივანიშვილის შეთავაზებასთან დაკავშირებით თავის პოზიციას, მხოლოდ ბიზნესმენთან შეხვედრის შემდეგ დააფიქსირებს.

ამის შესახებ რამიშვილი სოციალურ ქსელ “ფეისბუკზე” წერს.

— ეპისტოლარულ ჟანრში არ განიხილება მსგავსი საკითხები. გამონახეთ დრო და შემხვდით, — მიმართავს რამიშვილი ივანიშვილს.

შეგახსენებთ, რომ ღია წერილში ივანიშვილმა რამიშვილის “დარდუბალას” პროექტის გაგრძელებას სთავაზობს. მილიარდერის მტკიცებით, “დარდუბალას” გაგრძელების შემთხვევაში პროექტს ის თავად დააფინანსებს.

— შალვა, შენ როდესაც *დარდუბალას“ აკეთებდი, მე, ჩემი ოჯახით, პარიზში ვცხოვრობდი. “დარდუბალას“ ყოველი გასვლა ეკრანზე ჩვენთვის იყო ნამდვილი დღესასწაული, ნიჭიერების, ტალანტის ნამდვილი ფეიერვერკი. შენ, მაშინ როგორც ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის, ასევე მთელი საქართველოსთვის კუმირი იყავი, რომელმაც გასაოცარი ნიჭიერებით წარმოაჩინე ქვეყანაში არსებული დამყაყებულ-დაჭაობებული გარემო და ადამიანებს პირდაპირ უთხარი, რომ ამ ჭაობში ცხოვრება შეურაცხმყოფელია ადამიანის ღირსებისათვის. დღეს რა მოგივიდა, დღეს რა დაგემართა, შალვა? შენ, ასეთი ელვარე ნიჭით დაჯილდოვებული კაცი უნიჭოს როგორ ემსახურები? ნიჭი ღვთისაგან ბოძებული მადლია და შენ ამ მადლს ულირსთა და უკეთურთა სამსახურში როგორ ფლანგავ? შალვა, როგორ ვერ ხვდები, რომ შენს მიერ შექმნილი *დარდუბალას“ პერსონაჟებს დაემსგავსე თანდათან? შენ ახლა ახალ *დარდუბალას“ უნდა ქმნიდე და ამ დროს სააკაშვილთან გარიგებული *მაესტროს“ მეპატრონეები დაგარბენინებენ ალმა-დალმა ხელისბიჭივით. წამოდი, შალვა, და ახალი *დარდუბალა“ გადაღება დაიწყე, რომლის გამზადებული სიუჟეტი, ძველი *დარდუბალა“ სიუჟეტზე გაცილებით მძაფრი სიუჟეტი, ახალი ოდიოზური პერსონაჟებით, ცხოვრებამ მაგიდაზე დაგიდო, შენ კი მისი აღება გეზარება. სახალხოდ გაძლევ სიტყვას, შენ დაიწყე ახალი “დარდუბალას“ გადაღება და მე დავაფინანსებ!, — ნათქვამია ივანიშვილის ღია წერილში.

**მედიანიუსი**

# „სააკაშვილს პოლიტიკურ თამაშებში ვერავინ აჯობებს“

შორენა კოწოწაშვილი

**გუშინ მედიით გავრცელებულმა ბიძინა ივანიშვილის განცხადებამ არა მხოლოდ პოლიტიკური წრეები დააბნია და გაანაწყენა, არამედ დაბნეულობა შეიტანა სახელისუფლებო გუნდში. ნაციონალი ლიდერები დროებით დამუნჯდნენ და მხოლოდ იმ ღია შეთავაზების ამარა დარჩნენ, რომელიც პავლე კუბლაშვილის მხრიდან გაჟღერდა და რომელიც ოპოზიციისთვის ბიუჯეტიდან უფრო მეტი ფულის მიცემას ითვალისწინებს.**

**სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე ნაადრევი პროგნოზების გაკეთებისგან თავს იკავებს, თუმცა აცხადებს, რომ ივანიშვილმა თქვა ის, რაც ხალხმა ისედაც იცის და ეს “კავკასიასაც“ ეხება.**

**რა უნდა გაითვალისწინოს ივანიშვილმა და არის თუ არა ის რუსი ოლიგარქი? — ამ საკითხებზე გავესაუბრეთ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ მამუკა გიორგაძეს.**

***— ბატონო მამუკა, პოლიტიკაში მოსვლის პირველივე განცხადებებში ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილს გადადგომისკენ მოუწოდებს და მის ხერხემალ ვანო მერაბიშვილს ურჩევს, სააკაშვილს ამ მიმართულებით რჩევა მისცეს. რას ნიშნავს ივანიშვილის ეს განცხადება და რეალურად ომი გამოუცხადა თუ არა ივანიშვილმა სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას?***

— პირველი: ივანიშვილმა გამოხატა ქართველ საზოგადოებაში დიდი ხანის წინ მომწიფებული აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ სააკაშვილმა მაქსიმალურად ამოწურა მთელი თავისი დადებითი პოზიტიური ელემენტი, რაც კი მას საერთოდ გააჩნდა. თუმცა, ოდესმე თუ გააჩნდა ეს პოზიტივი, ეს საკითხი შეიძლება საკამათოც კი გახდეს. მაგრამ დღეს უკამათოა ის, რომ სააკაშვილმა ამოწურა თავისი თავი და დადგა ისეთი მომენტი, რომ ვერავინ ველარ აუვლის ამ პოზიციის დაფიქსირებას გვერდს, მათ შორის, ვერც ბიძინა ივანიშვილი. ივანიშვილს ეს უნდა ეთქვა პირველივე განცხადებაში და თქვა.

***— ხელისუფლება ამ დრომდე თავს იკავებს ივანიშვილის განცხადების შეფასებისგან. შეეშინდა ხელისუფლებას?***

— ხელისუფლების წარმომადგენლები ძალიან აქტიურად გამოდიან ამ მიმართულებით. თუ პირველ პირებზე გვაქვს ჩვენ საუბარი, პირველი პირები შესაბამის დროს ელოდებიან, შესაბამის ვითარებას. სააკაშვილს შეიძლება ყველაფერი დავაბრალოთ, მაგრამ, მან რომ პოლიტიკური კულუარული ბრძოლა არ იცოდეს ანდა პოლიტიკურ თამაშებში დგამდეს არასწორ ნაბიჯებს, ამას ნამდვილად ვერ დავაბრალებთ. შეიძლება სააკაშვილი სხვა საკითხებში გაუწონასწორებელია, მაგრამ ამ მიმართულებით მან იცის, რა უნდა აკეთოს. ამიტომ ელოდება მისთვის შესაფერის საუკეთესო დროს იმისათვის, რომ საპასუხო დარტყმა მიაყენოს ოპონენტს. ეს დუმილი შეიძლება დიდხანსაც გაგრძელდეს, შეიძლება ხვალვე გაკეთდეს ამ კუთხით განცხადება.

***— ხელისუფლება ივანიშვილის დისკრედიტაციისთვის იყენებს ტერმინებს: რუსი ოლიგარქი, რუსული ფული ვერ იყიდის ქართველ ხალხს, საქართველოს მოქალაქე არ არის და ა.შ. ეს “შავი პიარი“ ვერ იმუშავებს?***

— ეს ნაკლებად იმუშავებს, იმიტომ რომ როდესაც ერთი რუსი ოლიგარქი მეორე რუს ოლიგარქს ოლიგარქობისთვის ლანძღავს, ელემენტარულად, ეს უკვე სასაცილო ხდება. გუნდში კახა ბენდუქიძე გყავდეს, გენერალოვი გაფინანსებდეს, ბიძა ალასანია რუსეთის უშიშროებაში იყოს, “რაოესის“ ბიზნესპარტნიორი იყო და ბიძინა ივანიშვილს ოლიგაქრობაზე ედავებოდე, სასაცილო და ძალიან არადამაჯერებელია. თავისთავად ცხადია, ეს ივანიშვილის წინააღმდეგ ნამდვილად არ იმოქმედებს ყველა იმ ადამიანში და ამ ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნებით ჩვენც, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, რომლებიც, პირიქით, სააკაშვილს ბრალად ვდებთ სწორედ პრორუსულ მოქმედებებსა და რუსეთის სასარგებლო მოქმედებებს. ალბათ იმის დადასტურება, რომ სააკაშვილი დღეს რუსულ საქმეს აკეთებს საქართველოში, არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. მისი ყველა მოქმედება ამის ნათელი დადასტურებაა. აქედან გამომდინარე, ეს ვერ იქნება სერიოზული არგუმენტი.

***— ივანიშვილმა ღიად ისაუბრა და თანამშრომლობა გამორიცხა ფსევდო ანუ სახელისუფლებო ოპოზიციასთან. სწორია პირველივე განცხადებებში ოპოზიციის დარტყმა?***

— ივანიშვილმა თქვა ის, რაც ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ისედაც ცნობილია და ელემენტარულად იგივე სახალხო პარტია და მრავალი ჯანსაღი პოლიტიკური ჯგუფი სწორედ ოპოზიციის წინაშე სვამდა საკითხს, გავემიჯნოთ ფსევდოოპოზიციურ ჯგუფებს, რომლებიც, პირიქით, საქმეს აფუჭებენ. შესაბამისად, იგივე შეიძლება ითქვას პრესასთან დაკავშირებით, რომ მაინცდამაინც ბიძინა ივანიშვილს უნდა ეთქვა “კავკასიასთან“ დაკავშირებით, რომ ეს ტელევიზია ფუნქციონირებს არა ოპოზიციური აზრის პროპაგანდისათვის, არამედ იმისათვის, რომ მოახდინოს ოპოზიციური აზრის დაცვა, მანიპულირება ოპოზიციური აზრით და ა.შ. სადაც ეროსი კიწმარიშვილია, იქ რაიმე პრინციპებსა და ეროვნულობაზე საუბარი რომ არ შეიძლება, ეს ყველასთვის ცნობილია. ბიძინა ივანიშვილმა თქვა ის, რაც ქართველ საზოგადოებაში ძალიან კარგად არის ცნობილი და თქვა პირდაპირ. მისასალმებელია, რომ ამ ნაწილში პრაქტიკულად მან თქვა სიმართლე და ის, რაც უნდა ეთქვა. არა მგონია, ივანიშვილის ნათქვამი რომელიმე ქართველამდე არ მოვიდეს. მისი განცხადება ძალიან მნიშვნელოვანია ქართული პოლიტიკური სპექტრისა და ქართველი საზოგადოებისათვის.

***— ოპოზიციის ნაწილი, ხელისუფლების მსგავსად, ივანიშვილს რუსული პოლიტიკის ნაწილად მიიჩნევს. დამოუკიდებელი მოთამაშე იქნება ივანიშვილი თუ ის რუსეთისა და დასავლეთის შეთანხმებით იმოქმედებს? ფაქტია, ივანიშვილის გამოჩენა სარკოზის ვიზიტს დაემთხვა.***

— ამ საკითხებზე მარჩიელობა გვიწევს. სამწუხაროდ, მინდა აღვნიშნო, რომ ბიძინა ივანიშვილს ჯერ პოლიტიკური საპროგრამო განცხადებები არ გაუკეთებია. აქედან გამომდინარე, დღეს ჩვენ რომ ვიმსჯელოთ არგაკეთებული განცხადების ტექსტზე, აზრს მოკლებულია. მას ძირითად პრიორიტეტულ საკითხებში: პოლიტიკურ მოწყობასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულ მოწყობასთან დაკავშირებით, დეოკუპაციასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია არ დაუფიქსირებია. მან მხოლოდ ზოგადი ხედვის ტენდენციები დააფიქსირა. ამიტომ ჯერჯერობით ამ თემაზე ნამდვილად ვერ ვიმსჯელებთ, ხოლო ზოგადად ის, რომ მას ფული რუსეთში აქვს ნაშოვნი, ფაქტის კონსტატირებაა და მეტი არაფერი. ოდესღაც ვის ემსახურებოდა, რას ემსახურებოდა, არც ეს არის ამ ეტაპზე სალაპარაკო, იმიტომ რომ, სანამ მის პირველ ნაბიჯებსა და ქმედებებს არ ვნახავთ, ვერ შევაფასებთ. ბევრი გვინახავს ისტორიის მაგალითზე, ვინც კარგი იდეებით მოსულა და საქმე გაუფუჭებია ან პირიქით. ჯერ უცნობია მისი პოზიცია საგარეო ვექტორთან დაკავშირებით, რადგან ამის შესახებ არაფერი უთქვამს. საუბრობენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებსაც წინასწარ გარკვეული ინტერესი გამოუმუშავდათ ივანიშვილის მიმართ. ის ხალხი, რომელიც ხბოს თვალებით შეჰყურებს ქართულ პოლიტიკაში კიდევ დიდი ფულის გამოჩენის გამო, ბუნებრივია, ივანიშვილს ყველაფერში გაამართლებენ. ის ოპოზიცია, რომელსაც მარჩენალი უკვე არჩეული ჰყავს, ივანიშვილს ყველაფერში გააკრიტიკებს. ვინც არც ერთს არ მივეკუთვნებით, დაველოდებით, რა პოზიციას გამოხატავს ივანიშვილი.

***— სააკაშვილის საპირწონეა ივანიშვილი? ის პირობას დებს, რომ აუცილებლად მოვა ხელისუფლებაში.***

— ეს ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ განვითარდება მოვლენები. ძალიან ბევრი ადამიანი მინახავს, რომელმაც ვერ შეძლო პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზება იმ დონეზე, რომ ქვეყნისთვის რაღაც შვება მოეტანა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რა პოზიციას აირჩევს და როგორ გუნდს დაიყენებს გვერდში. თუ ისევ იმ გზით წავიდა, რომ ათასჯერ გამონაცვალ პოლიტიკურ პარტიებსა და ერთჯერადი თუ მრავალჯერადი გამოყენების პოლიტიკოსებს დაეყრდნობა, როგორც ბევრი სხვა ეყრდნობოდა ქართულ პოლიტიკაში, არაფერი გამოუვა. თუ თავის სტილს მოძებნის და სწორ პრინციპებს ჩამოაყალიბებს, ბუნებრივია, ივანიშვილის პოლიტიკურ მომავალს პერსპექტივა აქვს.

***— ივანიშვილი მზადყოფნას გამოთქვამს ალასანიასთან და რესპუბლიკელებთან თანამშრომლობაზე და, ამავე დროს, არ აკრიტიკებს ბურჯანაძეს.***

— სწორედ რესპუბლიკელებთან თანამშრომლობის არჩევანი თუ პიროვნული პატივისცემის მხრიდან არის, გასაგებია. თუ პრინციპების მიმართ, მაშინ, მინდა ვუთხრა, რომ დღეს ქართველი საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება სწორედ რესპუბლიკური პარტიის მიმართ არის, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი ანტიქართული პოზიციებით ორ უმთავრეს საკითხში — ლამის აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობაზე აწერენ ხელს და თავიანთ საპროგრამო დოკუმენტებში ღიად ქართული ტრადიციული და ეროვნული ფასეულობების მიმართ სკეპტიკოსები გახლავან, ასევე მათი დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ ყველასათვის ცნობილია. ეს იმდენად უარყოფითი მომენტებია, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ყველა გაურბოდა რესპუბლიკურ პარტიასთან თანამშრომლობას. თუ რესპუბლიკელებთან მიმართებით ივანიშვილი პიროვნული ფაქტორებით ხელმძღვანელობს, ეს მისი გადასაწყვეტია. თავისთავად ამ კუთხით ყურადღების გამახვილება ნამდვილად სახეიროს არაფერს მოუტანს. ალბათ ბევრი გამოთქვამს სურვილს, ითანამშრომლოს ბიძინა ივანიშვილთან. ივანიშვილმა საქართველოს უახლეს ისტორიას უნდა გადახედოს არა მხოლოდ იმ ნაწილში, რაც ტელეეკრანზე ხდება, არამედ — რეალურ ვითარებას, რეალურ ისტორიას და თითოეული ადამიანის შეფასება რეალურ ისტორიაში ნამდვილად არ გაუჭირდება. ტელეეთერიდან შეიძლება ამა თუ იმ პოლიტიკოსზე არასწორი შეხედულება შეექმნას.

***— ანუ ივანიშვილს პირადი უსაფრთხოების გაძლიერების ნაცვლად ქართველი პოლიტიკოსების კულისებს მიღმა საქმიანობაში გარკვევას ურჩევთ?***

— რა თქმა უნდა, იმიტომ რომ ადამიანი, რომელიც საჯარო სივრცეში არ მონაწილეობდა, პირველწყაროდან ვერ აღიქვამს იმ მოვლენებს, რომლებიც რეალურად ვითარდება. ივანიშვილი აუცილებლად უნდა გაერკვეს იმ ძალთა განლაგებაში, რომლებიც დღეს საქართველოშია. მან გუნდი პოლიტიკური პრინციპებისა და ღირებულებების მიხედვით უნდა შემოიკრიბოს და არა მხოლოდ სააკაშვილის სიძულვილით.

# ბიძინა ივანიშვილი — ქართული პოლიტიკის ახალი „ნათლიმამა“

**„ქართული ოცნება — ეს არის ერთიანი, მთლიანი, ძლიერი და სამართლიანი საქართველო“. ეს ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო პირობაა, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აუცილებლად შეასრულებს. ხელისუფლებაში რომ მოვა, ამაში თვითონ ერთი წამითაც არ ეპარება ეჭვი.**

**მის "ქართულ ოცნებაში" არ არის ქართველებისთვის საოცნებო დემოკრატია. და თუ წერილს გადავავლებთ თვალს, კითხვა, რატომ არ არის? აღარ იქნება. არ იქნება იმიტომ, რომ მილიარდერი ბიზნესმენი ვერ იტანს კრიტიკას და ვერც განსხვავებულ აზრს. დარწმუნებულია, რომ ზუსტად იცის, რა სჭირდება ქვეყანას და როგორ უნდა გააკეთოს.**

**ნინო მეტრეველი**

შეიძლება, მართლაც არის უმწიკვლო რეპუტაციის ბიზნესმენი რუსეთში, ევროპასა და ამერიკაში, როგორც თვითონ ამბობს, არის უანგარო ქველმოქმედი, ობიექტური, ჰუმანური, ლმობიერი, ამავდროულად, მკაცრი და მომთხოვნი ხელმძღვანელი, რომ მისი სიტყვა და საქმე ერთია და რასაც იტყვის, აკეთებს, მაგრამ ნამდვილად არ არის დემოკრატი. ასეთი სიტყვა არცაა მის დაპირებათა ნუსხაში და არც ოდესმე გამოუდვია თავი მისი დაცვისთვის ყველაზე ბობოქარ დღეებშიც კი.

ხშირად კეთდება ანალოგიები ბიძინა ივანიშვილსა და ბადრი პატარკაციშვილს Hშორის, რომლისგანაც ასეთი თავმომწონე, სხვისი დამამცირებელი და „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ როყიო განცხადებები არავის სმენია. ქართულ პოლიტიკაში ჯერ ფეხარშედგმული მილიარდერის პათოსი კი არცთუ ეთიკურია. მიხეილ სააკაშვილი, პირველ რიგში, სწორედ მისი ლოზუნგის „ვინც ჩემთან არაა, ჩემი, უფრო სწორად, ქვეყნის მტერიას“ ლოზუნგის გამო არ მოსწონს ხალხს. ივანიშვილმა კი პირველი, რაც გააკეთა, ყველა და ყველაფერი დედლებად და მამლებად, მისიანებად და სხვებად, მოღალატეებად და ერთგულებად, ნამდვილ და ფსევდოებად დაყო. ასე ერთად ყველა ფრონტზე შეტევა სააკაშვილსაც არ გაუბედავს.

კაცი, რომელიც სულ ოთხიოდე თვის წინ ამტკიცებდა, აპოლიტიკური ვარო, სხვადასხვა ეპისტოლედან საკუთარ მოსაზრებებს ერთადერთ ჭეშმარიტებად გვთავაზობს. დიდი ბიზნესიდან და ექვსი მილიარდიდან გამოყოლილი ამბიცია, „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ და "ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლება" პოლიტიკაში მაინდამაინც არ ამართლებს.

ვყიდულობ ტელევიზიებს, ვინც არ მომეყიდება, სააკაშვილისაა. დიდ ფულს გადავუხდი ჟურნალისტებს, ვინც ჩემზე აუგს იტყვის, ხელისუფლებისაა. არ მოსწონს პოლიტოლოგებისა და ექსპერტების ნაწილი, ისინი, ვინც, მისი შეფასებით, ხელისუფლების სურვილებს ახმოვანებენ და ორმაგი სტანდარტებით მოქმედებენ, მაგალითად, მოსწონს პაატა ზაქარეიშვილი და არ მოსწონს რამაზ საყვარელიძე.

ნამდვილ ოპოზიციად აკურთხა რესპუბლიკელები და ირაკლი ალასანიას "თავისუფალი დემოკრატები". ფსევდოებად — ქრისტიან-დემოკრატები, ლეიბორისტები, ახალი მემარჯვენეები და ეროვნულ-დემოკრატები. დანარჩენებთან როგორი ურთიერთობა ექნება, ამას ნელ-ნელა გაგვიმხელს, ალბათ, იმის მიხედვით, ვინ როგორ ხარისხში შეაქებს, რადგან, რესპუბლიკელები კი მოსწონს, მაგრამ გაბრაზებულია ლევან ბერძენიშვილზე, ჩემზე მედიაში აუგი თქვაო და იქვე დასძინა, მოდი, ყველა პარტიამ თქვას, საიდან ფინანსდება, არგუმენტს "მეგობრები მაფინანსებენ" არ მივიღებო. პარტნიორის კი არა, უფროსის პოზიციაა.

ჩივის, 2008 წლის არჩევნების გაყალბების შემდეგ ხელისუფლებასთან კავშირი რომ გავწყვიტე, მერე მთელი მედია თავს დამესხა და ხელისუფლებიდან დაკვეთილი შავი ნიაღვარი გადამასხაო. გადაჭარბებული ნათქვამია. მაშინ ერთ-ერთმა გაზეთმა მასზე რაღაც დაწერა, მერე იმ გაზეთს თავად ივანიშვილი თუ მისი პრესცენტრი თავს დაესხა და ომი კარგა ხანს გაგრძელდა, თუმცა ამას ასახვა სხვა მედიასაშუალებებში არ უპოვია, ანუ იმ პერიოდში და საერთოდ არც ერთ პერიოდში, ბოლო დრომდე ბიძინა ივანიშვილი ქართული მედიისთვის ძალიან აქტიური ფიგურა არასოდეს ყოფილა. თუ რამ იწერებოდა და ითქმებოდა, მწირი კულუარული ინფორმაცია იყო, რომ სააკაშვილთან და მის ხელისუფლებასთან მეგობრობდა, აფინანსებდა, მას ბობოყვათსა და ურეკში იქით სტუმრობდა პრეზიდენტი და ბოლოს ისევ ფულის გამო მოუვიდათ უსიამოვნება. ამ ჭორების დიდი ნაწილი, მისივე ნათქვამიდან გამომდინარე, სიმართლე აღმოჩნდა.

პოლიტიკოსობის პრეტენზიის მქონე ივანიშვილი ახლაც გვეუბნება, ძველი ამბების შეხსენებით და მასზე კითხვებით ნუღარ შემაწუხებთ, რაც სათქმელი იყო, გითხარითო. "ჟურნალისტებს ვთხოვ, ხელახლა ნუ დაიწყებენ საუბარს იმ თემებზე და ხელახლა ნუ მომთხოვებ პასუხს იმ კითხვებზე, რომლებსაც პასუხი გაეცა". ასეთი თხოვნა თუ მოთხოვნა ბატონ ბიძინას შეუძლია თავის ბიზნეს კომპანიებში წამოაყენოს, ჩვენ კი იმას შევეკითხებით და იმდენჯერ, რამდენჯერაც ჩავთვლით საჭიროდ და, როგორც პოლიტიკოსი, ვალდებულია, გვიპასუხოს.

რომ აღარ გადავდო, რამდენიმე შეკითხვას ახლავე ჩავაწოდებ:

რატომ ტოვებდა ორჯერ საქართველოს და რატომ საუბრობდნენ მისი ოჯახის წევრები ორი წლის მანძილზე ჩურჩულით, როგორც თვითონ ამბობს? იმაზე სერიოზული მიზეზი ხომ არ იყო პრეზიდენტთან დაპირისპირების, ვიდრე 2008 წლის არჩევნების გაყალბება?

მანამდე რომ მთელი საქართველო აპროტესტებდა ჩურჩულით საუბარს, გირგვლიანის, რობაქიძისა და სხვა უამრავი ბიჭის მკვლელობებს, უსამართლობას, სიყალბეს, მოითხოვდა ვანო მერაბიშვილის გადადგომას, ის რატომ აქებდა ვანო მერაბიშვილს პრეზიდენტთან? ამაყად რომ ამბობს, პრეზიდენტი ბიბოყვათში ჩამოფრინდა ჩემთვის სათქმელად, მერაბიშვილი უნდა გავათავისუფლოო, დავარწმუნე, რომ არ უნდა გაეკეთებინა და მართალი აღმოვჩნდიო, ვითომ კარგი ნათქვამია?

ჯერ კიდევ სამი წლის წინ იმხელა გავლენა ჰქონია ჩვენს უმაღლეს ხელისუფლებაზე, სააკაშვილს ბოკერიასთან შუამავლობაც კი უთხოვია, ცხინვალში ომის დაწყებას აპირებს და მიშველეო და მისი სიტყვისთვის დაუჯერებია ორივეს. ამხელა გავლენის ადამიანი დღეს რომ ამბობს, საპროტესტო აქციებს უმოწყალოდ არბევენ და ხალხს ხოცავენო, @2007 წლის ნოემბერში სად იყო, თბილისის ქუჩებში სისხლის გუბეები რომ იდგა? თუ მაშინ სჯეროდა, რომ ოპოზიცია ბადრი პატარკაციშვილთან ერთად რუსულ თამაშს თამაშობდა და ხელისუფლება მათ დამსახურებულად უმტვრევდა ცხვირ-პირს და იჭერდა?

შალვა ნათელაშვილი ხელისუფლებასთან გარიგებულიაო, რომ ამბობს, მაშინ, როცა ბატონი ივანიშვილი ხელისუფლებასთან ერთად ნირვანაში იყო და მათ პიარს Yყველანაირად უწყობდა ხელს, ლეიბორისტების ლიდერს ივანიშვილის სანაქებო შინაგან საქმეთა მინისტრი ოჯახიანად დევნიდა და ყველა სიტუაციას უმზადებდა, როგორმე ცხინვალში გადაეტყუებინა, რომ მერე სამშობლოს მოღალატედ გამოეცხადებინა. ამას "ვიკილიქსის" მასალებიც ადასტურებს.

რატომ შეწუხდა ასე გვიან არჩევნების გაყალბებით, მანამდე მთელი საქართველო რომ თვეების მანძილზე აპროტესტებდა უსამართლობასა და გაყალბებას, ივანიშვილს რატომ ეგონა სააკაშვილი ფრთიანი ანგელოზი?

კონფორმიზმით დაავადებული საზოგადოება ვერ გამიგებსო. სააკაშვილმაც ასე დაიწყო, წითელი ინტელიგენცია ვერ გამიგებსო და მერე გადავიდა ჩარეცხილებსა და აგენტებზე.

ივანიშვილმა უფრო იჩქარა უფლებების შელახვის კუთხით. ყოფილი თანამშრომელი, "ქართუს" გენერალური დირექტორი უიგა ჩრდილელი სპეცსამსახურების აგენტად გამოაცხადა. ხელაღებით დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია. საშვილიშვილოდ მოსცხო ჩირქი. წავიდეს ახლა და ამტკიცოს ჩრდილელმა, აგენტი არ ვარო.

ბატონი ბიძინას რისხვის ობიექტი მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი და რამდენიმე ოპოზიციური პარტიაა. მილიარდერი ბიზნესმენი სააკაშვილს გადადგომისკენ მოუწოდებს. არის თუ არა ეს ძლიერი საპროტესტო გამოსვლების საფუძველი, სამომავლოდ ვნახავთ, მანამდე კი საინტერესო ისაა, რომ მას, სააკაშვილის გარდა, ხელისუფლებაში პრეტენზიები არავისთან აქვს. ქვეყნისთვის არც ერთი ადამიანი დასაკარგი არ არის, მთავარია, გონს დროულად მოეგონო! ეს დროულად მოგება რას ნიშნავს, ხელისუფლებაში ყოფნის რვა წელს? ისე, როგორც თავად ბატონი ბიძინა მიხვდა საქართველოში ყველაზე ბოლოს, რომ არჩევნები ყალბდება, სასამართლო არ არსებობს, ბიზნესი დატერორებულია და, ვინც ამაზე წლების განმავლობაში ლაპარაკობდა და იბრძოდა, ერთი ხელის მოსმით ფსევდოებად გამოაცხადა?

K კიდევ ერთი საინტერესო პასაჟი — ბიძინა ივანიშვილი ვანო მერაბიშვილს წერილში სწერს, დაარწმუნე სააკაშვილი, გადადგეს, თუ არ გადადგება, შენ გადადექი და საქართველოში "პატივსაცემ და ღირსეულ ადამიანად" დარჩებიო. შეიძლება ივანიშვილს არ უნახავს შვილმკვდარი მშობლების აქციები, უკანონოდ დაჭერილი ადამიანები, წამებით გამოძალული ჩვენებები და ამიტომ ჰგონია, რომ მერაბიშვილი ხალხისგან პატივსაცემი ადამიანია, მაგრამ, საინტერესოა, იმავეს თუ ფიქრობენ ბიზნესმენის რჩეული რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები?

თუ ივანიშვილის საოცნებო საქართველო ისეთი უნდა იყოს, როგორიც პირადად მას წარმოუდგენია, ასეთი უკვე აგვიშენა მიხეილ სააკაშვილმა, ისეთი, როგორიც მას ჰქონდა წარმოდგენილი და არა ხალხს და ამით ბედნიერია.

პოლიტიკური ცხოვრება უფრო და უფრო საინტერესო ხდება. ბევრი ოცნების შემდეგ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი. გახდება თუ არა ის ქართული პოლიტიკის ახალი ნათლიმამა, მალე გახდება ცხადი.

# ეკა ბესელია: „ივანიშვილი საქართველოს მოქალაქეა“

**შორენა კოწოწაშვილი**

ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხი საკმაოდ დიდი ხმაურის თემა გახდა და ამაზე კომენტარებს არა მხოლოდ პოლიტიკოსები და კონსტიტუციონალისტები აკეთებენ, არამედ, ის ადამიანებიც, რომელთაც მხოლოდ პროპაგანდისტული მანქანის როლი აკისრიათ სატელევიზიო სივრცეში.

— ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქეა, — აცხადებს ივანიშვილის პირადი ადვოკატი ეკა ბესელია და იმ ოფიციალური დოკუმენტების ჩამონათვალს ავრცელებს, რომლებიც პოლიტიკაში მოსვლის სურვილის მქონე ბიზნესმენის საქართველოს მოქალაქეობას ადასტურებს.

ივანიშვილი საქართველოს მოქალაქეა და ეს დასტურდება შემდეგი საბუთებით:

1. — საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 10 ივნისის განკარგულება №484 ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე

2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა – გაცემულია 2006 წლის 7 მარტს

3. საქართველოს პასპორტი – გაცემულია 2006 წლის 13 მარტს.

4. ბოლოს, საქართველოს პასპორტი – გაცემულია 2011 წლის 29 ივნისს

5. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 10 ივნისის განკარგულება №484 ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე

5. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა – გაცემულია 2006 წლის 7 მარტს

6. საქართველოს პასპორტი – გაცემულია 2006 წლის 13 მარტს.

7. ბოლოს, საქართველოს პასპორტი – გაცემულია 2011 წლის 29 ივნისს

ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებულია ბოლო მონაცემებით, მათ შორის 2010 წლის მაისის ადგილობრივი არჩევნების მონაცემებით.

ადვოკატის თქმით, ბიძინა ივანიშვილმა ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვა 2004 წელს.

საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც ზემოხსენებული სააგენტოს წარდგენის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ბრძანებულებით ან განკარგულების ფორმით. მოქალაქეობის შესახებ კანონის თანახმად, დადგენილია პასუხისმგებლობა მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფო მოხელეთა არაკომპეტენტური და უკანონო მოქმედებების გამო.

— ამ დრომდე ბიძინა ივანიშვილს არ ჩაბარებია არანაირი სამართლებრივი დოკუმენტი მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე. თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლისა, აღიარებულია დაინტერესებული მხარის უფლება, მონაწილეობა მიიღოს იმ საკითხების განხილვაში, რომელიც ადგენს, ცვლის, ზღუდავს ან აუქმებს მის უფლებებსა და მოვალეობებს. ასეთ პირს ეძლევა საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა. ცხადია, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქეა და სახელმწიფო სტრუქტურების უკანონო მოქმედება ან მოვალეობათა შეუსრულებლობა შესაბამისი ორგანოების მხრიდან პასუხისმგებლობას იწვევს, — ნათქვამია ეკა ბესელიას განცხადებაში.

— ხელისუფლება ვალდებულია, ნაცვლად პოლიტიკური ანგარიშსწორების დაუშვებელი მეთოდების გამოყენებისა, მოიხმოს გონიერება და ნუ დააყენებს საკუთარ მოთხოვნებს კანონზე მაღლა. ჩვენ ვითხოვთ მკაფიო და კონკრეტულ განმარტებებს და, ამავდროულად, სამართლებრივი აქტის ჩაბარებას, რის საფუძველზე და რა სამართლებრივი ფორმით გადაწყვიტა ხელისუფლებამ, რომ ივანიშვილი საქართველოს მოქალაქე არ არის, — აცხადებს ეკა ბესელია.

## სააპელაციო სასამართლომ ბიწაძის საქმეზე საქალაქო სასამართლოს განაჩენი უცვლელი დატოვა

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ბადრი ბიწაძის საქმეზე საქალაქო სასამართლოს განაჩენი უცვლელი დატოვა.

სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიამ მარინე ხოლუაშვილის, გიორგი ჩემიას და მზია ლომთათიძის შემადგენლობით არ დააკმაყოფილეს ბიწაძის სააპელაციო საჩივარი, რომლითაც ის პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმებას და გამამართლებელ განაჩენს ითხოვდა.

ბიწაძეს განაჩენის გასაჩივრება ერთი თვის ვადაში საკასაციო წესით შეუძლია. ბიწაძის ერთ-ერთმა ადვოკატმა ლევან სამუშიამ განაცხადა, რომ აპირებენ განაჩენის გასაჩივრებას უზენაეს სასამართლოში.

მისი თქმით, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არ ეფუძნებოდა მტკიცებულებებს და განაჩენი დაუსაბუთებელია.

რაც შეეხება პროკურორს, აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მას კომენტარი არ გაუკეთებია.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბადრი ბიწაძეს დაუსწრებლად 5 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა. სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში, რაც წინასწარ შექმნილი ჯგუფის მიერ პოლიციელებზე თავდასხმების ორგანიზებას გულისხმობს. ბიწაძეზე ძებნაა გამოცხადებული.

**ინტერპრესნიუსი**

## რამაზ საყვარელიძე: ივანიშვილი თავის პოლიტიკურ კარიერას საკმაოდ არასტანდარტულად იწყებს

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის მიერ მისი მისამართით გაკეთებულ განცხადებას არ ეთანხმება.

როგორც პოლიტოლოგმა "მედიანიუსს" განუცხადა, იგი ორმაგი სტანდარტებით არ თამაშობს:

— ეს ალბათ უფრო მსმენელმა უნდა გადაწყვიტოს. მე კრიტიკული ვარ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მიმართ, როცა მივიჩნევ, რომ კრიტიკა დამსახურებულია, ეს კი არ მგონია, რომ ორმაგი სტანდარტი იყოს, — განაცხადა საყვარელიძემ და დასძინა, რომ მისთვის უცნობია, თუ რის გამო დაიმსახურა ივანიშვილისაგან ასეთი ყურადღება.

პოლიტოლოგის შეფასებით, ივანიშვილი თავის პოლიტიკურ კარიერას საკმაოდ არასტანდარტულად იწყებს, რადგან იქ, სადაც სხვა პოლიტიკოსები ჩუმად მოქმედებენ, იგი საკმაოდ პირდაპირია.

— როგორც ჩანს, ივანიშვილი ღია, გახსნილი სტრატეგიის მომხრეა, მაგრამ მეორეს მხრივ, ის ცდილობს თავისი ჩანაფიქრის კარტები ბოლომდე არ გახსნას, ანუ ის რაც მოხდა "ქართუ ბანკის" პრეზიდენტთან დაკავშირებით. შეიძლება, მას რაღაც ჩანაფიქრი აქვს, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩანს, — განაცხადა პოლიტოლოგმა

**მედიანიუსი**

# დავით აქუბარდია: „სხვა ეპოქა რომ იყოს, ბიძინა ივანიშვილს დუელში გამოვიწვევდი“

ტელეკომპანია “კავკასიის” დამფუძნებელი და საავტორო გადაცემის წამყვანი დავით აქუბარდია ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს ღია წერილით პასუხობს.

როგორც მასში ნათქვამია, სამწუხაროდ, ივანიშვილმა პოლიტიკური მოღვაწეობა ტელეკომპანია “კავკასიის” და პირადად აქუბარდიას ღირსების შეურაცხმყოფელი კამპანიით დაიწყო.

– უკვე რამდენიმე დღეა მიწევს თქვენი ბრალდებების კითხვა ჩემი ტელეკომპანიის და პირადად ჩემს მიმართ. მიწევს ვუპასუხო კითხვებს, რომლებზე სერიოზულად პასუხი მიჭირს. სამწუხაროა, რომ თქვენი პოლიტიკური მოღვაწეობა ჩემი ტელევიზიის და პირადად ჩემი ღირსების შეურაცხმყოფელი კამპანიით დაიწყეთ. არ ვიცი, რატომ აირჩიეთ ეს გზა, და რას ელოდებით ამ კამპანიის შედეგად. თუმცა დანამდვილებით ვიცი, რომ კაცი, რომელსაც წარმოდგენა აქვს ღირსებაზე, ასე ადვილად არ შეურაცხყოფს სხვა ადამიანის ღირსებას. თქვენგან განსხვავებით თავის ქება მიჭირს და არ დავიწყებ იმის მოყოლას, რა ფასად დამიჯდა ამ ქვეყანაში ლამის ერთადერთი დამოუკიდებელი ტელევიზიის შენარჩუნება, იმ პერიოდში, როცა თქვენ ვანო მერაბიშვილით მოხიბლული მისი ძმაკაცი და პრაქტიკულად პარტნიორი ბრძანდებოდით. არც იმის მოყოლას დავიწყებ, რამდენად მნიშვნელოვანი ფასეულობაა ჩემთვის პიროვნული თავისუფლება. არ ვარ დარწმუნებული, რომ ამის სწორად გაგება შეგიძლიათ. პირდაპირ და მარტივად გეუბნებით: არ მჭირდება თქვენი ფული იმისათვის, რომ საკუთარი მრწამსი და თავისუფლება არ გავყიდო. ფულის მაძიებელთა რიგი თქვენს კარზე, ვფიქრობ, უკვე საკმაოდ გრძელია და ეს თანხა შეგიძლიათ მათ მოახმაროთ, – წერს აქუბარდია და აღნიშნავს, დღეს რომ სხვა ეპოქა იყოს, ივანიშვილს დუელში გამოიწვევდა.

– თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ოცდამეერთე საუკუნეა, მე ტელეწამყვანი, თქვენ კი პოლიტიკოსობის გზაზე მდგარი ბიზნესმენი, გიწვევთ ჩემს გადაცემაში, ჩემს სტუდიაში, როგორც რიგით მოკვდავს რიგითი მოკვდავი. გპირდებით, რომ მოგეცემათ საშუალება სრულად და გარკვევით გამოხატოთ თქვენი პოზიცია ნებისმიერ თემასთან დაკავშირებით. გპირდებით, რომ დამოკიდებულება, რომელიც თქვენი უსაფუძვლო ბრალდებების და შეურაცხყოფის შედეგად ჩამომიყალიბდა, არ შემიშლის ხელს ობიექტური ვიყო თქვენს მიმართ. იგივე გირჩევთ თქვენც. მთელი ჩემი საქმიანობის მანძილზე მე ვგრძნობ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც საზოგადოების წინაშე მაკისრია. იმედია, თქვენც იგრძნობთ იგივე პასუხისმგებლობას და საზოგადოებას შეურაცხმყოფელი ფრაზებით სავსე გრძელ წერილებზე უფრო მეტს შესთავაზებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარწმუნებთ, კვარცხლბეკიდან გაკეთებულ ხმამაღალ განცხადებებს მალე გაუვა ყავლი, მე კი აღარ ვაპირებ სერიოზულად შევხედო ბრალდებებს, რომლებიც უკვე პიროვნულ აკვიატებას ემსგავსება. ველი თქვენს პასუხს ჩემს შემოთავაზებაზე, – ნათქვამია აქუბარდიას განცხადებაში.

**მედიანიუსი**

# გია თორთლაძე: „ივანიშვილის განცხადება “სიტყვა და საქმეში“ უნდა გამოქვეყნებულიყო“

საპარლამენტო ფრაქცია “ძლიერი საქართველოს თავმჯდომარე გია თორთლაძე ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკოსად, ხოლო საკუთარ თავს ბიზნესმენად არ მიიჩნევს. შესაბამისად, მას ივანიშვილთან თანამშრომლობა ისედაც ვერ წარმოედგინა.

ჟურნალისტებთან საუბრისას თორთლაძე ივანიშვილის იმ განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, ამ უკანასკნელის პარტია ფსევდოოპოზიციურ პარტიებს შორისაა, რის გამოც ივანიშვილი მასთან თანამშრომლობას გამორიცხავს.

დეპუტატის შეფასებით, ივანიშვილის განცხადებები მხოლოდ გაზეთ “სიტყვა და საქმეში”, ან ისეთ საიტზე უნდა გამოქვეყნდეს, სადაც ყიდვა-გაყიდვაზეა საუბარი.

თორთლაძის თქმით, მას ივანიშვილის პასუხები შემდეგ კითხვებზე აინტერესებს: არის თუ არა საქართველო რუსეთის მიერ ოკუპირებული და უნდა გაწევრიანდეს თუ არა იგი ნატოში.

გია თორთლაძე ბიძინა ივანიშვილზე, როგორც პოლიტიკურ ფიგურაზე, განცხადებას სწორედ მას შემდეგ გააკეთებს, რაც ამ კითხვებზე მის პასუხებს მიიღებს.

დეპუტატს ალოგიკურად მიაჩნია ბიძინა ივანიშვილის ტაქტიკა, რომლითაც ის, ერთი მხრივ, ოპოზიციურ პარტიებს ხელისუფლებასთან თანამშრომლობისთვის ლანძღავს, მეორე მხრივ, იმავე ხელისუფლების წარმომადგენელ ვანო მერაბიშვილს აქებს. მისი მოსაზრებით, ამის მიზეზი ის არის, რომ ივანიშვილს მერაბიშვილისა ეშინია.

**მედიანიუსი**

# კოკოითის სოხუმში ვილას ართმევენ

## თედეევს რეგისტრაციაში გატარებაზე უარი საბოლოოდ უთხრეს

**თეა მარხვაიძე**

გუშინ მთელი ყურადღება სამხრეთ ოსეთის უზენაესი სასამართლოსკენ იყო მიპყრობილი. სასამრთლოს, ცესკოს 2 წევრისთვის უნდა მოესმინა. რომლებიც ამტკიცებენ, რომ გენპროკურორმა ხუგაევმა მათ თედეევის წინააღმდეგ მიაცემინა ხმა. ამის გამო კი ცეხკომ ძამბოლატ თედეევს პრეზიდენტის კანდიდატად დარეგისტრირებაზე უარი უთხრა.

ამ უარს ცხინვალში რა შეჭრა-შემოჭრებიც მოჰყვა, ამის შესახებ “ახალი თაობა“ სისტემატიურად წერდა. ჩვენმა მკითხველმა ისიც იცის, რომ 30 სექტემბრიდან მოყოლებული ძამბოლატ თედეევი თავის სახლშია გამაგრებული. რომლის უსაფრთხოებასაც ასეულობით ადამიანი იცავდა.

გავრცელებული ცნობით, მასზე დაპატიმრების ორდენიც კი იყო გაცემული. თუმცა ის პროკურატურის შენობიდან უპრობლემოდ გამოუშვეს. პროკურატურაში ოპოზიციის ლიდერი ჩვენების მისაცემად 11 ოქტომბერს მივიდა.

საიტ “უასამონგას“ ცნობით, თედეევმა ამით კეთილი ნება გამოიჩინა. საიტის მტკიცებით, ჩვენების მიცემის პარალელურად ოპოზიციის ლიდერმა მოითხოვა, რომ პატიმრობაში მყოფი მისი მომხრეები გაეთავისუფლებინათ. ოპოზიციის თქმით, ამ დროისათვის ასზე მეტი ადამიანია დაკავებული. საინტერესოა ისიც, რომ 10 ოქტომბერს პატიმრობიდან 8 ადამიანი გაათავისუფლეს.

ამის შემდეგ თედეევი პროკურატურაში ჩვენების მისაცემად გამოცხადდა. როგორც აქაური პროკურატურის პრესცენტრი გვაუწყებს, თედეევის წინააღმდეგ საქმე 319-ე მუხლით არის აღძრული. თედეევს ხელისუფლების წარმომადგენლების შეურაცხყოფის გამო ედავებიან.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა თედეევს ამის გამო ედავებიან. ადგილობრივი ხელისუფლების წევრებს მან აპრილშიც სახალხოდ აგინა დედა. უშვერი სიტყვებით მოიხსენა კოკოითის დედაც. ამ გინებას კატეგორიულად უარყოფს შარისთავი თედეევი. ის არც ბოლო ბრალდებას აღიარებს.

პირიქით ამტკიცებს, რომ 30 სექტემბერს იქეთ აგინეს მის მომხრეებს დედა. და ეს აქაურ გენპროკურორს გაუკეთებია.

სააგენტო “რესის“ ცნობით, 30 სექტემბერს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება დასრულებულია. შედეგებს უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებენ. მართალია თედეევს ხელისუფლების წევრების გინების გამო ედავებიან, მაგრამ მას დაკავებას ვერ გაუბედავენ.

სამაგიეროდ უზენაესმა სასამართლომ მას ბოლო იმედი გადაუწურა. სასამართლომ ცესკოს მიღებული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. რაც იმას ნიშნავს, რომ ის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს

ამის მიუხედავად ის გაჩერებას არ აპირებს. ფარ-ხმალის დაყრას არც მისი მომხრეები აპირებენ. კოკოითიმ მისი სახით სერიოზული მტერი გაიჩინა. ეს მტრობა უკვე 8 წელია გრძელდება.

მათ დაპირისპირებაში აქტიურად ჩაერთო სპორტული სამყარო. თედეევი ხომ რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელია ჭიდაობაში. მის მხარდასაჭერად ცხინვალში ცნობილი მოჭიდავეები ჩამოვიდნენ. ზოგიერთი მათგანი ცხინვალში არ შეუშვეს.
– კოკოითიმ თქვა, რომ საზღვარი გახსნა და ცხინვალში შემოსვლაზე რუსეთის მოქალაქეებს პრობლემები აღარ შეექმნებოდათ. ეს არის ტყუილი, რადგანაც ამ დღეებში არ შემოუშვეს ოლიმპიური ჩემპიონი ხაჯიმურატ გაცალოვი, რომელიც რუსეთის მოქალაქეა და ჩემს მხარდასაჭერად მოდიოდა, – განაცხადა ბი-ბი-სის-თან საუბარში თედეევმა.

სხვათა შორის, გაცალოვი უკვე მეორედ არ შეუშვეს ცხინვალში. მისი ბედი კიდევ რამდენიმე ჩემპიონმა გაიზიარა. მათგან ყველაზე მეტად დენის ცარგუშს და მის ორ მეგობარს არ გაუმართლა. რომლებიც დააკავეს კიდევაც. აფხაზი ჩემპიონის დაკავების შესახებ “ახალი თაობა“ უკვე წერდა. ეს ინციდენტი 9 ოქტომბერს მოხდა. დაკავებულები რამდენიმე საათში გაათავისუფლეს. მათთვის ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. თუმცა აფხაზებმა ეს არ დაიჯერეს და კოკოითის სამაგიეროს გადახდით ემუქრებიან.

გუშინ გავრცელდა ცნობა, რომ ამ ინციდენტთან დაკავშირებით სოხუმი საპასუხო ზომების მიღებით იმუქრება.

– აფხაზი სპორტსმენები და საზოგადო მოღვაწეები ამის ასე დატოვებას არ აპირებენ. ისინი ახლო მომავალში მოითხოვენ კოკოითებისთვის სოხუმში ვილის და სხვა უძრავი ქონების ჩამორთმევას, – იუწყება პორტალი “ოსეტია,კვაისა“.

ამავე პორტალის ცნობით, ცარგუშის დაკავებაზე რეაგირება თვით ანქვაბსაც მოუხდენია. მან თურმე პირადად დარეკა ცხინვალში და ცარგუშის გათავისუფლება მოითხოვა. ეს გასაკვირი არცაა, ცარგუში პირველი აფხაზია, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ის აფხაზებს ძალიან უყვარს.

რაც შეეხება კოკოითების ქონებას სოხუმში, როგორც ამბობენ ის საკმაოდ სერიოზულია. გასულ წელს კოკოითის ძმას, რობერტს სოხუმში ბინა წაართვეს. ეს კაცი აქ სამხრეთ ოსეთის ელჩია. როგორც ამბობენ ისიც კაი სახლი იყო, მაგრამ ეს თეთრი ვილა მაინც სულ სხვაა.

აფხაზების გარდა კოკოითის თავხედობას მთელი რუსული სპორტული საზოგადოება აპროტესტებს. პრეზიდენტმა მათ შეუთვალა საქმეში ნუ ერევით და სიტუაციას კიდევ ნუ ძაბავთო. მაგრამ ვინ დაუჯერა. მათ რუსეთის პრეზიდენტს ღია წერილი მისწერეს და ცხინვალში არსებულ ვითარებაში ჩარევა სთხოვეს.

ვიდრე უზენაესი სასამართლო განაჩენს გამოიტანდა, თედეევმა ბი-ბი-სის მისცა ინტერვიუ. ის იმ მომენტისთვის დარწმუნებული იყო, რომ სასამართლო სამართლიან გადაწყვეტილებას გამოიტანდა.

თედეევმა პირობა დადო, რომ ის ცხინვალიდან მალე არ წავიდოდა.

– აქ ჩემი სახლია და რატომ უნდა წავიდე რუსეთში?, – დასვა კითხვა თედეევმა. თითქოს ეს 10 წელი სულ რუსეთში არ ცხოვრობდა.

რამდენიმე თვის წინ მან თქვა, რომ არჩევნებში მონაწილეობას მხოლოდN რუსეთის თანხმობის შემთხვევაში მიიღებდა. ამ ვითარებაში კი ისე გამოჩნდა, რომ რუსეთისგან თანხმობა არ ჰქონდა. არადა მას კრემლსა და დუმაში ბევრი მეგობარი ჰყავს.

აქტიურად იწერება იმის შესახებაც, რომ რუსეთი მხარს ანატოლი ბიბილოვის კანდიდატურას უჭერს. და 20 სექტემბერს ის გენერალ შოიგუსთან ერთად მის მხარდასაჭერად ჩავიდა ცხინვალში. ამაზე თედეევს სხვა შეხედულება აქვს.

– არც ნარიშკინი და არც შოიგუ აქ ბიბილოვის მხარდასაჭერად არ ჩამოსულან. მათ როცა ჰკითხეს, ვის უჭერდნენ მხარს თქვეს, რომ ითანამშრომლებენ იმასთან ვისაც ხალხი აირჩევს. არც ნარიშკინს და არც შოიგუს მინიშნებაც კი არ გაუკეთებიათ, რომ ბიბილოვს უჭერენ მხარს, – ამბობს ოსი ოპოზიციონერი.

ჯერ ცნობილი არ არის რას მოუხერხებენ სასამართლოს გადაწყვეტილებას თედეევის მომხრეები. ცნობილი ისაა, რომ ამ ფაქტის ასე დატოვებას არ აპირებენ. ცნობილია ისიც, რომ 16 ოქტომბერს ვლადიკავკაზში კოკოითის საწინააღმდეგო აქცია გაიმართება.

# ავღანეთში მორიგი ქართული ბატალიონი გაემგზავრა

**საქართველოს შეიარაღებული ძალების 31–ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონი ავღანეთში გაემგზავრა. 749 სამხედრო მოსამსახურე საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალები ოპერაციაში მიიღებენ მონაწილეობას. ქართული სამშვიდობო ბატალიონი მისიას ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში, ჰელმანდის პროვინციაში შეასრულებს. ისინი ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან ერთად 6 თვის განმავლობაში იქნებიან ოპერაციაში ჩართული.**

სამხედროების გაცილების ცერემონია გუშინ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი, გენერალ–მაიორი დევი ჭანკოტაძე, შეიარაღებული ძალების და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელი პირები და საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნის ელჩები და სამხედრო ატაშეები ესწრებოდნენ. ქართველი სამხედროები ნატოს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტემენტის შეიარაღებულ ძალთა განვითარების დაგეგმვის დირექტორატის უფროსის ფრენკ ბოლანდის ხელმძღვანელობით ნატოს დელეგაციის წევრებმა გააცილეს.

2010 წლის აპრილიდან, ავღანეთის სამხრეთით მდებარე ჰელმანდის პროვინციაში საქართველოს შეიარაღებული ძალების მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ქვეითი ბატალიონის 749 სამხედრო პირი გაიგზავნა, რომელიც აშშ-ის სამხედრო ძალების მხარდაჭერით სრული სპექტრის ოპერაციებს ახორციელებდა. 31-ე ბატალიონი მესამე ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონმა 2010 წლის ნოემბრის თვის განმავლობაში როტაციის წესით ჩაანაცვლა. 2011 წლის აპრილის შემდეგ სამშვიდობო მისიას ჰელმანდის პროვინციაში 33-ე ბატალიონი აგრძელებდა. 31-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონი 33-ე ბატალიონს ჩაანაცვლებს.

31-ე ბატალიონისათვის ეს უკვე მეორე როტაციაა. როგორც თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, ბატალიონი გამოცდილებითა და მომზადების მაღალი დონით გამოირჩევა. ნატო–ს ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად 31–ე ბატალიონმა ექვსთვიანი ინტენსიური გადასროლისწინა მომზადების კურსი გაიარა. ოპერაციების წარმოებისათვის ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა მომზადება შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითთა წვრთნისა და მრჩეველთა ჯგუფის ხელმძღვანელობით გაიარეს. მათ დაცვის, ჩხრეკის, წმენდისა და კორდონის, ასევე კონვოის ოპერაციები, დაშავებულთა ევაკუაციის პროცედურები და მოსახლეობასთან და ლიდერებთან ურთიერთობები შეისწავლეს.

სპეციალური მომზადება 31–ე ბატალიონმა ვაზიანის და სასწავლო ცენტრ კრწანისის მოსამზადებელ ბაზებზე გაიარა; ბატალიონის პირადი შემადგენლობა იმყოფებოდა გერმანიის ქალაქ ჰოჰენფელსშიც, სადაც სამხედრო წვრთნებს აშშ-ს გაერთიანებული მრავალეროვანი მზადყოფნის ცენტრში გადიოდა. ჯარისკაცების მომზადების დონე და მათი მზადყოფნა კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად დადებითად შეაფასეს როგორც ცენტრის ექსპერტებმა, ისე აშშ-ის საზღვაო ქვეითთა წვრთნისა და მრჩეველთა ჯგუფმა.

**მედიანიუსი**

# ზაზა ხატიაშვილი: „სააკაშვილი ლუკაშენკოზე უარესია“

## რა საფრთხეს შეიცავს ახალი საპროცესო კოდექსი

შორენა გონგლაძე

საქართველოში რომ სამართლის ცნება მხოლოდ ფურცელზე და ისიც შორეულ მოგონებად დარჩა, ეს უკვე ძველი ამბავია. ახალი ის არის, რომ საერთაშორისო დონეზე დემოკრატიის მამად აღიარებულმა სააკაშვილმა სასამართლო რეფორმის ფარგლებში, ცვლილებებით დახუნძლული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სახით კიდევ ერთი სიურპრიზი მოუმზადა ადვოკატებს. ახალმა კოდექსმა, ტრადიციულად, საერთაშორისო ორგანიზაციების მოწონება დაიმსახურა, მაგრამ, ყველაზე მთავარი ის არის, რომ რატომღაც ამ ყველაფერს ქართველი საზოგადოება ტრადიციული დუმილით შეხვდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს, რომ საქართველოს თითოეული მოქალაქე პოტენციური პატიმარია, რომ არავინ იცის, ჩვენ მიერ დუმილით მხარდაჭერილი კოდექსის სიმწვავეს ვინ როდის გამოვცდით საკუთარ ტყავზე. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილის განცხადებით, საქართველოში ადვოკატების ინსტიტუციონალური დევნა ხორციელდება.

-- საქართველოში შემოვიდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელმაც მწვანე შუქი აუნთო ბრალდების მხარის ნებისმიერი მტკიცებულების დაკანონებას და ადვოკატი ყველაზე დაბალ საფეხურზე დაიყვანა. ასეთ უუფლებო მდგომარეობაში ადვოკატთა კორპუსი არ ყოფილა. საქართველოში მოქმედმა ორგანიზაციებმა, ვინც დადებითი დასკვნა დადო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე, მე ვიტყვი, რომ ისინი არიან ადვოკატთა კორპუსის მტრები. ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში წერია, რომ ადვოკატს აქვს ბრალდებულის ყველა უფლება, ისიც კი არ იკადრეს, რომ ადვოკატი, როგორც ინსტიტუტი, ცალკე თავად აღრიცხულიყო. კოდექსიდან ამოაგდეს დაზარალებულის ინსტიტუტი და ამის უკან დგას მერაბიშვილ-ადეიშვილის კონკრეტული მოსაზრებები, ვინაიდან, თუ ვაზაგაშვილისნაირად კაცს დახვრეტენ, მან არ უნდა იჩივლოს. ელემენტარულად, მოისპო იმის უფლება, რომ საქმის შეწყვეტა სასამართლოში გასაჩივრდეს, ასევე ადვოკატი არ არის მითითებული, როგორც სისხლის სამართლის საქმის გამსაჩივრებელი სუბიექტი სააპელაციო სასამართლოში. აქედან გამომდინარე, ადვოკატთან მიმართებით მთლიანად მოკლეს სამართალწარმოება. ყველაზე დიდი უბედურება, რაც ადვოკატებს დამართეს, არის ის, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლში ჩაწერეს, რომ ადვოკატს არა აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ამოღება-ჩხრეკასა და ფარულ მიყურადებაზე. ამოღება ისე რომ იყოს აქაც განმარტებული, როგორც ეს ევროპის ქვეყნებშია, მაშინ ამოღება იქნებოდა სხვა რამ და მტკიცებულების მოპოვება – სხვა, მაგრამ საქართველოს სასამართლოები ამას ტყუილად არ ჩადებდნენ. ისინი აუცილებლად გაართულებდნენ მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობას. მართლაც, როგორც კი ახალმა პროცესმა დაიწყო მოქმედება, პირველი ინსტანციის მოსამართლეს ვაჟა ფუხაშვილს მიმართა ადვოკატმა ლევან სამუშიამ, რათა “ჯეოსელიდან“ გამოეთხოვა ზარების დეტალური ამონაწერი მტკიცებულების სახით, მოსამართლემ კი უპასუხა, რომ, 111-ე მუხლის თანახმად, ეს არის ამოღებული. ამ ცვლილებებმა ადვოკატის მდგომარეობა უარესობისკენ შეცვალა. ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციონალურ დევნაზე გაიმართა შეხვედრა, სადაც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საკითხი პირველ საკითხად გაიტანეს, მე, პირადად, ორი საათი დამითმეს. ხალხი გაოცებული მისმენდა, როდესაც ვსაუბრობდი იმაზე, თუ რა მდგომარეობაა ამ კუთხით საქართველოში. საქართველოში ასევე იმყოფებოდა ევროპის ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორია, ისინი მივიყვანე მე-7 საპყრობილესთან და ვაჩვენე, რა დღეში იყვნენ ადვოკატები. ასევე შეხვდნენ ყველა ნაცემ ადვოკატს. ისინი თავად დარწმუნდნენ, რომ სახეზეა ადვოკატთა ინსტიტუციონალური დევნა. ადვოკატთა ასოციაციამ შეძლო ის, რომ ეს თემა აქცია საერთო ევროპულ საქმედ. სააკაშვილმა მიიღო ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტის წერილი ამ პრობლემასთან დაკავშირებით. თუნდაც ავიღოთ ჟურნალისტები, რა დღეში ჩაგყარათ დემოკრატიის შუქურამ. ეს შუქურა ხელისუფლების სათავეში რომ მოვიდა, პირველი შევარდა „იბერიაში“. ამის შემდეგ ჩაიყვანეს ამერიკაში და პრიზი მისცეს, კარგი ბიჭი ხარო, წაახალისეს, შემდეგ სპეცრაზმი „იმედში“ შევარდა, რა დამართეს “იმედის“ ჟურნალისტებს, რომელიმე ჟურნალისტმა ამოიღო ხმა? დადეთ დასკვნა ჟურნალისტთა ინსტიტუციონალურ დევნაზე? მაგრამ სამაგიეროდ ადვოკატთა ასოციაციამ გაგიკეთათ ის, რასაც მე ვაკეთებ. სააკაშვილსა და მერაბიშვილს ძალიან ეშინიათ, გადამდები არ აღმოჩნდეს ჟურნალისტთა კორპუსისათვის, ხმა არ ამოიღონ ვეტერანებმა, დევნილებმა, მოვაჭრეებმა და სხვა. ერთი წლის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებელი არც ერთ ჩემს პრესკონფერენციას არ აშუქებდა, როდესაც ვთქვი, პერსონა ნონ გრატად გამომაცხადეს-მეთქი, მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს ჩემი პრესკონფერენციების გაშუქება. ჩვენ მხარს გვიჭერს მხოლოდ ბეჭდური მედია, მხოლოდ მისი გადაბირება ვერ შეძლო დემოკრატიის შუქურამ.

–საქართველოში არსებული პრობლემები, რომლებზეც ახლა საუბრობთ, არაერთხელ მოხვდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა თუ სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების დასკვნაში, თუმცა, ხდება საპირისპირო, ყველაფრის მიუხედავად, სააკაშვილი მისაღებია სწორედ მათთვის, ვინც მის რეფორმებს აკრიტიკებს...

–სააკაშვილის რეჟიმი რომ ვამხილოთ ბოლომდე, საჭიროა ევროკავშირში მუშაობა, იმიტომ რომ ამერიკელებისათვის სააკაშვილი ყველაფერს გააკეთებს. ეს დასკვნები და განცხადებები მეორეხარისხოვანია. პირველხარისხოვანი არის ის, რომ როდესაც სიტუაცია იძაბება, მაშინვე სააკაშვილს ეხმარებიან. მინდა გაგახსენოთ, როგორ მოუგო ლევან გაჩეჩილაძემ სააკაშვილს არჩევნები, გავიხსენოთ ტეფტის ქმედებები, რა უნდოდა ამერიკის ელჩს არჩევნებამდე საარჩევნო კომისიაში, ეს არ არის ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა? გოგი თოფაძემ ერთხელ, იცით, რა თქვა? რაიმე გადაწყვეტილებას რომ ვიღებდით, გვეშინოდა, ამერიკის ელჩს მოეწონებოდა თუ არაო. გიგა ბოკერიას რომ ჰკითხეს, ამას რომელი კანონით ლობირებთო და რომ უპასუხა, ჯორჯ ბუშის კანონებითო, გახსოვთ? ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს გაუკეთებია ერთი განცხადება მაინც, გიგა ბოკერიას ვინ ჰკითხავს, ჩვენი კი არა, საქართველოს კანონებით უნდა იხელმძღვანელოთო. ისინი ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენ, მათი ნაბიჯები მიმართულია სააკაშვილის რეჟიმის განმტკიცებისაკენ. მე ვთვლი, რომ სააკაშვილი არის რიგითი გუბერნატორი, რომელიც სახელმწიფო გადატრიალებით მოიყვანეს ხელისუფლებაში. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ სააკაშვილი ამერიკელებისგან ყოველთვის იქნება მხარდაჭერილი. სააკაშვილმა კარგად იცის, რომ თუ ამერიკელების დაკრულზე არ იცეკვებს, მაშინვე გადმოაგდებენ.

–ამ შემთხვევაში მე ვერ ვხედავ იმ აქციების აზრს, რომელიც იმართებოდა და, არ არის გამორიცხული, კიდევ დაიწყოს აქციების ახალი ტალღა. ოპოზიცია რატომ ვერ აცნობიერებს ამას?

–შედეგს რომ მიაღწიო, სწორად უნდა დაგეგმო. მე ვფიქრობ, რომ დაიწყება დაუგეგმავი აქციები და ჩვენი ოპოზიცია ხალხის ნდობას საბოლოოდ დაკარგავს. გავიხსენოთ, რამხელა აგრესია იყო ხელისუფლების მიმართ 7 ნოემბერს. ეს აგრესია კი არ შენელდა, პირიქით, გაიზარდა, მაგრამ ვანო მერაბიშვილმა და სააკაშვილის იმიჯმეიკერებმა ოპოზიცია გახადეს ისეთივე არაპოპულარული და საზიზღარი, როგორიც ეს ხელისუფლებაა. ოპოზიციის ამ დაუგეგმავმა ნაბიჯებმა საქართველოში ჩაკლა ღია პროტესტი. იმისათვის, რომ დასავლეთი მოგეხმაროს, სწორად უნდა დაგეგმო. ერთადერთი სწორი ნაბიჯი არის ის, რომ ქართველმა ხალხმა ხელმოწერებით მოითხოვოს სააკაშვილის არშეშვება ევროკავშირის ტერიტორიაზე, როგორც ეს მოხდა ლუკაშენკოს შემთხვევაში. თუ მსგავსი დოკუმენტი არ არსებობს, ევროპა მხარს არ დაგიჭერს, მაგრამ, თუ ევროპა მხარს დაგიჭერს, ამერიკელები ველარ გააგრძელებენ სააკაშვილის მხარდაჭერას, ვინაიდან ობამას აქვს დემოკრატის იმიჯი და, თუ დასავლეთმა თქვა, რომ ის არის საზოგადოების მტერი, ჩათვალეთ, რომ დაიწყება სააკაშვილის რეჟიმის დასასრულის დასაწყისი. ამიტომ სააკაშვილს უფრო აწყობს ეს აქციები, ვიდრე ის, რომ მის წინააღმდეგ ხალხმა სამართლებრივად იბრძოლოს და პერსონა ნონ გრატად გამოაცხადონ.

# წინასწარი პატიმრობა ეკონომიკური დანაშაულისთვის უნდა გაუქმდეს!

ნათია ხურცილავა

დავით გამყრელიძემ, მას შემდეგ, რაც ახალი სტრატეგიის შესახებ გააკეთა განცხადება, პირველი პოლიტიკური დოკუმენტიც გამოაქვეყნა. “ახალი მემარჯვენეები“ თავიანთ პრიორიტეტს ასახელებენ. პრიორიტეტი მცირე ბიზნესის განვითარება და მისი მხარდაჭერაა.

ახლების სტრატეგია, რომელიც 4 წლის განმავლობაში იქნება მათთვის პრიორიტეტული, უკვე საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია.

დავით გამყრელიძემ თავისი პარტიის ახალი სტრატეგია ახალგაზრდებს გუშინ “რედისონში“ გააცნო.

სტრატეგიის პრეზენტაციას არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

დოკუმენტში აქცენტი რამდენიმე ძირითად მიმართულებაზეა გაკეთებული: ეკონომიკა და მცირე ბიზნესი, სოფლის მეურნეობა, როგორც ეკონომიკის განვითარების ყველაზე ჯანდაცვა და მისი ხელმისაწვდომობა, განათლების მაღალი ხარისხი და მისი საყოველთაოობა, თვითმმართველობის გაძლიერება და მისი დეცენტრალიზაცია.

“ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი ჟურნალისტებთან საუბარში განმარტავს, რომ პროგრამა, რომელიც მათი სტრატეგიის ნაწილია, წინასაარჩევნო არ არის.

პროგრამაში სოფელი “ახალი მემარჯვენეების“ მიერ განიხილება, როგორც შეუცვლელი ადგილსამყოფელი.

ახლების ლიდერმა ახალი იდეის შესახებ გააკეთა განცხადება. გამყრელიძე სოფლისთვის კანონის მიღების იდეით გამოდის.

გამყრელიძე სოფლის მართვის ახალ მოდელზე აკეთებს აქცენტს, რომელიც თანამედროვე ტიპის იქნება.

ახლები აცხადებენ, რომ სოფლის მეურნეობა ბიზნესისთვის მიმზიდველ დარგად უნდა იქცეს. სწორედ სოფელია ქართული ეროვნული იდენტობის შენარჩუნების ერთ-ერთი კერა. ასეთია მათი დამოკიდებულება.

– დღეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. ძალიან დიდია უმუშევრობის მაჩვენებელი სოფლად. არავინ ფიქრობს თანამედროვე სოფელზე. ასევე განათლების მიღება სოფლად სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს. მოუწესრიგებელია სოფლის შიდა ინფრასტრუქტურა (გზები, წყალმომარაგება, გაზის მიწოდება, ნაგვის გატანა და ა.შ.) სოფელი და მისი აღორძინება არ არის ამ ხელისუფლების პრიორიტეტი. კრიზისი სოფლის მეურნეობაში პირდაპირპროპორციულად აისახება სოფლად ცხოვრების დონეზე, – განაცხადა დავით გამყრელიძემ.

ახლების ლიდერი აცხადებს, რომ მათი ოთხწლიანი მუშაობა ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარებასა და ქვეყანაში საშუალო ფენის ჩამოყალიბებას დაეთმობა.

– ჩვენ ხაზი გავუსვით, რომ ეკონომიკური, სოციალური პრობლემების დაძლევა დაკავშირებულია ქვეყანაში საშუალო ფენის ჩამოყალიბებასთან. საშუალო ფენა კი შეიძლება ჩამოყალიბდეს, თუ ჩვენ ხელს შევუწყობთ მცირე ბიზნესს. ეს არ ნიშნავს, რომ ამ დოკუმენტში მხოლოდ ეკონომიკასა და მცირე ბიზნესზეა საუბარი. გარდა ამისა, დიდი ადგილი ეთმობა სოფლის მეურნეობასა და სოფლის პრობლემებს. არ დაგვავიწყდეს, რომ მოსახლეობის თითქმის 50 პროცენტი სოფელში ცხოვრობს. ცხოვრების სტანდარტებში ძალიან დიდი სხვაობაა სოფელსა და ქალაქს შორის. სოფლის დღევანდელი პრობლემები და მისი გადაჭრის ხედვა გვაქვს წარმოდგენილი დოკუმენტში. ამ დოკუმენტში აქცენტი ასევე გაკეთებულია ჯანდაცვაზე, ამ სისტემაში არსებული პრობლემების მოგვარებასა და ხელმისაწვდომობაზე. დოკუმენტში საუბარია განათლებაზე, როგორც ერთ-ერთ პრიორიტეტზე, – აღნიშნა ახლების ლიდერმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოფლის შესახებ კანონის მიღება ახლების ახალი იდეაა.

– ამ კანონის მიხედვით ჩვენ უნდა განვსაზღვროთ სოფლის სტატუსი. სოფელს სტატუსი დღეს არა აქვს. ეს არის მხოლოდ ხალხში შემორჩენილი ცოდნა საზღვრების შესახებ, სახელწოდება და ტრადიციები, მაგრამ ამას არა აქვს იურიდიული საფუძველი. კანონის მიღება ნიშნავს ქონების, საკუთრების, უფლებების განსაზღვრას, სახნავიდან, საძოვრიდან დაწყებული, ასევე იმაზე, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებებს, ვინ მართავს სოფელში პროცესებს. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქონებრივთან ერთად გარკვეული უფლებებიც განისაზღვროს, – ამბობს ახლების ლიდერი.

თანამედროვე სოფლის მოსაწყობად სერიოზული ინვესტიციების განხორციელებაზე საუბრობენ ახლები, რომ მოგვარდეს შიდა ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციების პრობლემები და ხელმისაწვდომი იყოს ინტერნეტი.

როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკური დოკუმენტი, რომლებიც ახლებმა წარმოადგინეს, არ მოიცავს ყველა საკითხზე პასუხს, რადგან დოკუმენტში ყურადღება პრიორიტეტულ თემებზეა გამახვილებული.

– ეს არ არის ჩვენი საარჩევნო პროგრამა. საარჩევნო პროგრამას არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე წარვადგენთ. ეს არის პოლიტიკის დოკუმენტი, რაც ნიშნავს იმას, რომ აქ გამოკვეთილი და ჩამოყალიბებულია ის ძირითადი პრიორიტეტები “ახალი მემარჯვენეების“ პოლიტიკისა, რომელსაც ჩვენ გავატარებთ. აქედან გამომდინარე, ამ დოკუმენტში არ არის პასუხი ბევრ მიმართულებაზე. აქ საუბარია ძირითად პრიორიტეტებზე, – აღნიშნა დავით გამყრელიძემ.

დოკუმენტში საუბარია ეკონომიკურ შეცდომებსა და იმ შედეგებზე, რომლებიც მას მოჰყვა.

– შეცდომა იყო, როდესაც პროკურატურა და ძალოვანი სტრუქტურები დაკავდნენ ბიზნესმენებთან ურთიერთობების გარკვევით და არა ფინანსური სტრუქტურები. წინასწარი პატიმრობა ეკონომიკური დანაშაულისთვის ქვეყანაში უნდა გაუქმდეს. ამის პრეცედენტები ბევრ ქვეყანაშია. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აღარ უნდა არსებობდეს ეკონომიკური დანაშაულისთვის, მაგრამ ცნობილია, როგორ ხდება ბიზნესის წართმევა, მეწარმეებისაგან ფულის ამოღება. ეს ხდება წინასწარი პატიმრობით, ადამიანს ციხეში სვამენ, სადაც ისეთი პირობებია, რომ სამართლიანობის გარკვევაზე საუბარი აღარ არის. მეწარმე მზად არის, გადაიხადოს ნებისმიერი თანხა, აიღოს ვალი. ასეთი ფორმით ხდება ბიუჯეტის შევსება, – აცხადებს გამყრელიძე.

ახლების დოკუმენტში საუბარია საგადასახადო კოდექსისთვის ორგანული კანონის სტატუსის მინიჭებაზე.

გამყრელიძის ინიციატივით, ქვეყანაში ბიზნეს-ომბუდსმენი არა პრემიერ-მინისტრს, არამედ პარლამენტს უნდა იყოს დაქვემდებარებული.

დავით გამყრელიძემ ბიძინა ივანიშვილზეც გააკეთა განცხადება. გამყრელიძე ივანიშვილს კარჩაკეტილობას უწუნებს და მეტი ღიაობისკენ მოუწოდებს.

– პირველ რიგში, იმაზე მინდა ვთქვა, რომ ბატონი ივანიშვილი არ აპირებს ჩვენთან თანამშრომლობას. ეს ჩვენ არასდროს შეგვითავაზებია არც მისთვის და არც სხვა პოლიტიკური ძალისთვის. ერთი წელია, რაც ვიმეორებთ, რომ არ ვაპირებთ არავისთან გაერთიანებას. არჩევნებში მარტო მივიღებთ მონაწილეობას. ასე რომ, ეს არის ის საკითხები, რაშიც ჩვენი აზრები ერთმანეთს ემთხვევა. მან თავისი ფავორიტები ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც გამოკვეთა. მე მათთან ერთად ვუსურვებ წარმატებებს პოლიტიკურ მოღვაწეობაში. რამდენად წარმატებული იქნება, ამას დრო გვიჩვენებს, – ამბობს გამყრელიძე.

დავით გამყრელიძე აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილი იმ პრინციპით ხელმძღვანელობს, რომლითაც ხელისუფლება.

– აშკარაა, რომ ეს ადამიანი ზუსტად იმ პრინციპით ხელმძღვანელობს, რომლითაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ხელისუფლება – ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია. ეს არის ცნობილი ბოლშევიკური მიდგომა, რაც ნამდვილად არ წაადგება ბატონ ივანიშვილს. ყველას, ვისაც ოდესმე კრიტიკული უთქვამს ან განსხვავებული აზრი გამოუთქვამს ბატონ ივანიშვილზე, თავის მოწინააღმდეგედ, მიუღებელ ფიგურად მიიჩნევს. არ ვიცი, რისი ბრალია, მაგრამ ალბათ მისი ჩაკეტილი ცხოვრების პრინციპის შედეგია. ვურჩევდი, მეტი ღიაობა შესთავაზოს საზოგადოებას, მეტი ერთობა, ვიდრე მისიანებად და სხვისიანებად დაყოფა, – განაცხადა გამყრელიძემ.

# თემურ ქორიძე: „ხელისუფლება თავისას ყოველთვის ვერ მიაღწევს“


თემურ ქორიძე

გულიკო ბალაძე

**ინტერვიუ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატ თემურ ქორიძესთან**

***— ბატონო თემურ, როგორია თქვენი აზრი ბოლო პერიოდის მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით, საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის ვიზიტით რა შეუძლია მიიღოს ჩვენმა ქვეყანამ?***

— ეს ვიზიტი გახლდათ ბატონი სარკოზის საარჩევნო კამპანიის ერთი ეპიზოდი, რითაც ის თავის მოსახლეობას უმტკიცებს, თუ რაოდენ აქტიურად მოღვაწეობს საერთაშორისო პოლიტიკაში, რაოდენ მნიშვნელოვანი ფიგურაა საერთაშორისო ურთიერთობებში. რაც მთავარია, გარდა სავალდებულო ეტიკეტით განსაზღვრული ნორმებისა, რომელიც ცალკეული ფრაზებით გამოიხატა (მაგალითად, საქართველო არის თავისუფალი, საქართველოს შეუძლია, არჩევანი გააკეთოს, საფრანგეთი საქართველოს მეგობარია. დარწმუნებული ვარ, იგივე თქვა აზერბაიჯანსა და სომხეთშიც), საქართველოში განსაკუთრებით ერთ რამეს გაუსვა ხაზი — ეს იყო უაღრესად კონკრეტული მაგალითი შარლ დე გოლისა და კონრად ადენაუერისა — როდესაც ის ძალიან მარტივი მაგალითის მოშველიებით შეეცადა, მიხეილ სააკაშვილისთვის ჩაეგონებინა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების აუცილებლობა. ეს იყო პირდაპირ და ძალიან მარტივად ნათქვამი ფრაზა. ხაზგასმით ითქვა ისიც, რომ საფრანგეთი არის რუსეთის მეგობარი და პარტნიორი. ეს პირდაპირ მოთხოვნასავით გაისმა საკოზისაგან. არ მოველოდი, სარკოზი ასე ღიად, ტლანქად და უხეშად თუ დაილაპარაკებდა იმ ქართველი საზოგადოების წინაშე, რომელმაც სამი წლის წინ ძალიან მწარე დღეები გამოიარა რუსეთის გამო. ცხადია, ამ შემთხვევაში სარკოზი თავისი ამომრჩევლის წინაშე გაცილებით მეტად მოიწონებს თავს. მისთვის ფრიად მომგებიანია რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაზე ხაზგასმა მიხეილ სააკაშვილის თანდასწრებით. ეს იყო პირდაპირ, არადიპლომატიურად და ულტიმატუმის ენით მოთხოვნა საფრანგეთის მხრიდან. დანარჩენი იყო კოსმეტიკა, რაღაც ეტიკეტის დაცვით ნათქვამი ფრაზეოლოგია, რომლის ანალოგი მან სომხეთსა და აზერბაიჯანში გაიმეორა.

***— საინტერესოა, სარკოზი რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე რუსეთის ხელისუფლების აზრისაგან სრულიად დამოუკიდებლად საუბრობს თუ რუსეთისაგან მიუვიდა გარკვეული მესიჯები და, შესაბამისად, მანაც გარკვეული ტექსტი შეიმუშავა?***

— აბსოლუტურად არა მგონია, რომ ის რუსეთის ხელისუფლების რაიმე აზრს ითვალისწინებს. სარკოზი ამ შემთხვევაში წინასაარჩევნო კამპანიაშია ჩართული და ფრანგი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე ლაპარაკობს. საფრანგეთისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის მიერ მისტრალების შესყიდვას. არსებობს კიდევ ამ კონტრაქტების გაღრმავებისა და განვითარების ძალიან მომგებიანი პერსპექტივა საფრანგეთისთვის. არა მგონია, ეს მისთვის ვინმეს ეკარნახა. მით უემტეს, საფრანგეთი არ არის მესამეხარისხოვანი სახელმწიფო, რომ უკარნახონ.

***— საქართველო რომ შეეცადოს რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას, რუსეთი სათანადოდ უპასუხებს? სარკოზის ამის გარანტია აქვს?***

— სარკოზის გარანტია აბსოლუტურად არ სჭირდება. სომხეთში არ გამართულა ასეთი საჯარო შეხვედრა, გაიმართა მხოლოდ საქართველოში. აქ მან ხაზი გაუსვა თავის წვლილს 2008 წლის მოვლენებში, აქ მოინდომა ხალხმრავალი მიტინგის გამართვა, ვიდრე ერევანსა და ბაქოში.

***— ხომ შეიძლება, თბილისში ხალხმრავალი მიტინგის ჩატარება სააკაშვილის შეთავაზება ყოფილიყო?***

— არა, პირდაპირ ითქვა, რომ თბილისში თავისუფლების მოედანზე ხალხთან შეხვედრა თვით სარკოზის ინიციატივა გახლდათ. მისთვის იყო ყველაზე მეტად მომგებიანი და მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ყოველთვის თავისი თავის უხეირო პიარს მიმართავს, პროპაგანდასა და რეკლამირებას ეწევა, წამოეგო ამ ანკესზე და გააგრძელა ის შაბლონური, პრიმიტიული თავის ქება, რითაც ის თანდათანობით ემსგავსება კლდიაშვილის პერსონაჟ კირილე მიმინოშვილს. სარკოზიმ წარმოთქვა ჩვენი სახელმწიფოსთვის გულის მოსაფხანი, წამახალისებელი სიტყვები, განაცხადა, რომ ევროკავშირში შესვლა პრობლემა არ იქნება, მაგრამ ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული — ჩვენ ისეთი რეფორმები უნდა გავატაროთ, რომელიც ევროპულ სტანდარტებს შეეფერება. ნატოც ამასვე ამბობს — ნატოში შესასვლელი კარი ღიაა საქართველოსთვის — შემოდით, ბატონო, არავინ გიშლით, ოღონდ რეფორმები გაატარეთ. თუკი ბოლო წლების გამოცდილებას დავეყრდნობით, სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველო ვერც ნატოში შევიდეს და ვერც ევროკავშირში.

***— ამ ვიზიტისას, სარკოზის განცხადებიდან გამომდინარე, შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს სარკოზი საქართველოს ნატოში შესასვლელად ლობირებს.***

— მთელი ევროპა, ევროკავშირი და ამერიკა გვეხვეწება, შემოდით, ნატოს კარი საქართველოსთვის ღიააო, ოღონდ სასამართლო სასამართლოს დაამსგავსეთ, ადამიანის უფლებები დაიცავით, რეფორმები იყოს რეალური და არა მოჩვენებითიო, მაგრამ ბოლო 7-8 წლის განმავლობაში საქართველოში მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის მხრიდან გაკეთდა ყველაფერი, რომ საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ, საბოლოოდ დაუხურონ ნატოსა და ევროკავშირში შესასვლელი კარი. იმ საკანონმდებლო ბაზისის შესაქმნელად, რომელიც დაგვაახლოვებს ევროპული ცხოვრების წესს, ათეული წლები ნამდვილად არ არის საჭირო. საკმარისია, მიხეილ სააკაშვილმა მოინდომოს და ერთ დღეში 500 კანონს მიიღებენ ისეთს, რომელიც დააკმაყოფილებს ევროპულ ქარტიებს. პარლამენტში დიდი დებატების პერსპექტივა ნამდვილად არ გვაქვს — როგორც ერთი, ისე აზროვნებს ყველა. ჩვენ ნამდვილად შევძლებთ ევროკავშირში შესვლას, მაგრამ მიხეილ სააკაშვილს არ სურს ევროპული სტანდარტებით ცხოვრება. მისი რიტორიკა მოჩვენებითია. ეს არის ცრუ და ყალბი სწრაფვა დასავლეთისკენ. ჩემთვის გასაგებია, რატომ ითრევს ფეხს ხელისუფლება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებისთვის — ევროკავშირის სტანდარტებით ყოვლად შეუძლებელია, მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი ხელისუფლებაში დარჩეს.

ჩვენ ამ ვიზიტისაგან ბევრს ვერაფერს მივიღებთ, სარკოზი საქართველოში ორი საათის განმავლობაში იყო, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ დაახლოებით საათნახევარი დასჭირდა მის მგზავრობას აეროპორტიდან აქეთ, შემდეგ უკან დაბრუნებასა და თავისუფლების მოედანზე საჯარო გამოსვლას. შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა, როგორც შემდეგ ტელევიზიით გადმოგვცეს, სარკოზის თავისი ოჯახის წევრები გააცნო. არა მგონია, ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყოს სააკაშვილის ოჯახის წევრების გაცნობა სარკოზისთვის, საფრანგეთის ან საქართველოს ისტორიისთვის. ეს იყო ძალიან მომგებიანი სარკოზის საარჩევნო კამპანიისთვის. ნუ წარმოვაჩენთ ჩვენს პროვინციალიზმს. მე გამაოგნა და გამაოცა მიხეილ სააკაშვილის მიერ ნოე ჟორდანიას მთავრობის ხშირად ხსენებამ. ნოე ჟორდანიას, როგორც ცეცხლის და ყინულის, ისე ეშინოდა დამოუკიდებლობის. ყველამ იცის, რომ თვალცრემლიანი აცხადებდა ნოე ჟორდანია დამოუკიდებლობას. სარკოზიმ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ჟორდანიას მთავრობამ თავი საფრანგეთს შეაფარა. ნურავის დაავიწყდება (ეს არის თვალებში ნაცრის შეყრა და ქართველი ხალხის წარმოჩენა პროვინციალებად, არაფრისმცოდნეებად), თუ როგორ მოგვექცა საფრანგეთის მთავრობა — ყველაფერი გაუუქმა და ჩვენს ემიგრანტებს შიმშილით ამოხადა სული. რომ არა დე გოლისა და სტალინის შეთანხმება, ვერაფრით ველირსებოდით განძის უკან დაბრუნებას. მიხეილ სააკაშვილი რომ ცრუობს, ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ სარკოზისაგან, ევროპელი ლიდერისაგან ტყუილი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ჩვენ სერიოზულ ხალხად არ აღგვიქვამენ.

***— ასეთ ვიზიტში ცუდი რა არის, მით უმეტეს, თუკი ადამიანს დამსახურება აქვს? სარკოზის დამსახურებად მიიჩნევენ 2008 წელს საქართველოს ოკუპაციისაგან გადარჩენას.***

— ნებისმიერი ქვეყნის ლიდერი ჩამოვიდოდა, რომელიც იქნებოდა ევროკავშირის პრეზიდენტი. მაშინ საფრანგეთი იყო ევროკავშირის წევრი ქვეყანა და სარკოზი ამიტომ ჩამოვიდა.

***— იმ შეთანხმებას როგორ აფასებთ, რომელიც სარკოზის შუამავლობით საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო?***

— იმ შეთანხმებით ერთი წინგადადგმული ნაბიჯი არ ყოფილა. როდესაც დასავლეთი და სარკოზი ლაპარაკობენ 2008 წლის ექვსპუნქტიანი ხელშეკრულების შესრულებაზე, თითს უქნევენ ორივე სახელწიფოს. არაპირდაპირ ისინი აღიარებენ ჩვენს ორ სეპარატისტულ რეგიონს. როდესაც რუსეთს მოუწოდებდნენ, დაებრუნებინა თავისი შეიარაღებული ძალები, საქართველოდან მთლიანად გაყვანაზე კი არა, ომამდელ პოზიციებზე დაბრუნებაზეა ლაპარაკი. იმ ხელშეკრულებით ჯარის გაყვანა ნიშნავს რუსეთის ჯარის დატოვებას ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში.

***— ბატონო თემურ, ისიც ითქვა, რომ ერთ-ერთ ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ სეპარატისტთა ლიდერები.***

— რაიმე საიდუმლო პუნქტების თაობაზე არაფერი ვიცი. მეც მსმენია, რომ იმ შეთანხმებაში რაღაც საიდუმლო მუხლები არის. ნატოსა და ევროკავშირში შესვლის ერთადერთი დამაბრკოლებელი ძალა კი მიხეილ სააკაშვილია. მიხეილ სააკაშვილს არ სურს ქვეყნის ისეთი დემოკრატიზაცია, სადაც მას არ ექნება საშუალება უსაზღვრო სითავხედისა და თავგასულობისა. მთელი იმ სიცრუის ნიაღვრისთვის, რომელიც სააკაშვილის კამპანიიდან მოედინება, უდიდესი საფრთხეა ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს არის სრულიად ახალი ძალა, რომელიც ქართული ოპოზიციური აზრის რეაბილიტაციას მოახდენს. ამით ცოცხლდება ქართული საპროტესტო სულისკვეთება და ყველაფერი, რის ჩაკვლაც ძალიან მოკლე დროში შეძლეს აქამდე არსებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა. არავითარი სიცოცხლის ნიშანწყალი ოპოზიციურ ასპარეზზე არ არსებობდა და გამოჩნდა სრულიად ახალი ძალა. ვისურვებდი, რომ ეს ძალა მართლაც ახალი ყოფილიყოს და არა ძველი სახეების განახლებული ფორმატით გამოჩენა. თუ ასე იქნება, ეს ძალა ქართველ საზოგადოებას ღონესა და სიცოცხლეს მისცემს. ბიძინა ივანიშვილისთვის უმჯობესია ჰყავდეს ბირთვი და მხარდამჭერები. როგორც კი ის კოალიციას შექმნის უკვე არსებულ ათასგზის სულგაყიულ პარტიებთან, მისი გამარჯვება ეჭვქვეშ დადგება.

***— პარტიებისთვის ბიძინა ივანიშვილის განცხადება რას ნიშნავს? დღესდღეობით ბევრი მათგანი კომენტარისაგან თავს იკავებს.***

— მე გეტყვით, რადგან არავის წინაშე არავითარი ვალდებულებები არ მაქვს. იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ქართველი საზოგადოებისთვის თავს შეუცვლელ ლიდერებად წარმოიდგენენ, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის განცხადება შოკისმომგვრელია. კარგად იციან, საკმარისია გამოჩნდეს რეალური ფიგურა, გულწრფელი ადამიანი, რომელსაც, გარდა წრფელი სურვილებისა, შესაძლებლობებიც აქვს იმისა, შეცვალოს რეალური ვითარება, რომ ეს მათი საქმიანობისთვის წერტილის დასმის ტოლფასი იქნება. ამიტომ ისინი გლოვობენ თავიანთ მდგომარეობას. ყველაფერს წარმოიდგენდნენ, მაგრამ თვით საშინელ სიზმარშიც კი ვერ გაითვალისწინებდნენ ასეთ რამეს.

***— ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის მიმართაც ისე ხომ არ იმოქმედებს, როგორც პატარკაციშვილის შემთხვევაში?***

— კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს. ეს რეალობა უნდა გავითვალისწინოთ.

# სიძე სიდედრის მკვლელობაში ჯართს „იხდიდა“

## საქართველოში ქილერებზე მოთხოვნა იზრდება!

**ბოლო დროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს შეკვეთილ მკვლელობებზე საუბარი ხშირად უწევთ. თუმცა, შემთხვევა, რომლის შესახებაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ ახლახან გვაცნობა, ერთი შეხედვით, კურიოზულია. ამ საქმეში ქილერის დასაქირავებლად გაღებული ათასობით დოლარი კი არ ფიგურირებს, არამედ სიდედრის თავიდან მოშორების სანაცვლოდ სიძე მკვლელს გაწეულ „შრომას“ ჯართით უნაზღაურებდა.**

შალვა ჯოხაძე



შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ქვემო ქართლის თანამშრომლებმა 43 წლის ბაგრატ თეთრაძე დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, თბილისში მდებარე სიდედრის კუთვნილი ბინა რომ მიესაკუთრებინა, ბაგრატ თეთრაძემ ამ ქალის, 70 წლის იზოლდა კენჭუაშვილის მკვლელობა დაგეგმა. ის მოელაპარაკა პიროვნებას და მატერიალური ანაზღაურების სანაცვლოდ, სიდედრის მოკვლა შეუკვეთა. თუმცა, მის მიერ შერჩეულმა ქილერმა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ითანამშრომლა და თეთრაძესთან მისი შეხვედრები ვიდეოფირზეა აღბეჭდილი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო დაკავებულსა და არშემდგარ ქილერს შორის გამართულ დიალოგებს აქვეყნებს. თეთრაძე „მკვლელს“ მითითებებს აძლევს: „კაროჩე“, უნდა მოაშორო, რა! უნდა ჩასცხო ან დანა, ან რაღაც, რა! ეგ იცი, რომელ საათზე უნდა მოხდეს? საღამოს ათამდე. ანაზღაურებით კი, სულ მთლიანად გაძლევ იმ ჯართს, რაც სახლში მაქვს და ფულსაც. 600-700 ლარამდე მექნება. სულ 2000-მდე გამოდის. ერთი 100 ლარი მე უნდა ავიღო, დავიტოვო, სანამ ამ საქმეს ჩავფარცხავთ, ამას დავასაფლავებთ, სადმე წასასვლელად-წამოსასვლელად მინდა“.

დანაშაულის იარაღი დაქირავებულ მკვლელს თავად თეთრაძემ მისცა და თან ინსტრუქციებიც მოაყოლა: „ცოტა გალესვა უნდა და ეგ არის. ოღონდ, არ გადააგდო, წამოიღე ისევ“.

დაკავებულმა პოლიციას შემდეგი ჩვენება მისცა: „ოჯახთან ერთად სიდედრის ბინაში ვცხოვრობ, იქიდან გვყრიდა, გარეთ ვრჩებოდით. ამიტომ, საჭირო პიროვნება მოვნახე, რომ ჩემი სიდედრი მოეკლა. თანხას ვუხდიდი, 1000 ლარის ფარგლებში“.

**დეტექტივი გიორგი ბუხრაშვილი:**

— ბრალდებული თბილისში მდებარე ბინის მისაკუთრების მიზნით, სიდედრის, იზოლდა კენჭუალშილის დამამძიმებელ გარემოებებში მოკვლას გეგმავდა. დაკავებული აღიარებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 18, 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც ითვალისწინებს 16-20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას.

მრავალწლიანი პატიმრობა არ ასცდება კიდევ ერთ დაკავებულს, რომელმაც, ასევე, ოჯახის წევრების თავიდან მოშორება დაგეგმა. ცოტა ხნის წინ სამართალდამცველებმა საკუთარი ოჯახის წევრების მკვლელობის შეკვეთის ბრალდებით საქართველოს მოქალაქე ვიქტორ კახეთელიძე დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, კახეთელიძემ საკუთარი მამის, მამუკა კახეთელიძის, დის ლიანა კახეთელიძისა და დისშვილის ანა მაჩაიძის მკვლელობა ქილერს 10000 აშშ დოლარად შეუკვეთა.

სამინისტრომ ქილერისა და კახეთელიძის მოლაპარაკების ვიდეოჩანაწერიც გაავრცელა.

დანაშაულებრივი განზრახვის მოტივი ამ შემთხვევაშიც ქონების მისაკუთრება აღმოჩნდა. ოჯახის წევრებს შორის წლების განმავლობაში ქონებრივი დავა არსებობდა და ამ დავის საგანი თემქის დასახლებაში მდებარე საცხოვრებელი ბინა იყო. ვიქტორ კახეთელიძეს სურდა, რომ ბინა მხოლოდ მის საკუთრებაში დარჩენილიყო. შესაბამისად მან იცოდა, რომ ამ დავას სამართლებრივი გზით თავის სასარგებლოდ ვერ გადაწყვეტდა, რის გამოც მკვლელობა შეუკვეთა.

# გიორგი ლაღიძე პრეზიდენტმა გადააგდო

პარტია „მომავალი საქართველო“ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სახელზე გაგზავნილ წერილზე, რომელიც თბილისში მიკროავტობუსების მგზავრობის საფასურის გაძვირებას ეხებოდა, პასუხი შპს „თბილისის მიკროავტობუსისგან“ მიიღო. როგორც „მედიანიუსს“ გიორგი ლაღიძემ განუცხადა, ორი თვის წინ პარტია დედაქალაქში მიკროავტობუსების მგზავრობის გაძვირებასთან დაკავშირებით აქციებს მართავდა და იმავდროულად, პრეზიდენტის სახელზე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შეიტანა წერილობითი მიმართვა, რათა მიხეილ სააკაშვილი ჩარეულიყო აღნიშნულ საკითხში.

ლაღიძის თქმით, “თბილისის მიკროავტობუსის“ ადმინისტრაცია მგზავრობის საფასურის გაძვირებას საწვავის გაძვირებასა და ახალი მიკროავტობუსების შემოყვანას უკავშირებს, რაც სიმართლეს არ შესაბამება.

— ეს არის ადმინისტრაციული კანონმდებლობის დარღვევა. პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილ წერილზე პასუხი შპს „თბილისის მიკროავტობუსისგან“ მივიღეთ, სადაც ისინი თავს იმართლებენ იმაზე, თუ რატომ გაძვირდა დედაქალაქში ტრანსპორტი. მათი პასუხი არის სამარცხვინო და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული. სინამდვილეში, მათ ტრანსპორტი გააძვირეს იმის გამო, რომ ამით იხეიროს შარანგიების ბიზნესმა და გამდიდრდნენ ხელისუფლების მაღალჩინოსნები, — განაცხადა გიორგი ლაღიძემ და დასძინა, რომ პრეზიდენტსა და ხელისუფლება არ აქვს პასუხი იმაზე, თუ რატომ გაძვირდა დედაქალაქში ტრანსპორტი.

გიორგი ლაღიძე აღნიშნული სიტუაციიდან გამოსავალს ხალხის პროტესტში ხედავს და აცხადებს, რომ მოსახლეობამ აუცილებლად უნდა გააპროტესტოს აღნიშნული საკითხი. ყველა სხვა შემთხვევაში ხელისუფლება არ გაჩერდება და ეტაპობრივად ყველა გადასახადს გაზრდის. როგორც ლაღიძემ აღნიშნა, მას აქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ ხელისუფლება მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 1 ლარამდე გაძვირებას გეგმავს.

მედიანიუსი

# თელავში მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი იწყება

ეკა ირემაშვილი

*16 ოქტომბერს თელავში მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი "ქება ვაზისა" გაიმართება. ღონისძიების ორგანიზატორები არიან ელისო ვირსალაძე და კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრი. კლასიკური მუსიკის დღესასწაული 8 დღის განმავლობაში გაგრძელდება. საფესტივალო პროგრამით გათვალისწინებულია 6 მუსიკალური საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოში სახელგანთქმული მუსიკოსები. ფესტივალი წელს საქართველოს პირველი ლედის, სანდრა ელისაბედ რულოვსის პატრონაჟითა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება. ფესტივალის გენერალური სპონსორი კავკასუს ონლაიანი ფესტივალის ინტერნეტში ონლაინჩვენებას მთელი საფესტივალო კვირის განმავლობაში უზრუნველყოფს.*



ფესტივალს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია და დიდი ტრადიციები აქვს. ელისო ვირსალაძის მიერ 80-იან წლებში დაარსებულ ფესტივალს (მაშინ მისი სახელწოდება იყო „ქება ვაზისა") იმ ხანად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ანალოგი არ მოეძებნებოდა, არც ფორმატით – კონცერტების სერია და მასტერკლასები, არც მონაწილეთა შემადგენლობით და არც ასეთი მასშტაბის ფესტივალის ჩატარებით ქვეყნის რეგიონში. შემდგომ, ქვეყანაში არსებული ვითარებისა და ობიექტური მიზეზების გამო, ფესტივალი აღარ ჩატარებულა. 2010 წლის ოქტომბერში, თითქმის ოცწლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ელისო ვირსალაძის ინიციატივით, მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში განახლებული სახითა და სახელწოდებით აღდგა – „მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი". სპეციალურად ფესტივალისთვის დამზადდა და სახელმწიფომ საუკეთესო ორი საკონცერტო როიალი შეიძინა.

საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში საგანგებო პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც კულტურის მინისტრის მოადგილე მაკო ჭოღოშვილი, კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრის გენერალური მენეჯერი თამარ ლორთქიფანიძე და კომპანია „კავკასუს ონლაინის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი რუსუდან კაპანაძე ესწრებოდნენ.

„კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრის" ორგანიზებით, რომლის გენერალური მენეჯერი თამარ ლორთქიფანიძეა, „მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში" 2011 წლის 16-23 ოქტომბერს გაიმართება. ფესტივალის დამფუძნებელი და გენერალური სამხატვრო ხელმძღვანელია ცნობილი ქართველი პიანისტი ელისო ვირსალაძე.

ფესტივალზე მსმენელის წინაშე წარდგებიან ელისო ვირსალაძე, ედუარდ ბრუნერი, ნატალია გუტმანი, ბადრი მაისურაძე, ლიზა ბათიაშვილი, ლუიზ პელერინი, მინჩო მინჩევი, ვახტანგ კახიძე და თბილისის სიმფონიური ორკესტრი, იტალიური კვარტეტი „კლეზმერატა ფიორენტინა". ფესტივალის დღეებში კონცერტს გამართავენ პრესტიჟული მუსიკალური კონკურსების ლაურეატი ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლები საქართველოდან, იაპონიიდან, ისრაელიდან. ფესტივალში მონაწილეობას სულ 23 სოლისტი მიიღებს – მათ შორის გერმანიიდან, შვეიცარიიდან, რუსეთიდან, იაპონიიდან, ისრაელიდან, ბულგარეთიდან.

საფესტივალო საღამოები მსმენელს შესთავაზებს მრავალფეროვან პროგრამას, რომელშიც შესულია მსოფლიო კლასიკური მუსიკის შედევრები, ფოლკლორი, ქართული საგუნდო მუსიკა, საოპერო, ეთნო და ხალხური ნაწარმოებები. მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ჩვენი პუბლიკისთვის უცნობია ან ნაკლებადაა ცნობილი.

ფესტივალის ერთი კონცერტი – „ახალი სახელები" – დაეთმობა ახალგაზრდა ნიჭიერ მუსიკოსებს სამი ქვეყნიდან – საქართველო, ისრაელი, იაპონია. სულ ფესტივალში 200-მდე მუსიკოსი მონაწილეობს.

თელავის ფესტივალის ფარგლებში ტრადიციისამებრ ჩატარდება მასტერკლასები, რაც უნიკალური საშუალებაა ახალგაზრდა მუსიკოსებისა და პედაგოგებისათვის მიიღონ მაღალ-პროფესიული პრაქტიკული რჩევები და გაიმდიდრონ გამოცდილება. ისევე, როგორც 2010 წელს კონცერტები ჩატარდება თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, მასტერკლასები კი თელავის სამუსიკო სასწავლებელში. 2011 წლის ფესტივალი უფრო მასშტაბურია და 6 კონცერტისა და 7 მასტერკლასისაგან შედგება.

ფესტივალის გახსნაზე დაგეგმილ კონცერტზე შესრულდება ჩაიკოვსკის, რაველის, ვერდის, მასკანის, პუჩინის, ლეონკავალოს ნაწარმოებები. კონცერტზე დაუკრავს თბილისის სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორი – ვახტანგ კახიძე. სოლისტები – ელისო ვირსალაძე და ბადრი მაისურაძე. 17 ოქტომბერს წარმოდგენილი იქნება სპეციალური საკონცერტო პროგრამა სახელწოდებით „გაგიმარჯოს, კალინინდორფ", შემსრულებლები – კვარტეტი „კლეზმერატა ფიორენტინა", იგორ პოლესიცკი (ვიოლინო), რიკარდო კროჩილა (კლარნეტი), ფრანჩესკო ფიურლანისი (აკორდეონი), რიკარდო დონატი (კონტრაბასი). 18 ოქტომბერს ფესტივალი კამერული მუსიკას დაეთმობა. შესრულდება შუმანისა და ბეთჰოვენის ნაწარმოებები. 20 ოქტომბერს თელავის სამუსიკო სასწავლებელში პაბლო როსი (ფორტეპიანო) გამართავს მასტერკლასს, სადაც დასწრება თავისუფალია.

ფესტივალის მომდევნო დღეს სცენას თბილისის სიმფონიური ორკესტრი დაიკავებს, რომელსაც ანდრეი ლევინი უდირიჟორებს, სოლისტები კი იქნებიან – სანდრო სიდამონიძე, სუნაო გოკო და ადი ნეიჰაუზი. დაგეგმილ კონცერტზე შესრულდება ბოკერინის, მენდელსონისა და შოპენის ნაწარმოებები. მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის დახურვამდე ერთი დღით ადრე აჟღერდება ბრამსის, მოცარტისა და ბეთჰოვენის ნაწარმოებები. ფესტივალის დახურვა 24 ოქტომბერს შედგება. საკონცერტო პროგრამაშია პერგოლეზის, რ. კემულარიას, ჯ. ბეგლარიშვილის, შუმანის, სენ-სანსის, მანსეს, ელგარის ნაწარმოებები. მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის დასკვნით საზეიმო კონცერტზე შემსრულებლები იქნებიან თბილისის სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორი – ანდრეი ლევინი, სოლისტები – ელისო ვირსალაძე, ნატალია გუტმანი, ლიზა ბათიაშვილი, გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯთან არსებული სემინარიის ბავშვთა გუნდი და ხალხური სიმღერის ანსამბლი „წინანდალი".

ფესტივალზე დასასწრები ბილეთები თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისა და თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სალაროებში გაიყიდება.

**მაკო ჭოღოშვილი, კულტურის მინისტრის მოადგილე:**

– საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ეს ფესტივალი 2010 წელს აღდგა, ახლა კი მეორედ ჩატარდება, წელს ძალიან საინტერესო პროგრამა გვაქვს, ძალიან ბევრი კომპანიები ჩაერთო ამ ფესტივალის ორგანიზებაში, რაც ძალიან კარგია. ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი მუსიკა გველის წინ, ყველას გეპატიჟებით თელავში. ეს ფესტივალი თითქმის ოცწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისა და მსოფლიოში განთქმული ქართველი მუსიკოსის, ელისო ვირსალაძის ინიციატივით აღდგა და განახლებული სახით აღორძინდა მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში. აღდგენილი ფესტივალის ჩატარებას უკვე მოჰყვა საერთაშორისო რეზონანსიც, რამაც წარმოშვა უცხოელ პარტნიორებთან ერთად არაერთი საინტერესო პროექტის განხორციელების იდეა.

***– რატომ შეირჩა ფესტივალისთვის კახეთი?***

– ეს თავიდანვე ასე იყო. ფესტივალი „ქება ვაზისა" ყოველთვის ტარდებოდა კახეთში.

თელავში, მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის ჩატარების ძირითადი მიზანია მრავალმხრივი პოზიტიური გავლენა იქონიოს, როგორც საქართველოს და კავკასიის რეგიონის მუსიკალური კულტურის განვითარებაზე, ისე, ქართველი საზოგადოების კულტურული ცხოვრების ხარისხზე. მთავარი ამოცანებია კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია და მუსიკოსთა პროფესიული დონის ამაღლება, მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წარმატებული ფესტივალის სახელისა და რეპუტაციის მოპოვება, ქართველი მუსიკოსებისა და კოლექტივების პოპულარიზაცია, მუსიკის სფეროში ახალი სახელების გამოვლენა და პოპულარიზაცია. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მაღალი სტანდარტების ფესტივალის ჩატარებას აუცილებლად თან სდევს ადგილზე, ამ შემთხვევაში კახეთში, კულტურული ცხოვრების გააქტიურება, კულტურული ტურიზმისა და მცირე ბიზნესის განვითარება, რეგიონის მოსახლეობის დასაქმება.

**თამარ ლორთქიფანიძე, კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრის გენერალური მენეჯერი:**

– ფესტივალის ტრადიციაა, რომ ის დედაქალაქში კი არა, არამედ რეგიონში იმართება, სადაც ყოველწლიურად წარმოდგენილი იყო მსოფლიოს საუკეთესო მუსიკოსები. რაც იმ დროს იშვიათი მოვლენა იყო, თვითონ ელისოს ფიგურა ძალიან დიდი იყო. ახლა ძალიან გაუფასურდა სიტყვა ვარსკვლავი, ელისოზე კი ვერ ვიტყოდი ამას, ის არის სამყარო და ეს სამყარო ძალიან მდიდარი და საინტერესოა, როდესაც საშუალება გვეძლევა, ყოველ წელს რაღაცნაირად შევაღოთ კარი მის სამყაროში და იმ მუსიკოსების მაღალ ხლოვნებას ვეზიაროთ ეს არის ძალიან დიდი ბედნიერება და არავინ უნდა დაკარგოს ეს შანსი. ფესტივალის პროგრამა მრავალფეროვანია – სახელოვანი მუსიკოსების მიერ შესრულდება ქართველი და ევროპელი კომპოზიტორების ნაწარმოებები, მათ

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## SMS-განცხადებები - 3090

● იყიდება 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ანაკლიაში, ზღვასთან ახლოს, რეესტრში გატარებული. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 599-24-60-02.

## განცხადებები

● მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები მოამზადებენ აბიტურიენტებს, მაგისტრანტებსა და მოსწავლეებს ეროვნული და საატესტატო გამოცდებისთვის ყველა საგანში, ოთხი საგანი 160 ლარი. ტელ: 239-08-42; 599-48-39-13.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით. მცენარეული ვიტამინების, მინერალების და ამინომჟავების კომპლექტი პლუს ვარჯიშები, 100%-იანი შედეგით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 257-66-90 (საღამოს); 593-44-58-65 ექიმი ქ-ნი დეა.

● მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ: 2-96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

# სოხუმი ჯგუფს ვერ შესწვდა

### „მინსკ 2006“ (ბელორუსი) – „სოხუმი“ (საქართველო) 97:63

(15:8, 23:15, 30:18, 29:22)

**მინსკ 2006:** კოჟენეცი (6ქ,6 მ), ჰოუკინსი (18ქ,6 მ), სემიანუკი (2 ქ), ლაშკევიჩი (20ქ), ჩარკო, ტრასცინეცკი (9ქ), ვერგუნი, კნოქსი (1ქ), კუდრიავცევი (18ქ,6მ,6პ), ჰოჯი (23ქ,12მ,5პ)

**სოხუმი:** ფარლალავა (9ქ), რობინსონი (6ქ), პირსი (8ქ), ბერიშვილი (2ქ), ჩლაიძე, გეი (18ქ), ათუაშვილი (1ქ), ფაცაცია (9ქ, 5მ), გაფრინდაშვილი, ქადარია (4ქ), სალიერსი (6ქ)

საკალათბურთო კლუბმა „სოხუმმა“ ფიბა-ს ევროჩელენჯის საკვალიფიკაციო რაუნდის პირველ მატჩში „მინსკ 2006“-თან 16 ქულით (94:78) გამარჯვების შემდეგ, ბელორუსში უსუსტესად ითამაშა და 63:97 განადგურდა. აქედან გამომდინარე, ჯგუფურ ეტაპზე გასვლა მეტოქემ მოახერხა.

ძნელია იმ მატჩზე საუბარი, რომელიც არ გვინახავს, მაგრამ თუ ფიბას ტექსტურ მიმოხილვას ვენდობით მატჩი მინსკელთა აშკარა უპირატესობით დაიწყო და მიუხედავად იმისა, რომ პირველი მატჩის შემდეგ სოხუმელებს სოლიდური უპირატესობა ჰქონდათ, მასპინძლებთან ურთულესი ბრძოლა ექნებოდათ.

აინარს ბაგატსკისის შეგირდები აურაცხელ შეცდომებს უშვებდნენ, ბურთის კალათში მოთავსებასაც ძალიან იშვიათად ახერხებდნენ და პირველი ქულები მხოლოდ 2,5 წუთის შემდეგ აიღეს. მართალია, არც ბელორუსები ისროდნენ შესაშური სიზუსტით, მაგრამ გაცილებით უკეთ და მათი უპირატესობა მეთოდურად იზრდებოდა.

სროლის გარდა ჩვენები ვერც ფარზე ყოჩაღობდნენ, რომელიც თბილისშიც დიდი უპირატესობით მოიგეს და სწორედ ეს ორი ფაქტორი ასხამდა მასპინძლეთა წისქვილზე წყალს.

აქვე უნდა უნდა აღვნიშნოთ, რომ „სოხუმის“ კალათბურთელები ძალიან ხშირად ჯარიმდებოდნენ და საწყის 20 წუთში 20 ფოლი მიიღეს. ამიტომაც იყო, შეხვედრა ჯარიმების ლიმიტის გამო ვერ ჩაამთავრეს ლაშა ფარლალავამა და მარკ სალიარსმა, ხოლო ფრენკ რობინსონმა და ბრენდონ გაიმ მეოთხე პერიოდი 4-4 ჯარიმით ითამაშეს.

როგორც ჩანს, როდესაც ჩვენი გუნდის კალათბურთელები ფოლებით დაიტვირთნენ, კონტაქტურ ბრძოლაზე უარი თქვეს, ეს კი მინსკელებს შეტევაში მეტი თავისუფალი სივრცე გაუჩნდათ. ალბათ ამიტომაც, პირველი ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა ის სასურველი უპირატესობა მიიღეს, რაც სურდათ. მართალია ბრენდონ გაიმ ბოლო წამზე სამქულიანით უპასუხა და მეტოქემაც საქმის მოთავება მეორე ტაიმისთვის გადადო.

სოხუმელთაგან სათანადო დონეზე მხოლოდ ამერიკელი ბრენდონ გეი გაისარჯა, რომელმაც 18 ქულა დააგროვა. დანარჩენების თამაშს კი სტატისტიკურად ვერ გამოვარჩევთ. სტატისტიკა ვახსენეთ და მას მთლიანად თუ გადავხედავთ, ქართული გუნდის ძალიან ცუდად მოჩანს.

„სოხუმმა“ 36-დან 13 ორქულიანი (36.1 პროცენტი), 24-დან 6 სამქულიანი (25.0) და 30-დან 19 საჯარიმო (63.3) ჩააგდო, მეტოქეს მოხსნებშიც საგრძნობლად ჩამორჩა – 31:46, მოწინააღმდეგის 20 ზუსტი პასის წილ მხოლოდ 2 შედეგიანი გადაცემა მიითვალა, რაც ალბათ კალათბურთის ისტორიაში ერთ–ერთი ყველაზე ცუდი მაჩვენებელია. სოხუმელებმა ბურთი ოცჯერ დაკარგეს და 31 პერსონალური ფოლი მიიღეს. ამ ყველაფრის ფონზე შემდეგ ეტაპზე ვერგასვლა კი არა, 34-ქულიანი მარცხი კიდევ კარგ შედეგად მოჩანს.

### მატჩის შემდეგ:

**აინარს ბაგაცკისი, სოხუმის მთავარი მწვრთნელი:**

– თამაში ვერ დავალაგეთ, არაფერი გამოგვივიდა. თბილისშიც გავიხსენე ერთი მაგალითი: შარშან 27 ქულის მომგებმა გუნდმა განმეორებით შეხვედრაში უფრო დიდი სხვაობით წააგო. ამიტომ, ვეცადე კალათბურთელებისთვის შემეხსენებინა, რომ 16-ქულიანი მოგებით საქმე მოთავებული არ იყო, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, გუნდი სათანადოდ ვერ განვაწყე.

**ანდრეი კრივონოსი, „მინსკის“ მთავარი მწვრთნელი:**

– შეხვედრას ოპტიმალურ ფორმაში შევხვდით. თბილისში დაშვებული შეცდომები აღარ გავიმეორეთ და, რაც მთავარია, გვჯეროდა, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლა შეგვეძლო.

ამგვარად, ევროჩელენჯის რეგულარულ სეზონში საქართველოს ერთადერთი წარმომადგენელი „არმია“ იქნება. ბ ჯგუფში ქართული კლუბის მეტოქეები ჰოლანდიური „ლეიდენი“, თურქული „ბეშიქთაში“ და გერმანული „გოტინგენი“ იქნებიან. 8 ნოემბერს არმიელები პირველ მატჩს შინ “გოტინგენთან” ჩაატარებენ.

# საქართველოს ნაკრებმა შესარჩევი ეტაპი ჩვეულად დაასრულა

### საქართველო – საბერძნეთი 1:2

**თბილისი. მიხეილ მესხი. 7.000 მაყურებელი**

***1:0 თარგამაძე (18), 1:1 ფოტაკისი (79), 1:2 ხარისტეასი (86)***

**საქართველო:** რევიშვილი, კაშია, ხიზანიშვილი, ამისულაშვილი, კალაძე, კანკავა (ლობჟანიძე 40), კობიაშვილი, გრიგალაშვილი (იაშვილი 53), თარგამაძე, მარცვალაძე, მჭედლიძე (გურული 66)

**საბერძნეთი:** ცორვასი, ვინტრა, პაპასტოპულოსი, ციოლისი (ფოტაკისი 58), სპიროპულოსი, კარაგუნისი, კაცურანისი, პაპადოპულოსი, სალპინგიდისი (ათანასიადისი 69), ხარისტეასი, გეკასი (კონე 90)

79-ე წუთამდე იგებდა თემურ ქეცბაიას გუნდი და ალბათ ზეიმობდა მთელი ხორვატიაც, მაგრამ ბოლომდე ვერ გაძლო, მორიგი მარცხი განიცადა და 6–გუნდიანი შესარჩევი ეტაპი მეხუთე ადგილით დაასრულა. არადა, ჯერ კიდევ 5 ტურის შემდეგ პლეი ოფში მოხვედრის შანსებზე ვსაუბრობდით და ჯგუფში მხოლოდ უსუსრ მალტას გავასწარით, რომლებმაც კინკილა ქულით დაასრულეს შესარჩევი ეტაპი და ისიც ჩვენთან მოიპოვეს...

საკვანძო მომენტი ალბათ 69-ე წუთი იყო, როდესაც დავით თარგამაძემ კოჭის ტრავმა მიიღო და რადგან სამივე შეცვლა გაკეთებული იყო, ქართველებმა დარჩენილი დრო 10 კაცით ჩაატარეს. ქეცბაიამ 66-ე წუთზე ამოწურა შეცვლების ლიმიტი, რაც ზოგადად, ნაადრევია, თუმცა ისიც ვთქვათ, რომ სამიდან ორი შეცვლა იძულებითი იყო: ჯაბა კანკავამ და ლევან მჭედლიძემაც ფეხი იტკინეს. სამივე შეცვლა იმ დროს გაკეთდა, როცა საგანგაშო არაფერი იყო და ბერძნები მხოლოდ ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ.

ქეცბაიამ კარი ისევ ნუკრი რევიშვილს ანდო, რომლის წინ გურამ კაშია, ზურაბ ხიზანიშვილი, ალეკო ამისულაშვილი, კახა კალაძე მოქმედებდნენ, საყრდენ ნახევარმცველებად ჯაბა კანკავა და ლევან კობიაშვილი დადგნენ, მათ წინ კი – შოთა გრიგალაშვილი. შემტევი სამეული კი ასე გამოიყურებოდა – მარჯვნივ თარგამაძე, მარცხნივ ოთარ მარცვალაძე, სულ წინ კი ლევან მჭედლიძე.

ბერძნებმაც შეტევაში სამი ფეხბურთელი დააყენეს, მაგრამ ფრეც ხელს აძლევდათ და ამის გამო შეტევებზე მაინცდამაინც არ წასულან. ეგაა, ბურთს უფრო ხშირად ფლობდნენ, თუმცა ანგარიში ქართველებმა გახსნეს. თარგამაძემ ჯარიმა ეშმაკურად ჩააწოდა, ბურთს ყველა ასცდა და მეკარე ალექსანდროს ცორვასიც დააბნია – 1:0.

მალევე, კობიაშვილს მიეცა კარგი შანსი, თუმცა კარგად ვერ დაარტყა და ააცილა. ხოლო 29-ე წუთზე უკვე ჩვენ გადავრჩით – მარჯვენა ფლანგი ჩავარდა, საიდანაც გეკასმა უკან გააკეთა პასი, კოსტას კაცურანისის დარტყმულზე კი ნუკრი რევიშვილს დასჭირდა კარგი რეაქცია. შეტევა გაგრძელდა და ხარისტეასმა ოდნავ ააცილა ახლო მანძილიდან.

საერთოდ, ბერძენთა შემტევი როგორც კი თამაშს ააჩქარებდნენ, ქართველთა მცველებს დაბნეულობა ეტყობოდათ. პირველ ტაიმში კიდევ ერთხელ აგვანერვიულეს ბერძნებმა, მაგრამ ნიკოს სპიროპულოსის დარტყმული ხიზანიშვილმა საკუთარ თავზე მიიღო.

ქეცბაიას პირველი შეცვლის გაკეთება მე-40 წუთზე მოუწია – კანკავამ ფეხი იტკინა და მის ნაცვლად უჩა ლობჟანიძე შევიდა, რომელიც მარჯვენა მცველად დადგა, ხოლო კაშიამ საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე გადაინაცვლა.

მეორე ნახევარი სწრაფი თარგამაძის გარღვევით და დარტყმით დასრულდა. ცორვასს ბურთი ხელიდან გაუვარდა, თუმცა დამატებაზე არავინ იყო. მე-60 წუთზე კი ცორვასი კუთხურისას ბურთს ასცდა, ბურთი ამისულაშვილის ფეხიდან კარში გადიოდა, მაგრამ ციოლისმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა...

სტუმრებს აუცილებლად სჭირდებოდათ გოლის გატანა და ამას უფრო შორიდან დარტყმებით ცდილობდნენ, რადგან კომბინაციური თამაში მაინცდამაინც ვერ გამოსდიოდათ. რაც დრო გადიოდა, ბერძნებს ნერვიულობა ემატებოდათ, მაგრამ როგორც ჩანს, საფეხბურთო ფორტუნა იმ დღეს მათ მხარეს იყო. 69-ე წუთზე თარგამაძის ტრავმამ ისინი მეტობაში დატოვა და დაწოლა გააძლიერეს. თუმცა, იღბალიც კიდევ ერთხელ ჩაერთო საქმეში – შეცვლაზე შესულმა გეორგიოს ფოტაკისმა 79-ე წუთზე შორიდან დაარტყა, ბურთი გზად ამისულაშვილს შეეხო და მცირედი რიკოშეტიც საკმარისი აღმოჩნდა, რომ რევიშვილის კარში ბურთი გასულიყო – 1:1.

დარჩენილ დროში ქართველებს



შანსი აღარ ჰქონიათ, ამასთან, დალლაც დაეტყოთ და მეტოქის ნახევარზე გადასვლა კი არა, საკუთარ საჯარიმოსთან ბურთის დაჭერაც უჭირდათ. 86-ე წუთზე ჩვენებს კართან ახლოს დაკარგეს ბურთი, ბერძნებმა მარტივი სამსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს და ანგელოს ხარისტეასმა ბურთი ძელიდან ასხლეტით გაიტანა.

ჰო, ლევან კობიაშვილმა მეასე მატჩი ჩაატარა ეროვნულ ნაკრებში და თამაშის დაწყებამდე უეფას ჯილდოც მიიღო. „კობი“, რომელმაც ამ შესარჩევის უმნიშვნელოვანესი და ყველაზე გასახარი გოლი გაიტანა, ნამდვილად იმსახურებს საქებარ სიტყვებს. საწყენია, რომ საიუბილეო მატჩი მარცხით დაასრულა.

### მატჩის შემდეგ:

**თემურ ქეცბაია, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:**

– სამწუხაროა, რომ წავაგეთ. უიღბლობა თან დაგვყვება. ძნელია, როცა ოც წუთზე მეტი რჩება და ფეხბურთელი გაკლდება. 10 კაცით დარჩენამ თავისი როლი ითამაშა. ბიჭებით კმაყოფილი ვარ, იბრძოლეს და წარმატების მიღწევაც შეეძლოთ. დამთავრდა ეს შესარჩევი, რომელიც მთლიანობაში რომ ავიღოთ, წარმატებული გამოდგა. რაც მთავარია, ჩამოყალიბდა ბრძოლისუნარიანი ნაკრები. მართალია, ფეხბურთს მარტო ბრძოლისუნარიანობა ვერ იგებს, მაგრამ დავინახეთ ის, რომ წინსვლა შესაძლებელია. მეც ადამიანი ვარ, ამბიცია მაქვს და მინდა, რაღაცას მივაღწიო. იმედია, ტრავმირებული ფეხბურთელებიც ჩადგებიან მწყობრში.

***– შეცვლების ლიმიტი ნაადრევად ხომ არ ამოწურეთ?***

– ამ სამიდან ორი იძულებითი იყო.

***– როგორც თქვით, გასული შესარჩევი წარმატებული იყოო. იქნებ დააკონკრეტოთ, წარმატებაში რას გულისხმობთ?***

– რაც მანამდე ოთხი წლის განმავლობაში ხდებოდა და რა დღეში იყო ნაკრები, იმის ფონზე ვსაუბრობ. აბა, საქართველოს ნაკრებს ტიტული არ მოუგია. ისიც გავითვალისწინოთ, რომ ბოლო ორ წელიწადში ნაკრებმა 10 მატჩი გასვლაზე ჩაატარა. ფაქტია, ნაბიჯები გადაიდგა.

***– ნოემბერში ამხანაგური მატჩი ვისთან იქნება, ხომ არ გარკვეულა?***

– ჯერ ბოლომდე არა. თვის ბოლოს გადაწყდებაო. მოლაპარაკება მიმდინარეობს ორ ქვეყანასთან.

***– კონკრეტულად?***

– ერთ-ერთი აშშ-ის ნაკრებია.

***– შეადარეთ მუშაობა კლუბსა და ნაკრებში. სად უფრო გაგიძნელდათ?***

– რა თქმა უნდა, ნაკრებში მუშაობა უფრო პრესტიჟული და რთულიცაა. კლუბში რეგულარულად ხარ საქმეში, ფეხბურთელებთან ყოველდღიური კონტაქტი გაქვს, ნაკრებში კი სხვა სპეციფიკაა. ახლა მიწევს სხვადასხვა ქვეყნებში გადაფრენა ლეგიონერთა თამაშის სანახავად, ან ტელევიზორში ყურება...

***– ალბათ, ახალი ფეხბურთელებიც მოვლენ გუნდში. თუმცა, თქვენ საქართველო-ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩის (2:7) შემდეგ განაცხადეთ, ვერაფერი პოზიტიური ვერ დავინახეო და საინტერესოა, საიდან უნდა მოვიდნენ ახალწვეულები?***

– ვამბობდი კონკრეტულად 2:7 წაგებულ თამაშზე. რა უნდა დამენახა იქ კარგი?

***– სწორედ ამას ვკითხულობთ, საიდან უნდა მოვიდნენ ფეხბურთელები?***

– ესპანეთთან მატჩზე ვთქვი, რომ კარგი არაფერი დამინახავს-მეთქი, თორემ იმას კი არ ვიძახი, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ტალანტები არ არიან-მეთქი. ეს იყო ერთ კონკრეტულ თამაშზე ნათქვამი. აი, იმ მატჩის მონაწილე ერთი ფეხბურთელი მჭედლიძე დღეს ვათამაშეთ კიდეც. ჩვენ მაქსიმალურად ვადევნებთ თვალს ახალგაზრდულ ნაკრებებს და მასში მოთამაშე ფეხბურთელებს.

***– საქართველოს ჩემპიონატის კლუბების მწვრთნელებთან გაქვთ კონტაქტი?***

– რა თქმა უნდა, მაქვს. ყველასთან არა, მაგრამ მაინც.

**ფერნანდო სანტუში, საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი:**

– მადლობა ღმერთს ამ საჩუქრისთვის. ამ წარმატებას მთელ საბერძნეთს ვულოცავ. მრავალფეროვანი მატჩი იყო და ისეთ სიძნელეებსაც შევხვდით, რასაც არ ველოდით. საქართველომ გაიტანა სწრაფი გოლი და კარგად ითამაშა დაცვაში. მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს ნაკრები კარგი გუნდია და პროგრესი აქვს.

**ჩვენი ჯგუფის სხვა მატჩები ასე დასრულდა:**

### მალტა-ისრაელი 0:2

***0:1 რაფაელოვი (11), 0:2 გერშონი (93)***

**მალტა:** ა. ჰოგი, ჯ. კარუანა (ბორგი 82), მამო, შკიბერასი, ა. აგიუსი, რ. ფენეჩი (ჰერერა 64), ბრიფა, პ. ფენეჩი, ვუდსი (კ. კარუანა 81), ჰატჩისონი, მიფსუდი

**ისრაელი:** ავატე, ბონდარვი (ვერმაუტი 57), ბიტონი, ტავატა, გერშონი, გოლასა, ნატხო, ბუზაგლო, რაფაელოვი (კოენი 49), ჰემედი, საჰარი (ბენ ჰაიმი 78)

### ხორვატია-ლატვია 2:0

***1:0 ედუარდო (66), 2:0 მანძუკიჩი (72)***

**ხორვატია:** პლეტიკოშა, ჩორლუკა (ვიდა 32), ლოვრენი, შიმუნიჩი, სტრინიჩი, სრნა, რაკიტიჩი, მოდრიჩი, კრანჩარი (პერიშიჩი 60), ედუარდო, მანძუკიჩი (იელავიჩი 84)

**ლატვია:** ვანინსი, კლავა, ივანოვსი, გორკსი, მიჰადიუკსი, პერეპლოტკინსი (გაურაკსი 72), რუგინსი (ტარასოვსი 81), ლაიზანსი, ვიშნიაკოვსი (რუბინსი 88), ცაუნია, რუდნევსი

### საბოლოო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბერძნეთი | 10 | 7 | 3 | 0 | 14:5 | 24 |
| 2.ხორვატია | 10 | 7 | 1 | 2 | 18:7 | 21 |
| 3.ისრაელი | 10 | 5 | 1 | 4 | 13:11 | 16 |
| 4.ლატვია | 10 | 3 | 2 | 5 | 9:12 | 11 |
| 5.საქართველო | 10 | 2 | 4 | 4 | 7:9 | 10 |
| 6.მალტა | 10 | 0 | 1 | 9 | 4:21 | 1 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# შედეგები

## ფეხბურთი

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| კორეა-ს.არაბეთი | 2:1 |
| ესტონეთი-უკრაინა | 0:2 |
| ჰონდურასი-იამაიკა | 2:1 |
| პოლონეთი-ბელარუსი | 2:0 |
| აშშ-ეკვადორი | 0:1 |
| მექსიკა-ბრაზილია | 1:2 |

### ეჩ-2012. შესარჩევი ეტაპი

| | |
|---|---|
| ყაზახეთი-ავსტრია | 0:0 |
| გერმანია-ბელგია | 3:1 |
| საქართველო-საბერძნეთი | 1:2 |
| მალტა-ისრაელი | 0:2 |
| თურქეთი-აზერბაიჯანი | 1:0 |
| ხორვატია-ლატვია | 2:0 |
| ირლანდია-სომხეთი | 2:1 |
| მაკედონია-სლოვაკეთი | 1:1 |
| რუსეთი-ანდორა | 6:0 |
| მაკედონია-სლოვაკეთი | 1:1 |
| ალბანეთი-რუმინეთი | 1:1 |
| უნგრეთი-ფინეთი | 0:0 |
| მოლდოვა-სან მარინო | 4:0 |
| ბულგარეთი-უელსი | 0:1 |
| დანია-პორტუგალია | 2:1 |
| ნორვეგია-კვიპროსი | 3:1 |
| შვეიცარია-ჩერნოგორია | 2:0 |
| შვედეთი-ჰოლანდია | 3:2 |
| ესპანეთი-შოტლანდია | 3:1 |
| იტალია-ჩრ.ირლანდია | 3:0 |
| ლიტვა-ჩეხეთი | 1:4 |
| სლოვენია-სერბეთი | 1:0 |
| საფრანგეთი-ბოსნია | 1:1 |

### ეჩ-2013. შესარჩევი ეტაპი (21)

| | |
|---|---|
| ლატვია-სლოვაკეთი | 0:6 |
| მალტა-ლიტვა | 0:2 |
| სერბეთი-დანია | 0:0 |
| პოლონეთი-ალბანეთი | 4:3 |
| ბოსნია-კვიპროსი | 5:1 |
| იტალია-თურქეთი | 2:0 |
| რუსეთი-პორტუგალია | 2:1 |
| ბელარუსი-საბერძნეთი | 1:3 |
| რუმინეთი-საფრანგეთი | 0:2 |
| ლიხტენშტეინი-ირლანდია | 1:4 |
| უელსი-ჩეხეთი | 0:1 |

### მჩ-2014. შესარჩევი ეტაპი

#### აზია

| | |
|---|---|
| ჩრ.კორეა-უზბეკეთი | 0:1 |
| ავსტრალია-ომანი | 3:0 |
| იაპონია-ტაჯიკეთი | 8:0 |
| კორეა-ა.გ. საემიროები | 2:1 |
| სინგაპური-იორდანია | 0:3 |
| ინდონეზია-ყატარი | 2:3 |
| ჩინეთი-ერაყი | 0:1 |
| ლიბანი-კუვეიტი | 2:2 |
| ირანი-ბაჰრეინი | 6:0 |

#### სამხრეთ ამერიკა

| | |
|---|---|
| ბოლივია-კოლუმბია | 1:2 |
| ჩილე-პერუ | 4:2 |
| პარაგვაი-ურუგვაი | 1:1 |
| ვენესუელა-არგენტინა | 1:0 |

## კალათბურთი

### ევროჩელენჯი

| | |
|---|---|
| ენისეი-სპარტაკ პრიმორიე | 98:66 |
| მინსკი-სოხუმი | 97:63 |
| შოლნოკი-პიურინტე | 69:57 |
| ტრაისკირჰენი-ავტომერომუ | 80:85 |

## ჩოგბურთი

### ატპ. შანხაი. ჰალი

| | |
|---|---|
| დოლგოპოლოვი-რამოსი | 5:7;6:3;6:2 |
| ვერდასკო-ფერერო | 6:4;3:6;2:6 |
| მელცერი-ჰირალდო | 6:4;4:6;6:7 |
| ჰარისონი-აბდენი | 4;6;2:6 |
| ფერერი-რაონიჩი | 7:5;7:6 |

### ვტა. ოსაკა. ჰალი

| | |
|---|---|
| კინგი-კრეიბასი | 6:1;3:6;6:1 |
| ტანასუგარნი-იოჰანსონი | 6:2;6:4 |
| გაიდიშოვა-ჩჟენი | 5:7;3:6 |
| კერბერი-გოვორცოვა | 6:1;6:3 |
| ცეტკოვსკა-სემა | 6:0;6:3 |

## ჰოკეი

### ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| ოტავა-მინესოტა | 3:3(1:0ბ) |
| პიტსბურგი-ფლორიდა | 4:2 |

შედით საიტზე atb.ge

# იულია ტიმოშენკო აპელაციის წარდგენას მომავალ კვირას აპირებს

უკრაინის ყოფილი პრემიერის, იულია ტიმოშენკოს ადვოკატებმა განაცხადეს, რომ პეჩორის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს ისინი მომავალ კვირას გაასაჩივრებენ.

ტიმოშენკოს ადვოკატებმა დააზუსტეს, რომ ყოფილმა პრემიერმა სასამართლოს გადაწყვეტილება სამშაბათს მიიღო და ამჟამად მას გულმოდგინედ სწავლობს.

ტიმოშენკოს ადვოკატ იური სუხოვის აზრით, სასამართლოს გადაწყვეტილება მათ სრული აბსურდის შედეგად მიაჩნიათ. სუხოვის თქმით, განაჩენში მითითებული არ არის ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ტიმოშენკომ დაარღვია.




განაჩენის მკვეთრი კრიტიკით გამოვიდნენ აგრეთვე დასავლეთის ქვეყნები, აგრეთვე რუსეთის ლიდერები.

აშშ-ისა და ევროკავშირის წარმომადგენლებმა ტიმოშენკოს პროცესს პოლიტიკურად მოტივირებული უწოდეს, ხოლო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის განცხადებაში ყოფილი პრემიერისათვის გამოტანილი განაჩენის „ანტირუსულ" კონტექსტზე მიუთითა.

აშშ-ის პრეზიდენტმა, თავის მხრივ, ტიმოშენკოს გათავისუფლებისაკენ მოუწოდა და უკრაინელი პოლიტიკოსის „პოლიტიკური დევნა" დაგმო.

თეთრი სახლის განცხადებაში ნათქვამია, რომ ტიმოშენკოსთვის წაყენებული ბრალდებები და სასამართლოს მსვლელობა, გარდა ამისა, ოპოზიციის სხვა ლიდერების შევიწროება დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებისადმი უკრაინის ხელისუფლების ერთგულებასთან დაკავშირებით სერიოზულ შეკითხვებს იწვევს.

უდიდესი ოპოზიციური ძალის ლიდერის შევიწროების შეწყვეტის მოწოდებების მიუხედავად, სასამართლომ ტიმოშენკოს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სახელმწიფო კომპანია "ნაფტოგაზ უკრაინისათვის" მიყენებული ზარალის ანაზღაურებით.

ვერდიქტის თანახმად, ტიმოშენკომ „ნაფტოგაზს" 1.5 მილიარდ ჰრივნაზე მეტი (დაახლოებით 190 მლნ დოლარი) უნდა გადაუხადოს.

უკრაინის ენერგეტიკის მინისტრმა იური ბოიკომ განაცხადა, რომ ამ ფულით იგი რუსეთისათვის გაზის ღირებულების ანაზღაურებას აპირებს.

მინისტრის თქმით, მისი უწყება სასამართლო განაჩენს შეასრულებს და „ნაფტოგაზ უკრაინა" თანხას თუ მიიღებს, მას გაზის ღირებულების ანგარიშში გადარიცხავენ.

უკრაინელების ნაწილი იმედოვნებს, რომ პეჩორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით გაზის იმპორტის შესახებ რუსეთ-უკრაინის შეთანხმებების არასამართლებრივი ხასიათის დამტკიცება მოხერხდება. ამ შეთანხმებებს უკრაინა უკიდურესად არახელაყრელად და უსაფუძვლოდ მიიჩნევს.

თავის მხრივ, რუსეთის პრემიერმა პუტინმა, რომელმაც 2009 წელს ამ შეთანხმებას ტიმოშენკოსთან ერთად მოაწერა ხელი, განაცხადა, რომ უკრაინის სასამართლოს ვერდიქტი არ ესმის. მისი თქმით, შეთანხმებების მთელი პაკეტის მართებულობაში ეჭვის შეტანა სახიფათო და კონტრპროდუქტიულია.

უკრაინა რუსეთისაგან გაზის ათას კუბურ მეტრზე 240 დოლარად გაყიდვას მოითხოვს. 2011 წლის მესამე კვარტალში უკრაინა რუსულ გაზში 355 დოლარს იხდიდა.

სექტემბერში, მოსკოვში ბოლო ვიზიტის შემდეგ, უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ რუსეთმა და უკრაინამ გაზის შეთანხმებების გადასინჯვის საკითხში შეთანხმებას მიაღწიეს.

თავის მხრივ, „გაზპრომის" ხელმძღვანელმა ალექსეი მილერმა დააზუსტა, რომ გაზის ფასი ჯერ არ შეთანხმებულა და კონკრეტულ ფასზე ლაპარაკი ნაადრევია.

უკრაინის პრემიერმა ნიკოლაი აზაროვმა, თავის მხრივ, იმედი გამოთქვა, რომ რუსეთსა და უკრაინას შორის კომპრომისის მიღწევა 10-15 დღეში მოხერხდება.

გაზის ფასის შემცირების შესახებ უკრაინის მოთხოვნის პასუხად რუსეთი უკრაინას სასაზღვრო კავშირში გაწევრიანებას ან „ნაფტოგაზ უკრაინასა" და „გაზპრომის" გაერთიანების მხარდაჭერას სთავაზობს.

უკრაინის ხელისუფლები ამ პირობებს უარყოფენ, მაგრამ თანხმდებიან სამმხრივი რუსეთ-უკრაინა-ევროკონსორციუმის შექმნის წინადადებას, რომელმაც უკრაინის გაზის სატრანსპორტო სისტემის მოდერნიზება და მართვა უნდა ითავოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირის ხელმძღვანელები ტიმოშენკოსათვის განაჩენის გამოტანის შემდეგ უკრაინისა და ევროკავშირის თანამშრომლობის შესაძლებლობით დაეჭვებას გამოხატავენ.

ტიმოშენკოს სასამართლო პროცესს დასავლეთის პრესა აქტიურად აშუქებდა. მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ სხვადასხვა ევროპული სტრუქტურები და ადამიანის უფლებათა დამცავი ორგანიზაციები, მათ შორის „ემნესთი ინთერნეიშნლი".

**მოამზადა გენადი თვაურმა**

სპორტი

# მოურინიო პორტუგალიელების წინააღმდეგ

სანამ ეროვნულ ჩემპიონატებში სანაკრებო პაუზაა გამოწვეული, მადრიდის „რეალის" მთავარი მწვრთნელს ჟოზე მოურინიოს განზრახული აქვს გუნდში რამდენიმე ცვლილება განახორციელოს. მის მიერ დაგეგმილ „აყრაში", მისივე თანამემამულე, რიკარდო კარვალიუც არის, რომელიც სავარაუდოდ მადრიდულ კლუბს ზამთარში დატოვებს.



პორტუგალიელმა ცენტრალურმა მცველმა „გალაქტიკოებში" კარიერა დიდებულად დაიწყო, მაგრამ წელს შედარებით სუსტად გამოიყურება. მართალია, რიკარდო 6 ტურში 4-ჯერ ძირითადში იყო, მაგრამ ჟოზე მისით მაინც უკმაყოფილოა. ამას დავუმატოთ ის ფაქტიც, რომ კარვალიოს მადრიდულ კლუბთან კონტრაქტი 2012 წლის ივნისში ეწურება. ამასთან, „რეალში" გამოჩნდა 19 წლის რაფაელ ვარანი, რომელიც ახალაგზრდული ასაკის მიუხედავად, უკვე გაუთამამდა „რეალის" ძირითად შემადგენლობას და გასაკვირიც არ არის, მოურინიომ აქცენტი ახალგაზრდა ფეხბურთელზე გადაიტანოს.

კარვალიუს კი მთხოვნელები არ აკლია. მათ შორის ფიგურირებენ „ფენერბაჰჩე" და "ანჟი", რომლებიც მზად არიან გადაიხადონ ესპანელების მიერ მოთხოვნილი 8 მილიონი ევრო.

ესპანური მედიის ცნობით, კარვალიუს გარდა მოურინიოს მცირე ხნით, მაგრამ გუნდიდან ასევე პორტუგალიელის, ფაბიო კოენტრაოს მოშორებაც უნდა. მათი ინფორმაციით, მწვრთნელსა და შეგირდს შორის სერიოზული კონფლიქტი მოხდა და მოურინიოს სიტუაციის გამწვავევების თავიდან ასარიდებლად იანვარში შეგირდის 6 თვით იჯარით გაშვება სურს. არადა, საინტერესოა ის ფაქტი, რომ კოენტრაუ სულ რაღაც 3 თვის წინ „რეალმა" სწორედ მოურინიოს მოთხოვნით შეიძინა.

და რა თქმა უნდა, მოურინიოს ამბიცია ისევ პიკზეა. პორტუგალიელი სპეციალისტის თქმით, მას კვლავ ჩემპიონთა ლიგის მოგება სურს.

– „რეალთან" ერთად ლიგის მოგება მინდა. ეს ამ ტურნირზე სამ სხვადასხვა გუნდთან ჩემი მესამე გამარჯვება იქნება. ჩემი სახელი ფეხბურთის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს. დარწმუნებული ვარ, ამ მიზანს მივაღწევ, – განაცხადა მოურინიომ.

# ნბა მინიმუმ ორი კვირით გადაიდო

როგორც მოსალოდნელი იყო, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობასა და ლიგის პროფკავშირს შორის უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ ოფიციალურად გაუქმდა ნბას რეგულარული ჩემპიონატის პირველი ორი კვირა. ეს ინფორმაცია თავად ლიგის კომისარმა დევიდ სტერნმა დაადასტურა. მისი განცხადებით, გულშემატკივრებს შეუძლიათ დააბრუნონ ბილეთები და უკან მიიღონ თავიანთი ფული.

შეგახსენებთ, რომ ბოლო დღეებში დაპირისპირებულ მხარეებს შორის მთავარი საკამათო საკითხი ყოველწლიური მოგების გაყოფა იყო. ეს თანხა 3.8 მილიარდ დოლარს შეადგენს. კლუბების მფლობელებს მინიმუმ 50 პროცენტის მიღება სურდათ, მოთამაშეთა პროფკავშირი კი საკუთარი წილის 57-დან მხოლოდ 53 პროცენტამდე შემცირებას თანხმდებოდა.

ჯერჯერობით არაფერს იტყობინებიან იმის შესახებ, როდის გააგრძელებენ მოლაპარაკებებს კლუბების მფლობელები და მოთამაშეთა პროფკავშირი.

– სამწუხაროდ, ჩვენ გავაუქმეთ ჩემპიონატის პირველი ორი კვირა. ჩემი აზრით, ორივე მხარე ბევრს მუშაობდა კომპრომისის მისაღწევად. ვფიქრობ, ჩვენ საკმარისად სამართლიანი წინადადება შევთავაზეთ, იგივე გააკეთეს მოთამაშეებმა. მაგრამ ჩვენს შორის იმხელა სხვაობაა, რომ კომპრომისის მიღწევა ვერ შევძელით, – განაცხადა სტერნმა.

პროფკავშირის პრეზიდენტმა დერეკ ფიშერმა განაცხადა, რომ პირველი ორი კვირის გაუქმება კლუბების მფლობელების ხისტი პოზიციით იყო პროვოცირებული.

– სეზონის ნაწილის გაუქმება, ჩვენი არჩევანი არ არის. უბრალოდ, დღეს ნბაში შეუძლებელია სამართლიანი შეთანხმების მიღწევა. ჩვენს ლიგაში მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელები თამაშობენ, ამიტომაც მათ იმაზე უკეთესი პირობები უნდა ჰქონდეთ, ვიდრე ამას კლუბების მფლობელები სთავაზობენ. შესაბამისად, ბოლომდე დავიცავთ ჩვენს უფლებებს. უკან დახევას არ ვაპირებთ, – ამბობს ფიშერი.

კულტურა

# საქართველოს მოდის კვირეული ეროვნულ მუზეუმში გაიხსნება

**ეკა ირემაშვილი**

საქართველოს მოდის კვირეული (ჯორჯიან ფეშენ ვიკ) საქართველოს ეროვნულ მუზეუმში 13 ოქტომბერს გაიხსნება. მოდის კვირეული, რომელზეც 2012Bწლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციები იქნება წარმოდგენილი, საკმაოდ დატვირთული და მრავალფეროვანი იქნება. მიმდინარე და მომავალი სეზონების ახალ კოლექციებს 15-მდე ქართველი დიზაინერი წარმოადგენს. ქართველ კოლეგებთან ეთრად კი საქართველოს მოდის კვირეულზე საკუთარ კოლექციებს უცხოელი დიზაინერებიც წარმოადგენენ.

უცხოელი დიზაინერების გარდა, თბილისში „საქართველოს მოდის კვირეულის" გასაშუქებლად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოდის ჟურნალების წარმომადგენლები ჩამოვლენ. კვირეულის ორგანიზატორები ელოდებიან ჟურნალისტებს „ვოგის" და მოდის სატელევიზიო გადაცემების წამყვანებს. მათთან ერთად კოლექციების შესაფასებლად გვესტუმრებიან მოდის კრიტიკოსები და ბაიერები სხვადასხვა ქვეყნებიდან. ტრადიცია არც წელს დაირღვევა და ტანსაცმლის კოლექციების ჩვენების პარალელურად, დამწყები დიზაინერებისთვის წამყვანი სპეციალისტების მიერ მასტერ-კლასები და შოუ-რუმები გაიმართება.

საქართველოს მოდის კვირეულის პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ადვით ბაქრაძის მეუღლე მაკა მეტრეველია. მოდის კვირეულის დაწყებამდე მისი ორგანიზატორები შეხვდნენ ჟურნალისტებს და ყველა დეტალი გააცნეს. მათი თქმით, უკვე ყველანაირი სამზადისი დასრულებულია, კვირეულში მონაწილე დიზაინერების კოლექციების წარმომდგენი მოდელებიც შერჩეულია და ახლა მხოლოდ 13 ოქტომბრის დადგომას ელოდებიან. საქართველოს მოდის კვირეული საზეიმო ვითარებაში ეროვნული მუზეუმში გაიხსნება, უშუალოდ კოლექციების ჩვენებები შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მცირე სცენაზე მოეწყობა, კვირეულის საზეიმო დახურვა კი ისევ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შედგება.

# უეფა ევროპაზე მოხვედრის შანსებს გვიმცირებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

უეფას შეფი, მიშელ პლატინი ახალი ინიციატივით გამოვიდა – 52 ნაკრები 13 ოთხგუნდიან ჯგუფად განაწილდეს. თამაშები ერთ წელიწადში ჩაეტევა, საუკეთესო 13 ავტომატურად მიიღებს საგზურს და დარჩება 10 ვაკანტური ადგილი. 13 რომ გავა, დარჩება 39 ნაკრები და მათთვის ხელახლა შეიქმნება შესარჩევი ჯგუფები. 10 ჯგუფი (ერთი სამგუნდიანი და 9 ოთხგუნდიანი) და გამარჯვებული 10 ნაკრები წავა საფრანგეთში.

გამოდის, გუნდებმა ორი შესარჩევი ეტაპი უნდა გაიარონ, ამასთან, თითოეულიდან მხოლოდ გამარჯვებული გუნდი გადის, ეს კი ჩვენი ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსებს ამცირებს.

ჰო, სანამ 39 ნაკრები გაარკვევს ურთიერთობას მეორე შესარჩევ ეტაპზე, პირდაპირ გასული 13 გუნდი უქმად ხომ არ იქნება? მათ დაემატება საფრანგეთი და ამ 14 ნაკრების მონაწილეობით უეფა აპირებს გამოსასვლელი ტურნირის ჩატარებას, საიდანაც ფინანსურ მოგებას ნახავს. დაახლოებით იგივე ხდება, რაც ფიფას აქვს კონფედერაციის თასის სახით.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. შვიდდღიურის, მთელი კვირის ძველი ქართული სახელწოდება; 2. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 3. კულტურის დაქვეითება, დაცემა; 4. პორტუგალიური შემაგრებული ღვინო; 5. ქარხნის ძველი ქართული სახელწოდება; 7. ჯიხვების ჯოგი; 11. ლოკაკ. 11. ძვირფასთვლებიანი ქალის თავსამკაული; 13. დაჩეჩილი მატყლი, წმინდა შალის ქსოვილის დასამზადებლად; 15. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტის კორპუსის ნაწილი; 16. მდინარე ლონდონში; 18. სამხრეთ ამერიკელი მწყემსი; 19. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად:** 6. კინოპრიზი საფრანგეთში; 8. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 9 ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 10. საკარმიდამო მამული ბრაზილიაში; 12. ქართველი მწერალი რომან "გმირთა ვარამის" ავტორი; 14. შესანახად მოდუღებული ყურძნის წვენი; 17. კუთხე საქართველოში; 20. ქალაქი სიეტლის მახლობლად, სადაც განლაგებულია "ბოინგის" ყველაზე დიდი თვითმფრინავთმშენებელი საწარმო; 21. თაღლითური გზით წარმოებული საქმე; 22. იტალიელი მოქანდაკე, ოქრომჭედელი; 23. ყველაზე წვრილი ხურდა ფული ბრიტანეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა.*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჯუღელი; 2. ჯულეპი; 3. დეპარდიე; 4. ემბაზი; 6. კატალოგი; 8. აილამა; 11. სოლოლაკი; 12. ფალაური; 16. აჭარა; 17. ვისლა; 18. ფერმა.

**თარაზულად:** 1. ჯორჯაძე; 5. წალკა; 7. რეზიუმე; 9. ეკლესია; 10. ლამარია; 13. მუხიანი; 14. ბოინგი; 15. ვაჩა; 19. ბაბაჭუა; 20. მიუზიკლი; 21. შარლემანი; 22. ციცაგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ოკლენდი; 2. ხახული; 3. ქუჩაბანდი; 4. ქოქოსი; 5. გრიმალდი; 7. იენი; 11. რაზმაძე; 13. შავთელი; 15. ზესხო; 16. ვალსი; 18. დრაჟე; 19. დუბაი.

**თარაზულად:** 6. კვაისა; 8. ზანდური; 9. სექვოია; 10. ნებიერი; 12. ვისლა; 14. პიკოლო; 17. დივიდენდი; 20. ზვარაკად; 21. ჩხეიძე; 22. ჟაკარი; 23. ბირთვისი.

# სახალხო გმირ სიმონა დოლიძეს ჩოხატაურში გაიხსენებენ

ეკა ირემაშვილი

15 ოქტომბერს კინომცოდნე გოგი დოლიძე ჩოხატაურში ჩავა და სახალხო გმირის სიმონა დოლიძის მკვლელობიდან 100 წლის იუბილეს იზეიმებს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასის თავმჯდომარის, პროფესორ გოგი დოლიძის ინიციატივით, სოფელ შუა განახლებაში შეიკრიბებიან სიმონა დოლიძის უახლოესი ნათესავები თუ თანასოფლელები, სტუმრები თბილისიდან, ქუთაისიდან და ბათუმიდან.

**გოგი დოლიძე, პროფესორი, კინომცოდნე:**

– რა უნდა იყოს იმაზე მეტი ნეტარება, როცა ადამიანი ისე მიდის ამქვეყნიდან, რომ შემდეგ მასზე მთელი საუკუნე მღერის მადლიერი მშობელი ხალხი. არადა, სწორედ საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც 1911 წლის 23 სექტემბერს მუხანათურად მოკლეს ჩაგრული ხალხის ქომაგი, 26 წლის სიმონა დოლიძე. აკი თავადაც ჩიოდა ხალხურ ლექსში, უბედურად დადგა ჩემთვის 1911 წელიო. აგერ უკვე 2011 წელში ვცხოვრობთ. ამ სიმღერაში სიმონა დოლიძე იმაზე ჩიოდა, ყოვლის მხრიდან დაჩაგრული ვარო, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის. კვირაძალს ამ გმირის საფლავთან შევიკრიბებით ყველა, ვისთვისაც ახლობელი და ძვირფასია ის უმაღლესი ადამიანური სტატუსი, რასაც თავი შესწირა ჭაბუკმა სიმონა დოლიძემ – თავისუფლებისათვის, ღირსებისათვის ბრძოლა. როცა ჩოხატაურის საკრებულოს წარვუდგინე წერილობითი განცხადება ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით, იქვე საგანგებოდ იყო ხაზგასმული, რომ ეს პირველი ღონისძიება ფორმით, რაც შეიძლება მოკრძალებული იქნება, რაც სულაც არ შეგვიშლის ხელს, რომ მადლიერმა შთამომავლობამ გულწრფელად და სრულყოფილად გამოხატოს პატივისცემა ამ შესანიშნავი ჭაბუკის ხსოვნისადმი და ამით კიდევ ერთხელ წარმოვაჩინოთ ის მარადიული და ამაღლებული ფასეულობანი, როგორიც არის პატრიოტიზმი, სამშობლოსადმი და ხალხისადმი თავის დადება.

***– რატომ არის სიმღერის ტექსტში „ძმა ბიჭებში დაჩაგრული მე ვარ სიმონა დოლიძეო"?***

– ეს სიმღერის ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტია. საბოლოო ტექსტში კი სიმღერა ასეთია „ყოვლისმხრიდან დაჩაგრული მე ვარ სიმონა დოლიძეო". ვიღაცამ ძმაბიჭებით ჩაანაცვლა და სიმღერა გადაკეთდა. საბოლოო ვარიანტი ჩამოყალიბდა 1981 წელს და ის ინახება ნიკო ბერძენიშვილის სახლ-მუზეუმში. აქ დაცულ დოკუმენტში ყოვლისმხრიდან დაჩაგურლი მე ვარ სიმონა დოლიძეო, წერია.

***– სიმონა დოლიძის სახლ-მუზეუმი თუ არსებობს?***

– არავითარი სახლ-მუზეუმი არ არსებობს. სადაც ის ცხოვრობდა, იმ ეზოში და კარმიდამოში სახლიც არ დგას, მხოლოდ ეზოა. იქ მინდა პატარა წარწერა გავაკეთო – აქ, ამ კარმიდამოში დაიბადა და გაიზარდა ჩაგრული ხალხის ქომაგი სიმონა დოლიძე.

***– დაინგრა მისი სახლ-კარი?***

– არ დანგრეულა. მისი ოჯახიდან დარჩა პატარა ბიჭუნა, რომელიც წავიდა თურქეთში. სიმონა დოლიძის მოკვლის ბრძანება ისევ დოლიძემ გასცა. ეს ძალიან კარგად ვიცი მამაჩემისგან, იმიტომ რომ ისინი ჩემი უახლოესი ნათესავები არიან. ვინც სიმონა დოლიძის მკვლელობის ბრძანება გასცა, მას ჰქონია ერთდოლარიანი და ის ერთდოლარიანი მისცეს სიმონას ბიჭს და იმით გაუშვეს თურქეთში. სიმონას ძმა იყო ცოცხალი, ის ჩემი ბიძია იყო, მის ოჯახში გავიზარდე და მისი ქალიშვილი ჩემი ნათლიაა. სიმონა დოლიძის მკვლელობიდან 100 წლის იუბილეზე შევიკრიბებით მისი ძმიშვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები. აქ ყურადღება გამახვილდება იმ სიმღერებზე და ლექსებზე, რომლებსაც მთელი საუკუნეა ხალხი მღერის.

***– ვინ მიიღებს მონაწილეობას?***

– ამ ღონისძიებაში ჩართული იქნებიან ოზურგეთის და ჩოხატაურის გუნდები, ერთგვარი კონკურსი გვექნება. მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ოჯახური ანსამბლები. შარშანწინაც ჩავატარე ლანჩხუთში დიდი სახალხო ზეიმი, რომელიც მიეძღვნა გენიალური სიმღერის „ხასანბეგურას" შექმნას. საუბრის დასასრულს კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რა არის იმაზე დიდი ბედნიერება, როცა შენზე სიმღერას ხალხი საუკუნის განმავლობაში მღერის?!

# გალაკტიონის იუბილე დასრულდა

**პოეზიის მეფის – გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან 120 წლის იუბილეს თბილისში აღნიშვნა დასრულდა. ორდღიანი ღონისძიებები ვაკეში, პოეტის ძეგლთან დაიწყო, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის საერთაშორისო ცენტრში „მუზა" გაგრძელდა და მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაგვირგვინდა.**

ეკა ირემაშვილი

გალაკტიონის 120 წლის იუბილე საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა "მამულიშვილთა გახსენება" და მისმა პრეზიდენტმა ბონდო კობაძემ მოაწყო.



საიუბილეო ღონისძიებების პირველ დღეს გალაკტიონის ძეგლთან შეიკრიბა თბილისის საზოგადოება. პოეზიის მეფისთვის პატივის მისაგებად მივიდნენ სრულიად საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოება, რომლის საპატიო პრეზიდენტის საქართველოს პატრიარქი ილია მეორეა. მათ გალაკტიონის ძეგლი გვირგვინით შეამკეს.

– დედაქალაქის მერიამ ორი გვირგვინი გამოგვიგზავნა – ერთი ვაკეში, გალაკტიონის ძეგლთან დაიდგა, ხოლო მეორე – პოეტის საფლავთან, მთაწმინდაზე. დედაქალაქის ხელმძღვანელობამ გამოყო 70 ჰოლანდიური ვარდიც, რომლებიც მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში განსვენებული თითოეული ქართველი მამულიშვილის საფლავზე დავდეთ, – აღნიშნა ბონდო კობაძემ.

ვაკეში აღმართულ გალაკტიონის ძეგლთან მივიდნენ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი", რეჟისორი რევაზ ჩხეიძე, პოეტი ჯანსულ ჩარკვიანი. საიუბილეო ღონისძიება მისმა ორგანიზატორმა ბონდო კობაძემ გახსნა. მან საჩუქრად გადასცა ანსამბლ "რუსთავს" გალაკტიონის საიუბილეო კრებული და სპეციალურად ამ იუბილესთვის ჩამოსხმული ღვინო „გალაკტიონი 120". საჩუქრის გარეშე არც ჭყვიშის გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის დირექტორი ირმა ცხვარაძე დარჩენილა, რომელსაც ბონდო კობაძემ გალაკტიონის დიდი სურათი, საიუბილეო კრებული და ერთი ყუთი ღვინო უსახსოვრა.

გალაკტიონის ძეგლიდან ღონისძიების მონაწილეებმა მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ "მუზაში" გადაინაცვლეს, სადაც გაიმართა საიუბილეო სხდომა და საიუბილეო კრებულის „გალაკტიონი 120" პრეზენტაცია. საიუბილეო კრებული გამოსცა „გლობალ პრინტმა", კრებულის მთავარი რედაქტორი კი პროფესორი გურამ ბენაშვილია, მხატვრები კი ემირ ბურჯანაძე, რევაზ ადამია და თემო გოცაძე არიან.

გალაკტიონის შესახებ ისაუბრეს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა, რომელმაც ფონდის პრეზიდენტს ბონდო კობაძეს გადასცა გალაკტიონ ტაბიძის პრემია.

– დიდი მადლობა ყველას, ვინც გალაკტიონის პრემიის მინიჭების ღირსად ჩამთვალა. ეს ჯილდო ეკუთვნის მთელ ქართველ ხალხს, რომლებიც იბრძვიან საქართველოს დამოუკიდებლობისა და მთლიანობისათვის. ჩემი დიდი სურვილია, ამ ღონისძიებებით ქართველ საზოგადოებას სულიერებისა და ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენის ბრძოლაში რამენაირად დავეხმარო, – აღნიშნა ბონდო კობაძემ.

მაყვალა გონაშვილს შეენაცვლნენ ჯანსულ ჩარკვიანი, რევაზ ჩხეიძე, გურამ ბენაშვილი, ჭყვიშის გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის ხელმძღვანელი ირმა ცხვარაძე, ოქსფორდის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების დოქტორნატი ჯეფრი გოზბი. ამ უკანასკნელმა ქართულად ისაუბრა და აღტაცებაში მოიყვანა მუზაში შეკრებილი საზოგადოება. ჯეფრი გოზბი ეუფლება ქართულ ენას და ლიტერატურას ოქსფორდის უნივერსიტეტში. მან ბონდო კობაძისგან საჩუქრად მიიღო გალაკტიონის საიუბილეო კრებული.

პოეზიის მეფისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაში ასევე მონაწილეობდნენ ეთერ კაკულია, ირმა სოხაძე, თემურ გუგუშვილი, მხატვრული კითხვის დიდოსტატი ელდინო სალარაძე, თეატრალური უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტები. მათ შეკრებილ საზოგადოებას გალაკტიონზე დადგმული კომპოზიცია წარუდგინეს. მცხეთა-მთიანეთის მთავარ-ეპისკოპოსმა მეუფე თადეოზმა ღონისძიების ორგანიზატორებიც დალოცა და მონაწილეებიც. გალაკტიონის საიუბილეო საღამო დიმა ჯაიანსა და ჯემალ ღაღანიძეს მიჰყავდათ.

გალაკტიონის იუბილე მეორე დღეს უკვე მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გაგრძელდა, სადაც მეუფე თადეოზმა ლოცვა აღავლინა. ანსამბლმა „რუსთავმა" მრავალჟამიერი შემოსძახა, ხოლო ელდინო სალარაძემ კი გალაკტიონის ლექსი მხატვრულად წაიკითხა.

ამით თბილისში გალაკტიონის 120 წლის იუბილეს აღნიშვნა დასრულდა. 17 ნოემბერს ფონდის „მამულიშვილთა გახსენება" პრეზიდენტი ბონდო კობაძე უკვე ჭყვიშში მიიწვიეს, სადაც გრანდიოზული საიუბილეო ღონისძიებებია დაგეგმილი.

**ბონდო კობაძე, ღონისძიების ორგანიზატორი:**

– დიდი გალაკტიონის ძეგლთან ეროვნული დროშებით მოხდა შესვლა. ეს ძალიან ამაღელვებელი მომენტი იყო. ხალხი აქტიურად ჩაერთო ამ სახალხო დღესასწაულში. გალაკტიონის საიუბილეო კრებული საქართველოს პატრიარქსაც ვუსახსოვრე. სწორედ მისი ლოცვა-კურთხევით მოვამზადე ეს კრებული, რისთვისაც ერთი წელი დამჭირდა. უმაღლესი შეფასება მიანიჭეს ამ კრებულს მარიკა ლორთქიფანიძემ, ჯანსულ ჩარკვიანმა, რევაზ ჩხეიძემ, მერაბ ბერძენიშვილმა, რისმაგ გორდეზიანმა, რევაზ მიშველაძემ, მაყვალა გონაშვილმა, ვალერი ასათიანმა და სხვა საზოგადო მოღვაწეებმა. დიდი მადლობა საზოგადოება „ვაზიანის" შემოქმედებით კოლექტივს – თემურ გუგუშვილის, დავით ახვლედიანის, ალექსანდრე ივანიშვილის, ლალი ვარდანაშვილისა და თამაზ გელაშვილის ხელმძღვანელობით. მათ ჩამოასხეს თეთრი ღვინო წინანდალი და წითელი ღვინო მუკუზანი „გალაკტიონი 120". მათ ეს ღვინო ჩვენს ფონდს საჩუქრად გამოუგზავნეს. მერაბ ბერძენიშვილმა კი „მუზა" სრულიად უსასყიდლოდ დაგვითმო.

# თელავში მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი იწყება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

შორის ისეთებიც, რომლებიც ჩვენი პუბლიკისთვის უცნობი ან ნაკლებად ცნობილია, შესრულდება სხვადასხვა ჟანრის მუსიკა – სიმფონიური, კამერული, საოპერო, საგუნდო, ეთნო და ხალხური.

**რუსუდან კაპანაძე, „კავკასუს ონლაინის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:**

– ჩვენი კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ფესტივალების და გრანდიოზული ღონისძიებების მხარდაჭერა. ჩვენს მომხმარებელს საშუალება ექნება ეს ფესტვიალი ონლაინრეჟიმში მთელი კვირის განმავლობაში ნახოს. წელს ფესტივალში მონაწილეობს 23 სოლისტი – მათ შორის გერმანიიდან, შვეიცარიიდან, იაპონიიდან, ისრაელიდან, კანადიდან, იტალიიდან. ასეთი მასშტაბების ფესტივალის მხარდაჭერა კი ჩვენთვის ნამდვილად დიდი პასუხისმგებლობაა.

# სამგლოვიარო განცხადებები

ელგუჯა გაბეჩავა ოჯახით დიდი გულისტკივილით იუწყება უახლოესი მეგობრის, კეთილშობილი პიროვნებისა და ნაღდი ქართველის

**როინ სევერიანის ძე მეგრელიშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

დათო კვარაცხელია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი მეზობლის, ყველასათვის საყვარელი პიროვნების

**ომარ პანტელეიმონის ძე ცქვიტარიას**

მოულოდნელად გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 13, 14 ოქტომბერს, 19 საათზე.

დაკრძალვა: შაბათს, 15 ოქტომბერს, 14 საათზე.

მისამართი: თემქა XI მიკრორაიონი (არაშენდა), „ა" კორპუსი, X სართული.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# ვინ ბლოკავს ნატო მეტონიძეს?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დღესასწაულიც ამ არაჩვეულებრივი მომღერლის გარეშე ტარდება.

თავად მომღერალი არ მალავს, რომ მისი იგნორირება და საკონცერტო პროგრამებიდან ამოგდება მომღერლის პოლიტიკურ მოსაზრებებს უკავშირდება.

როგორც ჩანს, მისმა უახლოესმა მეგობარმა, ნიკა მემანიშვილმაც კი ვერ შეძლო ან კონცერტების ორგანიზატორების დარწმუნება, რომ ნატოს ჩრდილში დატოვება არასასურველია, ან თავად უახლოესი მეგობრის დარწმუნება იმაში, რომ პოლიტიკური მოსაზრებებისა და გამოთქმებისგან თავი შეიკავოს. უკვე მეორე წელია, რაც ნატო მეტონიძე ხელისუფლების მიერ დაგეგმილ არც ერთ კულტურულ ღონისძიებებში აღარ მონაწილეობს. მართალია, მთავრობას თავისი ფავორიტი შემსრულებლები ჰყავს, მაგრამ არც ის იქნება ურიგო, თუკი გასაქანს და კონცერტებში მონაწილეობის უფლებას მაქსიმალურად მეტ ხელოვანს მისცემს.

თბილისის მერია მომღერლების დაბლოკვას უარყოფს და საპასუხოდ განმარტავს, რომ საქართველოში იმდენი მომღერალია, ცხადია, მათი ერთდროულად სხვადასხვა კონცერტებში ჩასმა პრაქტიკულად შეუძლებელია.

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 13 ოქტომბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ევროპული არჩევანი **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **17.00** დოკ. ფილმი "სიცოცხლე ადამიანის შემდეგ" **18.00** ან. ფილმი "შეუდარებელი ადამიანი ობობა" **19.05** სერ. **"ვილმენის საქმე"** **21.00** სერ.**"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.00** სი ბემოლი **01.00** მხ.ფ.**"უკანასკნელი მაგნატი"** (12) (რ. დე ნირო) **03.10** მოამბე **03.30** სერიალი **"ზიანი"** (12) **04.30** მხ. ფ. **"სიზმრებში"** (18)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00, 01.00** სერიალი **"ზიანი"** **20.00** მხ. ფ.**"კოლდიცი"** 1-2ს. **02.00** მხ. ფილმი **"თვალი თვალის წილ"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი **"როსალინდა"** **11.00** სერიალი **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** ეთამაშე ვარსკვლავს **17.00** სერიალი **"ავრორა"** **18.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **19.45** სერ.**"სახლი მეზობლად"** **22.00** პროფილი **00.00** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერიალი **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.25** ქრონიკა **11.40** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი"** მე-14ს. **16.00** სერიალი **"მეტოქეები"** **17.40** სერიალი **"ევა ლუნა"** **18.40** სერიალი **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერიალი **"დამალული სიმართლე"** **22.00** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **23.00 2011** წლის სჩილამაზის საერთაშორისო კონკურსი **00.45** რემონტი **01.15** მხ. ფილმი **"აგვისტო"** (15) (ჯ. ჰარტნეტი) (სუბტ.) **03.05** მხ. ფ.**"მატჩ პოინტი"** (15) (ს. იოჰანსონი) (სუბტ.) **06.30** სერ.**"მარინა"** მე-18ს.

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერიალი **"ჩემი შეყვარებული"** **11.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"დაკარგული ქვეყანა 2"** **13.00** მხ. ფილმი **15.30** პულსი **17.10** სერიალი **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ.**"მისი სულის მუსიკა"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.00** სერიალი **"სოფია, ცოტა მადრონე"** **10.00** დოკ. ფილმი **10.40** სცენა **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერიალი **"სოპრანოს კლანი"** **12.50, 19.35** სერ.**"მხოლოდ შენ"** **15.15** სერიალი **"ექიმი ქმორი"** **16.00** სცენა **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** განთიადი **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** პერსპექტივა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ზოგი ჭირი მარგებელია"** **13.30** კონცერტი – ფესტივალი "ქართული სული" (დახურვა) **15.05** განთიადი **15.25** მხ. ფ. **"აჰაინ ჰაპანი"** **16.50** დოკ.ფ. "ველური ბუნება" **17.15** ოჩო **18.05** ჩვენ ვუკრავთ და ვისაუბ **18.20** ტელეზღაპარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.15** მხ. ფილმი **"ხევსურული ბალადა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გამოცემების ხელოვნება **21.35** აქტუალური თემა **22.20** დოკ. ფილმი "საქართველოს სიმშვენიერე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "სამთაფიოდ ღდამო მონასტერი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** კონცერტი – ანდრის რიუ

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**13 ოქტომბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6613

ევრო — 2,2702

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა ტემპერატურა დღისით — 17–23, ღამით — 9–12

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა ტემპერატურა დღისით — 17–20, ღამით — 12–14

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა ტემპერატურა დღისით — 16–17, ღამით — 1–11

## ამინდის პროგნოზი 13 ოქტომბრისთვის





# 11 ოქტომბრიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის

**„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“**

მე-13 ტომი

**უნიკალური პროექტი**

# ჩარლი ჩაპლინი

**უკვე გამოცემულია „100 წიგნის“ 11 ტომი. ესენია: 1.განდი, 2.ფრანკო, 3.ჩერჩილი — პირველი ნაწილი, 4.ჩერჩილი — მეორე ნაწილი, 5.სერვანტესი, 6.მარქესი, 7.რიშელიე, 8.ნაპოლეონი, 9.ჰაჰა-ფშაველა, 10. კეისრები, 11.ათათურქი, 12. კოკო შანელი**

**გამოსაცემად მზადაა: მარკო პოლო, ბითლზი, რეიგანი.**

„100 წიგნში" შეის იმ ადამიანთა ბიოგრაფიები, რომელთაც დიდი კვალი დატოვეს მსოფლიო ისტორიაში, მეცნიერებასა და კულტურაში.

**გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი**





## უეფა ევროპაზე მოხვედრის შანსებს გვიმცირებს

ჯიდევ ერთი შესარჩევი ციკლი დამთავრდა და საქართველოს ნაკრებმა მისთვის დარჩეული მეხუთე ადგილი დაიკავა. ახლა მთავარი მიზანი 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლაა, რადგან უკვე ნათელია, რომ 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ჩვენთვის დაუძლეველი იქნება. როგორც უკვე ცნობილია, 2016 წლის ევროპის ჩემპიონატს საფრანგეთი უმასპინძლებს და 24-გუნდიანი იქნება.



თავდაპირველად მისი ფორმატი ასე გამოიყურებოდა – 52 ქვეყანა 9 ჯგუფად გაიყოფოდა, საიდანაც პირველ-მეორეადგილოსნები და ასევე, საუკეთესო მესამეადგილოსანი პირდაპირ გავიდოდა ფინალურ ეტაპზე, ხოლო დანარჩენი 8 მესამეადგილოსანი პლეი ოფში გაარკვევდა ოთხ საუკეთესოს. ეს კი საქართველოს ნაკრების შანსებს ზრდიდა, თუმცა...

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ვინ ბლოკავს ნატო მეტონიძეს?



ეკა ირემაშვილი

ქართულ შოუბიზნესში რომ კლანური დაჯგუფებებია, ამაზე დიდი ხანია ყველამ ყველაფერი კარგად იცის. თუ არ ხარ პრეზიდენტის გუნდის მხარდამჭერი, კონცერტზე გამოსვლაზე და სცენაზე დგომაზე რომ არც უნდა იოცნებო, ესეც არახალია. ის მომღერლები, ვინც მთავრობის კურსს არ უჭერენ მხარს, ყველანაირად იბლოკებიან და ამა თუ იმ ღონისძიებაში მონაწილეობას ვერ იღებენ. სწორედ თავისი პოლიტიკური შეხედულებების და მოსაზრებების გამო უკვე ორი წელია მომღერალი ნატო მეტონიძე არც ერთ კულტურულ ღონისძიებაში არ იღებს მონაწილეობას. უკვე ორი წელია თბილისობის

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ასტროპროგნოზი
13 ოქტომბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ლომი** – მშვენიერ ხასიათზე ხართ, ამის მიზეზი ნამდვილად გაქვთ. **ქალწული** – ახალი სამსახური მოგეწონებათ, ყურადღების ცენტრში ხართ. **სასწორი** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ამ დღეს მოუთმენლად ელოდით. **მორიელი** – გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის საჩუქარი ჩამოაქვს. **მშვილდოსანი** – ზედმეტი აქტიურობა არ ღირს, ისედაც შეგამჩნევენ. **თხის რქა** – ბედი გიღიმით, გამოიყენეთ შანსი. **მერწყული** – ნუ აზვიადებთ, პრობლემა არც ისე დიდია. **თევზები** – ახალი წამოწყება გაამართლებს, აქტიურობა ნამდვილად ღირდა.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი



– ჩვეულება ცოლი არ არის, ვერ ულალატებ...

* * *

– ჩაი ოდესმე თუ მოგიწევია?

– არა, მაგრამ შენ კი გეტყობა, რომ თამბაქო უკვე დაგიყენებია...

* * *

– გუგულიანმა საათმა თავი თუ მოგაბეზრათ, კედლისკენ შეაბრუნეთ და კოდალიანი საათი გექნებათ...

* * *

– ოჯახში სიმშვიდის შესანარჩუნებლად საჭიროა სიყვარული, მოთმინება, ურთიერთგაგება და ორი კომპიუტერი. ათი წლის წინ კი ორი ტელევიზორი იყო საკმარისი...

გ. თ.

## ტესტი

### იმორჩილებთ თუ არა საკუთარ თავს?



***1. თუ უყვებით სხვებს თქვენს პრობლემებს?***

ა. არა, ბ. დიახ, გ. ხანდახან.

***2. რამდენად ძლიერ განიცდით პრობლემებს?***

ა. ყოველთვის მძიმედ, ბ. ცდილობთ, აიტანოთ, გ. გარემოებებს გააჩნია.

***3. სასმელს თუ სვამთ, იმიტომ, რომ:***

ა. არ სვამთ, ბ. მოგწონთ, გ. თქვენი პრობლემები ჩაახშოთ.

***4. როდესაც ახლობელი ადამიანი წყენას გაყენებთ:***

ა. ახსნა-განმარტებას მოითხოვთ, ბ. საკუთარ ნაჭუჭში იკეტებით, გ. ყველას უყვებით, ვისაც მოსასმენად სცალია.

***5. როდესაც ბედნიერად გრძნობთ თავს:***

ა. არ ფიქრობთ გადატანილ უბედურებაზე, ბ. შიშობთ, ეს წუთი სწრაფად გაივლის, გ. არ გავიწყდებათ, რომ ამქვეყნად პრობლემებიც არსებობს.

***6. რას ფიქრობთ ფსიქიატრების შესახებ:***

ა. შეუძლია, თავად დაეხმაროს საკუთარ თავს, ბ. არ ისურვებდით მათ პაციენტად გახდომას, გ. მრავალ ადამიანს ეხმარებიან.

***7. თქვენი აზრით, ბედი:***

ა. მდევარია, ბ. არ გწყალობთ, გ. გწყალობთ.

***8. რას ფიქრობთ საყვარელ ადამიანთან კამათის შემდეგ, როდესაც ბრაზი გადაგივლით ხოლმე?***

ა. იმაზე, რისი ატანაც მასთან მოგიხდათ, ბ. შურისძიებისთვის ემზადებით, გ. იმ სასიამოვნოზე, რაც წარსულში გქონდათ.

**პასუხები შეაფასეთ: ა. — 1; ბ — 2; გ — 3.**

### პასუხები

**8-13 ქულა:** ჯერ ვერ ისწავლეთ პრობლემების წამოჭრისას საკუთარი თავის დამორჩილება. ამჯობინებთ, საკუთარ თავში ჩაიკეტოთ. ზოგჯერ საკუთარი თავი გენანებათ.

**14-18 ქულა:** ხდება ხოლმე, რომ ხანდახან თავბედს იწყევლით, მაგრამ მაინც გაქვთ თქვენი პრობლემების 'გადმოფრქვევის შესაძლებლობა და მაშინვე მშვიდდებით. მაინც დაფიქრდით, იქნებ ღირდეს, უფრო დაიმორჩილოთ თავი.

**19-24 ქულა:** ადვილად ურიგდებით პრობლემებს, უბედურებასაც კი, რადგან სწორად აფასებთ მათ. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საკუთარი თავი არ გეცოდებათ. თქვენი სულიერი წონასწორობა აღტაცებას იმსახურებს.

გ. თ.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი საფრანგეთში; 2. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 3. ქალაქი გურიაში; 4. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი; 7. გერმანული ტომები, რომლებმაც მე-5 საუკუნეში გაძარცვეს და გაანადგურეს რომი; 8. აშშ-ს სახელმწიფო მდივანი; 12. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი; 14. ნოდარ დუმბაძის რომანი; 16. ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვითი თხრილი; 17. პეკინის მეორე სახელწოდება; 19. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური იაპონიაში; 20. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში.

**თარაზულად:** 5. ხასხასა მწვანე მინერალი; 6. ქართული გაზეთი; 9. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 10. სურსათ-სანოვაგე, საჭმელი; 11. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 13. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი; 15. თანამედროვე ქართველი მხატვარი; 18. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 21. “ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 22. საკვების ულუფა, ნორმა გარკვეული ვადისთვის; 23. ირანის პარლამენტი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი